

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით



ფასი 1,50 ლარი

29 მაისი 2009 №11(89)



ჩვენი ბრძოლის ველი  
მარსელ პრუსტის ანკეცა  
ნოდარ ადიშვილის ლექსები  
ემზარ კვიციანიშვილი ზაქუშეთის სამყაროზე  
ავტორი ლექსისა „ბრენდის ჟურია სოფელი“  
ედუარდ ლიმონოვი ქართულ მზეთსუნახვზე  
ამერიკული ბესტსელერის ქართველი ავტორი

# ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი გთავაზობთ



მისამართი: ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33  
ტელეფონი: (8 231) 2-34-99, 2-37-1, 899 14-95-15





**შინაარსი**

<b>რედაქციის აპარატი</b>	<b>2</b>	<b>ჩვენი-ჩვენი ბრძოლის ველზე</b>
<b>მსოფლიო პეიზაჟი</b>	<b>3</b>	<b>რუსუდან ნიშნიანიძე ამერიკის შეერთებული შტატების დარბაზში (გიორგი შაველაძე)</b>
<b>პასაჟი-ინტერვიუ</b>	<b>9</b>	<b>მარსელ პრუსტის ანკაჟა</b>
	<b>10</b>	<b>გიორგი კეკელიძე ბარბე ჯიუტი ფერმა</b>
<b>არწი</b>	<b>11</b>	<b>ხათუნა თავდგირიძე ფონ მანუელი და ოძრის თემა</b>
<b>პოეზია</b>	<b>17</b>	<b>ნოდარ ადგიშვილი ფუსტატინა, ჩიტო! და სხვა ლექსები</b>
<b>პოეზიის პირი ლინი</b>	<b>21</b>	<b>შოთა ბოსტანაშვილი პაპარა ლაპარაკიდან</b>
	<b>22</b>	<b>ემზარ კვიციანიშვილი უნივერსალი „ბავშვთა სამყარო“</b>
<b>კამოსაველი და მასაველი</b>	<b>23</b>	<b>პაატა ჩხეიძე ბაბადა ორ სამყაროზე (რადიარდ კილინგის „ბაბადა დასავლეთსა და აღმოსავლეთზე“)</b>
<b>ახალი წიგნები</b>	<b>26</b>	<b>ლია რუხაძე აღმოსავლეთი უფრო მსაზღვრე გზებზე (თანამედროვე არაბული პროზის მცირე ანთოლოგია)</b>
<b>კითხვა</b>	<b>28</b>	<b>ნათია სიხარულიძე ორი ეტიუდი ბალაქონზე</b>
<b>ფიქრი და განსჯა</b>	<b>31</b>	<b>ამირან არაბული ფასისრული ლექსისა „ბინდისფერია სოფელი“ და სხვა</b>
<b>რეპორაჟი</b>	<b>37</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი „სანთლაგი“ იაპონური მისტიკიდან (ირმა რატინის თარგმანების კრებულის წარდგინება)</b>
<b>წიგნები და წიგნი</b>	<b>42</b>	<b>გივი ალბაჩიშვილი მომავალი წარსული</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>52</b>	<b>თემურ ჯაგოდინიშვილი საზოგადოება ოთარ ჩხეიძის თემაზე (ლია კუხიანიძის მონოგრაფია „მწერალი და საზოგადოება“)</b>
<b>უსტორია წიგნად</b>	<b>54</b>	<b>ედუარდ ლიმონიძე ქართული მკვლევარების — შთაბრძნება პოეტისა</b>
<b>გაუმეორება</b>	<b>60</b>	<b>მაია ჯალიაშვილი მზეო, ამოღო, ამოღო</b>
<b>შეხვედრა</b>	<b>63</b>	<b>ქნობის ვილინი</b>

**ორკვირული ჟურნალი**  
**დამფუძნებელი „ილიონი“**  
 მისამართი: თბილისი,  
 ჩუბინაშვილის №41  
 რედაქცია - (995 32) 96-20-62  
 რეკლამა - (995 93) 65-93-68  
 გაერთიანება - (995 99) 41-95-21  
 ფაქსი: (995 32) 96-20-62  
 E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი - როსტომ ჩხეიძე  
 პროზის რედაქტორი - ივანე ამირხანაშვილი  
 პოეზიის რედაქტორი - შავა ჯოხაძე  
 კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი - თამაზ ნატროშვილი  
 მხატვრული რედაქტორი - კარლო ფაჩულია დიხანერი - მალხაზ იაშვილი  
 სტილისტ-კორექტორი - ნინო ფეკიაშვილი დაკაბადონება - თენგიზ რომბაშვილი  
 ოპერატორი - თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი - ეკა ბუჯიაშვილი  
 გაერთიანების სამსახური - ლევან კიკნაძე



გარეკანზე: ხათუნა თავდგირიძე  
 მურმან ჩაჩუას ფოტოგრაფია

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 12 ივნისს

# ჩვენ-ჩვენ ბრძოლის ველზე

— დიდი ხნის განმავლობაში კალამი ხმლად მიმანდდა. ასე გახსენებს ავტობიოგრაფიულ რომანში „სიტყვები“ ფინ-პოლ სარტრი, თუ რა განცდამ და რწმენამ უბიძგა მწერლობას, კენ და რა მწერლობა და იმედოვნებთ შენდგომოდა იმ გზას, რომელსაც დაჰყოლოდა უჩვეულო მადლი და სასწაულებრივი ძალა — ზნეობრივად გარდაიქმნა სამყარო და დაეპყდრებინა ამჟვეყნიური სამოთხე, პოლიტიკოსთათვის სამარადებოდ მიუღწევლო.

ამ სასწაულის მოლოდინით გამოეცხვევებინა რამდენიმე საუკუნის წინათ ჯონათან სვიფტს „გულიერების მოგზაურობა“ და „დარწმუნებულს, მეორე დღესვე შეხვდება პარტიკაით შორის ბრძოლას და ანგარიშსწორებას, მისასწავლებელი სამარ-თლიანნი განდებიან და ევეტირებენ პატიოსნები, აღზრდის სისტემასაც უსათუოდ ეშველება რაღაც და სამარცხვინო პრესაც დაადგება მონანიებისა და განმოსწორების გზას.

ამჟი სხვას რას იფიქრებ, როდესაც ისეთი მრისხანე იარა-ღი გამოერა ბელთ, როგორც „გულიერების მოგზაურობა“, საკაცობრიო საგანძურის ერთ ძვირფას თვალთვანინ.

და მეორე დღესვე...  
რამ თვე რომ ჩაივლიდა, მაშინდა გამოიკვევოდა საბრა-ლი სვიფტს. ცეცხლი შესულა მოყვასისათვის თამამად და მღერად რომ მიანდდა, „ვეფხისტყაოსნი“ ეთიკური მრწამსისა არ იყოს; და ნირნამადარი ამოიგმენდა: ამ პატარა კუნძულზეც ძველბურად პარამებს მინიერება და პორტრეტმოქმედობა.

იქნებ დროის კვალობაზე მაინც შეეცინა ლიტერატურას ის უჩვეულო ძალა, და კალამი მართლაც დამკვანებოდა ხმალს, არა მტკაფორულად, არამედ რეალურად... და იქნებ დას-პოლ სარტრის ტყუილებრივად არ აიფიქრებ და მათ ერ-თამდითაინ?!

მოიცა, განწყვეტილი ფრაზა როგორ გრძელდება?  
— ახლა დაწერს მენდი ჩვენ უძღერებამო. რა ბედენა: მე ვწერ, დაწერ ნივტებს; ისინი საჭირონი არიან, სასარგებლონი; კულტურა ვერაფრის და ვერაფერის იხსნის და ვერც გაამართლებს.

მედილა, ძალიან მნელი უძღერების აღიარება, მაგრამ სასატკე რეალობას სად ნახებავს, და ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა გამოიკვეც ილუზიებისაგან... და დაყაბულდე იმ აზრს, რომ: მომ-ლოდ კულტურაში ვერცხვნი და ცნობის ადამიანი საკუთარ თავს, მხოლოდ ამ კრიტიკულ სარკემი ხე-დავს თავის სახეს.

ეს არის და ე-  
ასე ეხმარება საბრძოლო სვიფტს, იმ წუთის წინ ნივნი ჩახედვა არც სჭირ-დება, პირადი გამოცდილება ამა და მხოლოდ ამა უკარნახებს და გაცრუ-ებელი იმეგნის დამსწერების მონმეს ხინდა: ამვერე, არა, ილუზიებს და კა-ლანს სულ სხვა დანიშნულება დააქს-რე? მაშ იწინე, რასაც ნივნის აღ-მტკც ფეორთაგან გამოიფიქრებო.

ნათუ ლიტერატურის სასწაუ-ლებრიობა მომნიშნული ლეგენდა და სხვა არაფერი?

თუ ლეგენდა, დაე სიცოცხლის ბოლომდე გერტყას გარს, გამშვიდებდეს, გინანავებდეს... და არა უფერად გბედეს მწარე სინამდვილის მონმეს.

მაგრამ ბროლისა თუ სპილოს ძელის კოშკი დარჩენა რომ შეიძლებოდა და საიმედოდ გამოკეტვა, ეგრე კიდევ რო-დის შეძლებდა ამა ს ბუდა, ასე კი არ დეიქნებოდა თავზარ ერთ ავბედით დღეს, წუთისოფელში რომ გაერეოდა და ინი-ლავედა ათასგვარ ბოროტებას და ბიწირებას, მათ დამ-თრგუნველ ძალას კი — ვერა.

არადა, იდეალთა ლიტერატურის ძალა, მისი გარდამ-ქმელი უნარი, მისი სასწაულებრივი ნიშნები, მინაღულო სამ-ყაროს ხვეულებსა და კაცობრობის გზა-ბილიკებზე, ოღონდ ყოველ სახიფათო, საბედისწერო ფაშ მართლაც წინ აღ-მდგომი ფრიალოვდა და მავებისა და უსუკრულში გადამტე-ვის მოლოდინისა.

ეს ძალა და ნიშნები რომ არა, როგორ შეინარჩუნებდა კულტურა, სულიერება და ზნეობა უწყვეტობას, ადამიანს რომ არ ჩაუტრბობა სიყვარულის, თანაგრძობის, მოყვას-სათვის თავგანწირვის უნარს.

სადაც ფანტაზიზმი არა ყოფილა, იქ სასიკეთოსთვის არც არაფრისათვის მიუღწევიათ.

ვერ აზრებთ ასე თვალდათვალ მწერლობა ძალმომრე-ობას, უზნეობას, ბოროტებას? საკუთარ ტკივილებში გბარ-მებს და სიცოცხლეს სინანულად და იმედგაცრუებად მოგაჩ-ვენებს, აღეცხანდრე აბამელის დაქილებას არ იყოს; და ხმრად ვფიქრობ, რას გაგანჯობ ლექსის ბეჭდვითა, თუ გულ-ში დღველი ამბობების დამრსა უგმამადო?.. და ხელს გკრახს სკეპსისისა თუ სულაც ნილიონის მორევისსაცე?

ეს ხელისკერა გალდება, პიტრე ბრუეს რომ უსაყვედრებ-დნენ, ამერეკ-ეგტანამის (სინამდვილეში: ამერეკ-ასპოთა იმე-რის) ომისა ძველებური გატკეცებით რომ დანდად სავტკეცლებს: ნათუ გგონია, რომ მსვეტკეცს უმელოა ომი შეაეროსო?

ამ ეგზოზოდს გახსენება ძალიან უყვარს მაკა ჯობახის და არაერთხელაც გაუმეორებია უსევხსა თუ საჯარო გამოს-ვლებისას, და ახლა, ამ წუთში სწორედ მისი ხმით ჩამესმის რევიორის პასუხი: არა, 20-კაციანი დასი ვერ შეაერებს ომს, რომელშიც ორი მილიონი ადამიანი ჩაბმულია, მაგრამ მე ჩემი მინდორი მაქვს, ჩემი ბრძოლის ველი და, დარწმუნებუ-ლი ვარ, ამ ველზე ორი საათის განმავლობაში ბოროტება ნამ-დვილად დამარცხდებაო.

ამ ჭეშენ-ჭეშენ ბრძოლის ველის იმედად თუ არა ვართ, სკეპსისი ისე გამოგვხრავს, შთამო-ხებლობას უტყობს ვერაფრის და-უტკეცვებთ, გარდა სახენამილი, თვითმყოფადობა და კარგული ქვეყნისა.

ჩვენი უძღერებო, — მოთ-ქვამს საბრძოლ და უფერად თავისი სასოქმედო თეზისი რომ გაახსენ-დება — არცერთი დღე უტრტო-ნობო — თითქოს თავს იმარ-თლებს: ეს ხომ ჩემი ჩვეულებაა და თანაც ჩემი პროფესია.

მოვადობო... უპირველესად მა-ინც მოვადობო, რადგანაც ახლაც, ამ წამსაც შესაჩერებელი ვაგვის ბოროტება და ძალმომრეობა, უსა-მართლობა და მანკიერება ჩვენ-ჩვენ ბრძოლის ველზე.

სამშაბათს, 2 ივნისს  
ურუნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში  
გამართება ნარდვინება  
სოსო ნადირაძის  
რომანისა

„ხაქისუარი ჩაფრი“  
მომხსენებელი  
ნინო ვახანია  
დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის 41

რუსუდან ნიშნინიძე


# ამერიკული გავლენის ქართული ავტორი

**Harper and Brothers** — „ეგვიპტის სატარებელი“ მცირე-ფორმისანი ნიგნის მრავალტირაჟიანი გამომცემლობა და **Harper and Row** — ე.წ. მაკარადიანი ნიგნების ცნობილი გამომცემელი კიდევ ერთხელ მოექცნენ ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, როცა სრულიად ახალი ნიგნი შესთავაზეს მკითხველს. პირველად ეს 1944 წლის ოქტომბერში მოხდა, რამდენიმე კვირის შემდეგ, ნოემბერში იგივე განმეორდა. 1945 წელი წველავ უჩვეულოდ „უხვი“ გამოდგა: მხოლოდ იანვარში ოთხჯერ გამოიცა; მალაზიების თაროებიდან „თეაღის დახამამებამი კრებოდა ნიგნი“, რომელიც ასე იყო დასათარებელი: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. გიორგი და შელენ პაპაშვილების რომანი ერთბაშად აღმოჩნდა საყოველთაოდ აღიარებული და, ამასთან, ძალიან პოპულარულიც... მომდევნო, თებერვლის თვეში სამჯერ გახდა დაისტამბვა საჭირო; შემდეგ კი უკვე მაისში, ივნისსა და ოქტომბერშიც... ერთ წელიწადში ათჯერ გამოიცა. ეს საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. 1946 წლის იანვარში — მეცამეტე, შვიდი თვის მერე (აგვისტოში) — მეოთხმეტე, მეზომიშვიტე

— 1948 წლის იანვარში. ერთი შეხედვით, უცნაუროც კია, როგორი პოპულარული გახდა ნიგნი ამერიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა (ოფიცერთა კორპუსის და ჯარისკაცთა) შორისაც; არადა, რომანი არც ომზეა, არც საბრძოლო იერიშებზე და არც ამ ყაიდის თავდადრასაზეა. ცალკეული გამოცემები ჯერ კიდევ 1945 წლის თებერვალში დაიბეჭდა მათთვის, ხოლო მეორედ, II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ — 1946 წლის თებერვალში. „უგაგალითო მოვლანა“ — დანიერა კიდევ, რაც 600 000 ცალი ნიგნის გაყიდვას მოჰყვა. ფაქტი იყო, ნიგნი ბესტსელერად იქცა! ამას აღარც სჭირდებოდა ოფიციალური დისტრიბუცია; და მაინც, ჟურნალმა „ბესტსელერი“ თავის შრომ, ამავე წლის (1946) იანვარში მრავალათასიანი ტირაჟი გამოუშვა. არ ყოფილა „განსხვავებული“ შეფასებები, არც დისკუსია გამართულა... ნიგნი ერთბაშად,

პატივით იქნა წარდგენილი ნოდებაზე **Book of the Month Club** (ნიგნი თვის, კლუბისათვის), როგორც ფრიად წარმატებული (ესარგებლომ ცნობილი ქართველი ემგრანტის, ბ-ნი გვიე კობახიძის მიერ ვაშინტრო-ტომპარკში დაწერილ ნარკვევში მოზოფებული ცნობებით).

ისტორია ამით არ დასრულებულა: იმხანად ძალიან ცნობილმა რევისორმა, ჯორჯ სიტონმა პოლოფუს ამ წანარმოების მიხედვით ფილმის გადაღება შესთავაზა. რევისორი — ჯორჯ სიტონი, ტექნიკური დირექტორი — ლადო ბაბიშვილი, მთავარ როლებში — კინოვარსკელები: ზოზე ფარერი და კიმ პანტერი. ფილმში გამოყენებული იყო ქართული სიმღერების მელოდიები და ცეკვებიც. ამ კუთხით დაკავებული (მნივეული) იყვნენ კომპოზიტორი იუნგი და ალექსანდრე ფუტკარაძე... დიდი ჯგუფი მუშაობდა. ფილმი გადაიღეს, თუმცა იგი ოდნავადაც არ აღმოჩნდა ისეთი წარმატებული, როგორც რომანმა...



შადება ფილმის გადაღებისთვის პირველ რიგში: გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილი, ჯორჯ სიტონი, ალექსანდრე ფუტკარაძე და ჯგუფის სხვა წევრები

წურ და ჩინურ ენაზეც (საინტერესოა, ამ უზარმაზარ ქვეყანაში რომანი რა რაოდენობის ტირაჟით დაიბეჭდა); არსებობს თარგმანი „ურდუს ჩათელით“, — ვკითხვლობთ ერთი უცხოელი ლიტერატორის სტატიაში (ურდუ საშრეთ აზიაში გავრცელებული ენაა — ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: პაკისტანი, ბანგლადეში, შრილანკა, ნანდომარე ინდოეთი და არაბეთის ქვეყნების მოსახლეობის უმეტესობას შეუძლია გაიგოს ურდუ). მასშტაბები უდავოდ, ძალიან შთამბეჭდავია!

რომანი აყვალაფერი შეიძლება მოხდეს! („Anything Can Happen“) საქართველოში 1966 წელს გამოიცა. თუმცა ოდნავ განსხვავებული დასათარებობით: „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“ ინგლისურადან თარგმანა ანდრეაფერი ქვიშვლიშა. გარდა იმისა, რომ იგი საინტერესო და კარგი თარგმანია, მნიშვნელოვანია როგორც თავად ლიტერატურული ფაქტი.

საქართველოს  
კავალაქენტის  
ბერძნულში  
ბიკლიშთაქა



სათაურიდან დავინწყით: «ყველაფერი შეიძლება მიხედოს». სად? ეს ზოგადი დამოკიდებულება — დაშვება არაერთი ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა: შეიძლება საკართველოში, კომბინოვანად დაბადებული კაცი უცხოეთში აღმოჩნდეს და არცთუ ურთივად ააწყოს მომავალი. თარგმანში სიორცე დაკონკრეტებულია ერთ ქვეყანამდე. უნდა ითქვას, რომ არის მარცხდადამიწვ არ იცვლება, მოქმედება ამერიკაში ხდება. რომანი 20 თავისაგან შედგება. ეს ნიგინ უჩვეულო კონტაქტის საშუალებაა ერთი მხრივ — საკუთარ თავთან, და მეორე — გარე სამყაროსთან. მთავარი პერსონაჟი თვითონვე ჰყვება საკუთარ თავგადასავალს, ჰყვება სინტერესოდ და ერთგვარი იუმორითაც. მას არ სჭირდება მტრის ბატის გამოვლენა. ადამიანობა და გარემოსაც იმგვარად აღწერს, როგორადაც ხდება.

რომანში (ისევე, როგორც ამ ქვეყანაში) მნიშვნელოვანია დრო. პირველივე მინიშნება დასაწყისშივეა ჩადებული:

„დღის 5 საათზე გემის მანქანები გაჩერდა. 37 დღის შემდეგ გემზე პირველად დასადაგურა სიჩუმემ.“

ჩვენ ამერიკაში ვიყავით.  
წინარეობში თენდება. ახალი დღე იწყება. ახალი დღე ახალ ქვეყანაში, ახლ ახალი ცხოვრება — გიორგისთვის ყველაფერი თავიდან იწყება.

მეორე ნიშანი — ფულა.

ფრაზა: „უფულოდ ვინ შეგიშვებს ამერიკაში?“ ირონიულად ეს კლდე, მაგრამ სახალისო ამბავს გვიამბობს. მინორელდ-დამკვირვებელი არ ტოვებს არცერთ დეტალს, რათა ამავე სინტერესო და დაბადებულს გახადოს. სუბიექტურია გარემო, სუბიექტურია მისი აღქმაც. ანტიკლდე, უბრალო ზოლიანი ნაჭრისაგან შეკერილ „ბინკალა“ ქუდი მშვენიერ კრაველის ბოხის გაცვლის. ვერცხლისფერი კრაველი, რომელიც გამოშვებების წინ ეგებ საგანგებოდაც შეიძინა, იმასაც აღიქვებინებს: „საქართველოში რომ შეცხოვრა, ალბათ, მთელი სიცოცხლე შეყოფიდა...“ მაგრამ ახლა სხვა ქვეყანაშია, „ამერიკაში ამერიკულად უნდა ჩაიკვა.“ შორეულად ხომ არ ნიშნავს: სადაც ჩახავა, იქვართ ქუდი... (იქნება ეს, „დამხმარე სურათი“. ტანსაცმელი პერსონაჟის ვაკეულდ თვისებას ან ზოგად სიმბოლოს წარმოადგენს. მაგალითად: როცა რომელიმე პერსონაჟი იცვამს ნაციონალურ ჩასაცმელს — ეროვნულობის ნიშანი, სპორტულს — პიროვნების ხასიათს ესმება ხაზი, ბლ-მასპარაზე ჩასაცმელი — გმირის და გარემოს სილადის, გართობის, ანდა პირობის, ნიღბებით „ყოფნის“ სურვილი).

და კიდევ: ახალშობილი ქუდების გაცვლისას ერთ დოლარსაც „იპოვის“ და ფაქტი — ამერიკაში ჩამოსვლის აღსაყვ ფულს „გააკეთებს“.

მესამე — სახელმწიფოს ზრუნვა მოქალაქეებზე (პასუხისმგებლობა).

სამედიან მგზავრები კუნძულიდან ნაპირზე უპრობლემოდ რომ მოხვედრილიყვნენ, ამას მთავრობა უზრუნველყოფდა: „ნაპირზე კი ქუჩები, ხალხი, ხმაური. სახეები და ცხელი სახეები. ქოთონი, ვაჯილი, ვეჯილი, მაგრამ ყველაზე მეტი — ფუსფუსი და მოძრაობა: წინ და უკან, უკან და წინ, თვალები ამიჭრელა“. ესეც მეოთხე ნიშანი — ამერიკული ცხოვრების ტემპი.

სამუშაო ადგილის შოვნა ბევრ რამეს ნიშნავს. ეს არაერთი ფაქტორის სანიშნავი ხდება: მშვიდი ცხოვრების, გადასახადების დროულად გადახდის, სხვა საზრუნავის გაჩენის... მით უფრო უცხო ქვეყანაში იგი როდულ გადასაქმნავია და აქაც უამრავი ფაქტორია: ენის ცოდნა, უცხო ადამიანებთან უპოვნეობის უნარი, ქვეყნის სამოქალაქო უფლება- მოვალეობებში გარკვევა. ავტორის ნიჭიერება და რომანის პოპულარობის საიდუმლო სწორედ ის მგონია, რომ მიგნებულია ზუსტი მხატვრული პრინციპი: არა ბანალური ნინააღმდეგობებითა და, აქედან გამომდინარე, ტკივილებით, ცრემლებით, სენტიმენტალური ფათერაქებით სავსე ამბები, არამედ თბილი იუმორი, რეალური თავგადასავალი და „ჩამოსული“ კაცის თვალთ დახანული სიორცე. მწერალი სინამდვილეს ისეთ ბატებს, როგორც მას ყოველდღიური, ჩვეულებრივი ცხოვრებას სთავაზობს.

უცხო ადამიანს დახმარებას შესთავაზებს, ავტომანქანას შეუკეთებს და როცა „ერკლავ“ საუბრის გაგრძელებას ვეღარ მოახერხებს, ლექსიკონი გაახსენდება. ერთი ფრაგმენტი: კაცმა საჭური სიტყვას მაკანა და: „მუშაობ?“ - მკითხა და ინგლისურ სიტყვაც მიმითთა. მის გახსენრე დაწვრილ რუსულ სიტყვას დაებედა და თავი გაავსწიე. „ბინა?“ — მაქვენა მან მეორე სიტყვა. კვლავ უარით ვუპასუხე.

გამეორეთი ლექსიკონი, „გემი“ და „დღეს“ მოვძებნე და ვაქვნიე.

„წამოდი“, - მარვენა ლექსიკონში“.

სამსაბური მოძებნილა — ავტომობილებს შეაკეთებს. გზად არაერთი მიღს ვაივლიან, მასპინძლის სახლსაც მიადგენენ. იმისი ცოლი ავამბებს (კარგად დანაყრდება) და ითახსაც მოუწინებს. ძილის წინ გაჩენილი ფიქრი: „აი, მთელი დღეა ცხოვრობ ამერიკაში და სწორედ ისე ყოფილა, როგორც ამბობდნენ, — ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი, მართლაც, ყველაფერი შეიძლება მიხედოს.“ ერთი დღის შთაბეჭდილებას ვერც მომდევნო წლები გაანელებს. რომანის პირველ თავს: „პირველი დღე“ — ეს ნინადადება დაასრულებს: „უკვე ოცი წელია ცხოვრობ ამერიკაში და აქაურობაზე დღემდე ამ ხარისა ვარ.“

ეს სრულიადაც არ გასწინხმობს იმას, რომ აქ ყველაფერი იდეალურადაა. მხატვრულ ლიტერატურის აქვს უდრეფსი უნარი, დაგანახოს ქვეყანა. ყოველ სახელმწიფოს აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები, რაც მას ყველა დანარჩენისგან გამოარჩევს. არქვენი — ეს მხარეა მნიშვნელოვანი. ამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი. ქვეყნისთვის, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. გიორგისთვის ეს თვალშისაცემია. ერთი მაგალითი: გაუცხოებობაში გაბეჭვევა და პოლიცია საქმეს სასამართლოს გადასცემს. აბუკატი ფიქსერი ურჩევს, თავი დამნაშავედ ცნოს, ვარიონ: 2 დოლარი გადაიხადოს და „საქმე მოჩრება“. ამასთან, პპირდება, „მთელ ჩემ ნაცნობობას დაეიხმარებ საქმის მოსაგვარებლად“. იმას ვერ დავიბრალებ, რაც არ ჩამიბენია“, — ურყვია გმირის პასუხი; თუმცა წინასწარ იცის, რომ პოლიციასთან დავა სახუმარო საქმე არაა. ფიქსეროგოგორად უნდასადა გათვლილი ინდივიდუალური ხასიათი და საქციულის ხარისხი.

ფიქსერისაგან ნამოსულები მისტერ კონინსავე გაემართნენ. ის 47 წელია ამ ქვეყნის სრულუფლებიანი

მოქალაქე და ამიტომაც ურჩევს: თქვას სიმართლე! „არა ვარ დამნაშავე, თქვენი ლიბოვებ“, — მიმართ ასე და ვერ შენი ამბავი მოუყვას.“ კოენი კატეგორიულად არ ამტკიცებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, „სამაჟორ ქვეყანაში“ ცხოვრობდა და უსამართლობა გამოიჩინებოდა. აქ ილიუზორი წარმოსახვებით არ იტყუებენ თავს. იგივე მსჯელობას იქნენ მოსამართლემ ყურადღებით მოისმინოს მომხდარის შესახებ და გაუგოს კიდევ. იმის ალბათობასაც უშვებს, რომ მოსამართლე, შესაძლოა, უხეირო გამოდგეს, ან უბრალოდ, დაღლილი იყოს, ანდა უცხოელებს არ თანაუგრძობობდეს და... მართალია, ასეთები იშვიათია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისევ ჯარიმის გადახდა სავალს. ამის გამო კონკრეტული ყოფითი ცხოვრებისეული წინააღმდეგობა არ უნდა განაზოგადოს და შეიქნას (ამერიკა) არ შეიძლება. ერთ დავალებასაც აძლევს: განაწინის გამოცხადების შემდეგ, „ამინდვი მოდი და შემატყობინე.“ გაცივებული უცხოელის შეკითხვაზე: „ეს რაღა აპირობა?“ პასუხობს: „მაე კენჭს ჩაუვადებ მომავალ არჩევნებზე. თუ ნებისად არ მოიქცევა, მეტს აღარ ავირჩევ.“ როგორ ფიქრობთ, როგორ ნაკითხავდა ამას სამართალ მეთხელე?

სასამართლოში საქმე ამგვარად წარმართა: ყველა დანარჩენმა მონაწილემ თავი დამნაშავედ სცნო და საჯაროში ფული გამოაგზავნა. მოსამართლის კითხვაზე, თითონ რატომ არ მოიქცეოდა მსაჯულად, გიორგიმ განმარტა, რომ არ იყო დამნაშავე. ორმავე ტყელი იქნებოდა, თუკი ჩაუდენდა დანაშაულს აღიარებდა (არ იქნებოდა დამნაშავე და ტყელიად დაიპარებოდა) და ჯარიმის გადახდიდა. მოსამართლე მისი წინსული ცხოვრებით დაინტერესდა და შეკითხვებიც დასვა. აქ მხოლოდ სასამართლო პროცესის ბუნებრიობის დემონსტრირება არაა, არამედ მწერლის მხატვრული ხერხის გამოიყენება: ვაცინოს, ვაგრძელოს და ქვეყანაც, ის რეალობა დაუბატოს შეკითხვებს, რომელშიც ავი თითონაც ცხოვრობს. ამ ამბავს კი ავტორი ამგვარი ფინალით დაასრულებს: მოსამართლე ირწმუნებს ნათქვამს, „და მისი უმწიკლოება, დიდი ამერიკელი მოსამართლე, ჩემსკენ გადამიხარა და, იცით, რა მიიხრა, მე უბრის, უნოს, ექვსი თვის ჩამოსულ გამოუცდეულ უცხოელზე? ახალგაზრდავ, მე მსურს ხელი ჩამოგართვათო, და მართლაც, ჩამომართვა. მთელი დარბაზი გვეყურებდა.“

მათ არა მხოლოდ დარბაზი უსმენს და უყურებს, არამედ უჩვეულო რაოდენობის განსხვავებული მკითხველებიც. ეს პანორამული სურათია: მოსამართლე — სამართალმომხრის სიმბოლე და დეტალი — ჩამორთმეული ხელი. რამდენადღაც „პატარა“ ამორჩეული დეტალი, იმდენად შთაბეჭდილია და ფართო მილიან ტილოზე. მთელი და ნაწილი ერთდება და ერთ მნიშვნელოვან, ე.წ. „ქვეყნის სურათს“ ქმნის.

ძალიან საინტერესო ქვეთავია „მინის ძაბილი“. ქართულმა მკითხველმა ამ მსათაურით, უფრო სწორად, დაახლოებით ამ სათაურით ამავე თემაზე დანერჩილი მოთხრობა იცის, მიხელო ვეაბნებოლის „მინის ყიფლი“. საქართველო, თბილისი, კობახიანიკარი, კახეთი, ზეგურეთი, გუდაურია... ისე ბუნებრივად ასხენებს, რომ არ ჩრება უბერზულობის განცდა, იცის თუ არა ამერიკელმა მკითხველმა, რომელ გეოგრაფიულ სივრცეზე

ესაუბრებიან? იხსენებს ღიმილით, იხსენებს ღირსებას სრული შვარსობით, იხსენებს რეკულმბრიადაც, მაგრამ თითქმის არასოდეს ტკივილით, არადა, ემიგრანტი მწერლისთვის ეს სრულიად ნაცნობი ლიტერატურული მეთოდი იქნებოდა. ვახსენე სიტყვა „თითქმის“. ერთადერთხელ, ძალიან ზუსტ კონტექსტში ჩაყვებებს მწერალი თავის გმირს, როცა ყველასთვის საყვარელი და ახლობელი „ძია ვანო“ მოკვდება. „ვილიცის ცივი ხელი გულის ფიცარზე მიკაკუნებდა, როცა საფლავიდან ამოიყრდა მინას თველს მოვაცილებდა და მეზობლებს გადაეხედავდი, მათ სახეზედაც ჩემ საკუთარ მიმსა ეხედავდი. თითქოს სარკეში ვიხედეოდი. ილიკო, არსენა, კოსტა — ყველანი, მეჭით რომ მინას აყრიდნენ კუბოს, ფიქრობდნენ, ნეტა ვინ იქნება შემდეგო? იქნებ მე უნდა მოკვდებოდა ძია ვანოს შემდეგ, სამშობლოს მომორებოდა. დავიმარტოებო უცხო მინამ და ჩემი საფლავის ქვის წარწერასაც ვერაფერ ნაკითხავს!“

სიკვდილი — სამშობლოში.

სიკვდილი — უცხოეთში.

თითქმის არაფრით გამოჩეული. თითქმის. ერთი შეხედვით და ისიც ზერღვე. არადა, რაოდენი განსხვავების მატარებელი. გარდუვლილი ხეერი. არა მხოლოდ გარდაცვალება, არამედ უცხო მინაც. შეძლებოდა თუ არა მასთან შეჩვევა? მოუადრ, როცა აღარ ვიქნები — თავზარდამცემი არა მხოლოდ ეს ფიქრი, არამედ ისიც — არ ვიქნები ჩემიანებთან. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა მარტოობის „სიშორის“ დამორღვევება განცდას. სასაფლავო წარწერებს არცთუ იშვიათად სრულიად უცნობი ადამიანებიც კითხულობენ. ხან ასეც გაიკვირებენ, ხანაც სიკვდილის ფაქტს გაიოცებენ და დასარწმუნებლად სურთსაც კარგად დააკვირდნან. გიორგი პირველად დაფიქრდა, რომ უცხოეთი — უცხო მინაა და მის საფლავს ქართული წარწერა უნდა ჰქონდეს; არადა, ვინაა აქ ქართულად წამკითხველი? ის დაკარგულია ახლობლებისთვის არა მხოლოდ ახლა, როგორც იტყვიან, ცხრა მთას იქით, არამედ სამუდამოდ სიკვდილის შემდეგ ვ ა ქ ე ბ ა ...

ქვეთავზე ვსაუბრობდ: „მინის ძაბილი“. ავტორი ნაცნობი სიტუაციის დახატვას შეეცდებოდა. სამი წელია გასული, რაც გმირმა სამშობლო დატოვა. ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ მძაფრად აუკვირებს მასთან, ენაა. მშობლიურ ენაზე დამლაპარაკებელს ეძებს. დაეძებს ყველგან, ანაერხილ დაუცრფლებს მხოლოდინი. უკვე იმაზეცა თანახმაა, რომ თუკი თანამემამულე ვერ ნახავს, ამ ენის მცოდნე მანც იპოვოს. ამ მიზნით ამავე ქალაქის უნივერსიტეტშიაც მიდის. პროფესორებმა სირილიც იცინა, რუსულიც, ბერძნულიც, სპარსულიც, სომხურიც და თათრულიც კი. თვითონაც დაინტერესდებიან ამ იშვიათ ენაზე მოლაპარაკე კაცით, რომლის ენა „არ ენათესავება ენათა არც ერთ აჯგუფს!“

ენა არ უნდა დაეოჩნდეს; არადა, ვერავის ელაპარაკებოდა. გამოსავალი იპოვის; მართალია, უცვტ ვერა, მაგრამ მანიც იპოვის. გულის გადასაყოლებლად ღლიდნ დაიწყებს. როგორც კრალისთვის, ისე მარცხვანა დღეებს, სიმღერებსაც... ქუჩაში, სამუშაოზე თუ დუქანში ერთსა და იმავე მელოდიას მღერის: „რონგურე საქართველოა, სიმები ჩუენ ვართ ყველაო...“ ვფიქრობ, ეს სიმღერა სავანებოდა მომზობილი. სიმბოლოვად სიმები ერთად უნდა აეღრდეს.





სწორედ ამ სიტყვებს ლინინებდა სამრეცხაოში პურანგის გამოსატანად მუსული, დახლოში მდგომი ვაოცებული ქალი რომ შეაშრინა. ქალმა მამამისის მიერ ამ ათი წლის წინათ „სან ტელეგრაფში“ ვაგზავნილი განცხადება გაისენა, რომელშიც ის თავისი ენის მცოდნეს ეძებდა, ჯილდოდ დაენიშებინა — 1000 დოლარი. დასაჯილდოებელი არავინ აღმოჩნდა. ქალის მამა იმ დროს შემოვიდა, როცა გიორგი „წყაყას ნაფოტი ჩამოპირდა...“ მღეროდა. ამ სიმღერას მხოვეცამე აყაყლა ხმა. ფსევდობლიერი, მავარი ხიდან ნაფოტებად დაფანტული ქართველები აქ გადაევიდნენ ერთმანეთს („სიმები“). მობოლოური მინის ძახილმა აატირა ორივე, ქართული მელოდია-სიმღერა მხატვრული სიმბოლოა, „პირობითი ნიშანი“, რომელიც ერთ ცნებას, ამ შემთხვევაში მხოლოდ სამშობლოს ნიშნავს.

მათუმიდან პიტხარგში მოხვედრო ძია მონტოს სამშობლოში ნაცხოვრებლად დაბრუნება არ უცდია, თუმცა-ღა იქართვი ყველაფერი ენატრებდა. ამ დღის შემდეგ ისინი ყოველ საღამოს ზეღვოდნენ ერთმანეთს, უცვლადდნენ ინტელექტის, იხალისებდნენ ცხოვრებას, რიგ-რიგობით ინტენებდნენ ადგილებს „ეგვიფისტიკაოს-ნიდან“, გულს იფერებდნენ ქართულ ენაზე საუბრობი და სუფროსი ხილდითაც. სუფრაზე, რომელზეც ზეთისხილი, მარალიანი ყველი, კიტრები და ღვინის დოტი დევს. ძია მონტოს „30 წელი არ გავიგონა ჩვენი ენა, მავრამ ჩვენიბური ღვინის დაყენება არ დაგინებოდა.“

ავტორი რომანში იმგვარად გაღლის მოქმედებას, რომ აქ განსაკუთრებული (ეროვნული) ფუნქცია თუ უპირატესობა არავის აქვს. თითოეული მათგანი ატარებს თავის ღირსებასაც და ნაკლაცაც, ან ირავლეფერონებზე არა მხოლოდ ამ ქვეყნის დამახასიათებელი ნიშანია, არამედ მასშტაბურად ნასაკითხი ნივთისა. ეს არაა ერთი კონკრეტული ქვეყნის ეთიგრანტი მწერლის პირობააული ნაწარმოები, თუმცა-ღა ავტორი შესაძლებელი არ უმეტებს, დაბნაზი აქენტიბი არ „გვამოტოვოს“. ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი ეპიზოდი ამგვარადაც შეგვიძლია ნავიკითხოთ. ადამიანებს საერთო ხადღესასწაულო დღეები (რიტუალები) აქვთ, დეტალები — განსხვავებული. ეგზე ეს სურდვ არაა დეტალი? ეს სრულყოფილება, ენასა და საღმწუნოებაში განსიტყვებული. ერთი მავალითი. თანამეინაბები ადღგომას უღლოვდენ ერთმანეთს: „ქრისტიც ალსდგა“

— ლამაზი ჩვეულებაა, — თქვა მისის ბეტიმ, რომელიც საუბრის უწყობდა ბავშვებს, — რას ნიშნავს „ქრისტიც ალსდგა“?

მე ვუთარგნენ, რასაც ნიშნავდა. უნდა უპასუხოთ — „ქეშობრიცად“. ეს ნიშნავს: მე მნამს, ნადვილოდ მფერა, რომ ალსდგა. ეს ჩვენებური მილოცვაა, თქვენ, ამერიკელებმა ხომ იცით ალდგომის მილოცვა — ბედნიერ ალდგომას გისურვებთო, ამბობთ.

— თქვენი სჯობს, „ქრისტიც ალსდგა“, ძალიან მომწონს. ლამაზი და ქვეყანური...“

„სჯობს“ — ეს უცხოელმა უნდა თქვას. ჰოდა, ამბობს კოდექ!

ავტორი სხვადასხვა პერსონაჟს ირავლეს განსხვავებულ თავგადასავლებს მოსაყოლად. ნამბობი მთბრობელის დასახასიათებლადაც გამოდგება და იმ ადამიანებისაც, რომლებზეც ვგვიამბობენ. იცვლება გარემო და

ეს ადამიანებიც იმ ქვეყნის „ქუდა“ ისურავენ. ესეც სრულიად ბუნებრივია. გიორგი ჯერ მელიების მოშენებას გადაწყვეტს, არ გაამართლებს; მერე რალაც გაურკვეველ „ადგულ-მამულს“ იყიდის; არც ეს გამოდგება აზრისინი. შემდეგ — საქმელების მომზადება და რესტორნებთან კავშირი; სრული ფისაკო, მავრამ იოლად შეგვეუბნა. ამაზე სულ არ ენაღლობიდი.“ ესეც ამერიკულია. ბიზნესი — მოიგებ-ნააგებ. მთავარ პერსონაჟს სხვა თვისებაც მოსწონს: ამერიკელი მუშები „სხორად იცინოდნენ (ხანდებან თავიანი თავზეც კი)“. ეს კი უდავოდ დიდი ძალაა. ცნობილი ქუმარიტებაა, როგორც კი მოახერხებ გვერდდინ, ლიმილით შეაფასო საკუთარი თავი და საქციელი, იმავდროულად სხვა სიმაღლეზე დგები. თვითიროსი გაძლევს შესაძლებლობას, გახვე დისტანციური შექმნილი პირობებებთან. ან კიდევ ამგვარი ფრანა: „ეს უკვე აღარ არის ჩემი საქმე“. შენ ეს აღარ გეხება იმ ქვეყანაში კი, რომელიც შენ დატოვე, ყველას ყველაფერი ენებოდა, თავისიც, მუზობლისაც და ხესისაც...“

ნანარმოებში ერთგან უშუალო თარიღობა მითიბული — 1932 წელი. ესაა დრო, როცა კრესისია ქვეყანაში, სერიოზული ეკონომიკური პრობლემები; „დერესისი ხანა“, როგორც არცთუ მჭიკათად ახასიათებენ. სამსახურიდან დათხოვნა, გათიციები, კონფლიქტები... ერთი ასეთი ამბავი აქაცაა აღწერილი. გიორგი სრულიად შემთხვევით „გაჩერებულ“ ქარხანაში იხებებს მუშაობს. უფრო სწორად, ესაა ცრუსაქმიანობის დემონსტრირება, როცა რეალურად ბრმედეები არ მუშაობს, არამედ ვიღაც საცეცხლურში გაზოტული ქალადღებს უკეთებს, რათა მიღებიდან ახლუმა კვამლმა ეს ილუზია შექმნას. მთელი ეპიზოდიც მოყოლას არ შეუდგები, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ აქ გამოყენებულია აუსტრიკური კონტრასტი: ერთი მხრივ, სიჩუმე [ქარხანაში მომუშაუები ლაპარაკს ვერებდნენ, სიტყვათუნებობენ; ერთი [საერთოდ ყრუ-მუნებო], ხოლო, მეორე მხრივ, ხმაური (მართალია, თვით მომიტინგეები არ ჩანან, მავრამ იმ ძალადობას, რომლის შედეგებსც ესაა დაზარალებული პირთა სახით ვხედავთ, ის ღირალიც უნდა გავხილო, რომელიც „ისინი“).

რომანში ბვერი პერსონაჟია, უფრო მეტი — დეტალი. გვარე სამყაროსთან კონტაქტიც განსხვავებულია. ასე მაგალითად, არცთუ კომფორტული მავარობისას მთავარი გმირი მიდამოს (დასაფარი ტერიტორიის) თვალიერებისას კმაყოფილებით დასაკენის: „ამერიკა... დეიოს ნახელებ ხალხისავით იყო გადამოკლები“. ის ლატკეთა ხუხულებსაც ხედავს, ფერადანიანებსაც, „რომლებიც კინისკრით გაეგდოთ სუფრიდან. ეს სუფრა ცხოვრებას მხოლოდ ჩვენივით — თეთრკანიანებისათვის გავაშლა.“ ნაკლაცაც ჩვეულებრივად, პათეტის გარეშე იტყვის. ამის მიმართაც თავისი ხედავ აქვს: „განა ქვეყნად არის სრულყოფილი მხარე?“ კითხვა იმგვარი პოზიციონაა დასმული, რომ ვასაგებია პასუხიც, მავრამ მინცაა ენ. „დამაშტებით“ წინადადებაა: „ნამდვილმა სიყვარულმა ნაკლავებებზეც უნდა აიტანოს.“

განსხვავებული ადამიანები. განსხვავებული ცხოვრების წესი, ფსევლოებიც, პრეტენზიები, იმასთან მიმართებაც, როგორ უქმნიან ერთმანეთს არსებობის ასპარეზს. რუსების ოჯახი ალიასკაზე წასვლას დაიფინებს, მავრამ დამწმარე სჭირდებათ. სულ არ აინტერესობთ, უნდა



თუ არა გიორგის მათთან ერთად ნასულა. მათთვის ასეა საჭირო და მორჩა. ამ ოჯახის 16 წლის ქალიშვილის, ლუბას მოთხოვნით, მოლიფედნო რომ აპირებდა კარიერის „გაკეთებას“ და სულ არ ანაღლებდა დედა-მამის გვეგემბო, კალიფორნია გადაწყდა. გიორგი აქაც არ „გამორჩენილა“. ახლა კალიფორნიაში ნავა ეტ კარა, სამეზაგორ ავტომანქანის გარდა, ოჯახი საბარგო მანქანასაც კატეგორიულად მოითხოვს — ავეჯის გადასატანად. ცუდად ეძღვრს ფრანა: „ვიმოვე საბარგო მანქანა“. განსხვავებულ ადამიანთა ერთ სიტუაციაში ჩაყენება და სრულიად სხვადასხვა საქციელის ჩვენება მრავალფეროვნების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. მკითხველს არ შეუძლია დაინახოს ყველაფერი ერთად. სანახაობა მთლიანობაში რომ იქნას აღქმული, ის ამოვსაურებს თავის გმირებს. გზა, განსჯედელი, ათასი ფართოაკი მწერელია დანტახის ფართოდ გამოსს საშუალებას აძლევს. მშორად იცვლება ფონი. უცვლელი პერსონაჟთა თვისებები. ამახს მკითხველი კითხულობს და ერთიან სურათს ხედავს.

კოლორადომდე ერთი დღის საჯალზე მანქანა მდინარეში, ლამში ჩაველო. ანა ფეოდორენა ავეჯს დარდობდა; მამა გაურკვეველი განმარტების მიცემას შეუდგა. საანდერლოდ, შეანყვეტინეს. გზაზე ტენისნები და ფორნები გამოხდნენ, რომლებიც ცხერის ფარას მიუჩეკებოდნენ. ისინი ნავაპოები — ინდიელები აღმოჩნდნენ. უანგროოდ დაეხმარნენ მანქანების ნაპირზე ამოარტყაში. გასამარტული უარი თქვას — „არც რამდენი“. გიორგიმ ნინასწარი ივარაუდა, რომ ასე იქნებოდა, ამიტომ საჩუქრები მიაჩარა, იმთავით ასევე უპასუხეს. ცხვრებიც დაიკლა და საკუთარი ერთგულნი ჩვეულებისამებრ მომზადდა. ქართული მწვალები ამომხიდა და აკერმატეს. მოხიბლულმა ნავაპოებმა ჰკითხეს, რომელი ტომიდან იყო. „მე ქართული ვარ“, — ეტყვის გიორგი და ერთ-ორ ამპასაც მოუტყუა თავის მხარეზე... მხატვრული ნაწარმოებისათვის მიმხეწელვანი არა მხოლოდ საინტერესო სიუჟეტია, არამედ პროფუნებით დამოკიდებულების პროცესი; ფინალიც, როგორ დაასრულებს ეპიზოდს ავტორი. გამომწვდობებისას ისევ ვაცვლიან საჩუქრებს და კეთილად დაემკვიდრებიან ერთმანეთს. სამავიგროდ, სუფრას გიორგის არტვითი თანამშელებელი არ მიეკარება. კომენტარებს კი არ დაიშურებენ:

„...მსოფლიოში არ მოინახობა მავათოუ ბინჭური და შესაბამი ხალხი“, — ეს ანა ფეოდორენაა.

„საშინელი შესახედავეებიც არიან“, — ეს მისი ქალიშვილია, ლუბა.

„ველური ხალხი“, — მისი „აღმატებულების“ დასკვნა. არ დააკლებს მთავარი პერსონაჟის (თუ ავტორის) შეფასება: „— ახი კი იქნებოდა, ყველა დეტალებინით უნა მდინარეში... მე თუ მკითხავთ, მავ ვეწურებმა იციან, როგორ უნდა იცქივოდეს ქაუტური კაცი და ასევე მოიციენენ!“ გიორგი და ნავაპოები ერთნაირები არიან: კეთილნი, უანგარონი, ჩვეულებრივნი...

ამავე კონტრადიქცი. მავზარობაც. პრაქტიკულად გიორგის ფულით გააგრძელებენ გზას. მას დატოვებენ (ავეჯს მეთვალყურე სჭირდება). ერთი კვირის შემდეგ ღია ბარათსაც გამოუტანა: მშვიდობით ვინგზავრეთ და ერთ-ორჯერ „აღაგზავტე“ ვიცავთო; ფულის გამო არც კი მოუბოდიშებენ, მხოლოდ მორეულად დაამიხედებენ... და

„ნახვამდის“. ეს მხოლოდ იმ პერსონაჟთა დახასიათება არაა. იგი გიორგისაც ახასიათებს; მკითხველი გუნებაში რომ გაიფიქრებს: „დამისაზურე“ ასე რომ მოგვეტყვნო (მით უფრო, რომ უკვე მთლიან ჩასულს ნალოიავებ ავეჯზეც მოუთითებენ — სანავიკსკენ, გადასაწვრდალად). ამ კატეგორიის ადამიანები ისე იცქივიან, რის უფლებასაც აძლევს... „შემოთ „ერთიანი სურათი“ ვახსენებ. ეს სურათიც, ვფიქრობ, ნარმატებით დაიხატა.

ორიოდ სიტყვა იუმორზე. დიდი ქალკის ორომტრიალი. უპრობლემები. უსიამოვნებები. თუმცა, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორი თვალით შეხედავ. ასე მავალითად; როგორც იქნა, სამუშაო იმოვა: ქანდაკების ჩამოსხმულ სახელოსნოში გადავიდა; თაბაშირისაგან ულახაოდ ფიგურები უნდა ჩამოესხა. ერთხელ მთავარმა მოუხიდაკემ აქლემის ჩამოსხმა დაავალა. გიორგიმ ჩაიფლავა, რომ შემოთავაზებული ნიშეში ძროხას უფრო ნადავლად; აქლემს რომ დამსგავსებდა, აქა-იქ დეტალები შეესწორა.

„როცა მოქანდაკე ჩემი ნამუშევარი ნახა, შეცვცხლდა და ის სკოლები ჩამომითვალა, სადაც ესნავლა — ლონდონის, პარიზის, დრუხდენის (დარწმუნებული ვარ, ამ ქალაქებში აქლემის ქაჭანებაც არ იყო)... უშუშეკარი დაერჩი.“

**ჩანართის სახით: გიორგი პაპაშვილი ვახლდათ მოქანდაკე, რომელსაც არაერთი საინტერესო ნამუშევარი შეუქმნია. იგი აწარმოდა გამოფენებს, უშარავ დამოუკიდებელია შრომის, რასაკერძადაც, კოლფევიც და პროფესიონალი შემეხატელები იყვნენ. მასზე, როგორც ავტორმა და მის ნამუშევრებზე ინერემოდა რეცენზიები, გამოკლევები...**

ამონარედი კვლავ რომანიდან: სამუშაოს შესთავაზებენ. უფროსს უნდა შეახვედრონ. შეახვედრებენ. აბრეშუმის შერანგში გამოსყოფილი ბრგე მამაკაცი სავარძელში იჯდა და სივარას აბოლუტდა. მის ფერხითი ორი ადამიანი მოკალათებულდყო და ფეხსაცმელებს უპრაილებდნენ.

„— კიდევ კარგი, რომ რვაფეხა არაა, — ვუთხარი დალაქს რუსულად, — მამნი ხომ მთელი არმია დასქიდებდობა გასაპრაილებლად.“

ეს ეპიზოდები საინტერესო იმენადაცაა, რამდენად ზუსტადაა შერჩეული გარემო, რომელშიც სიცლიმა თავისი როლი უნდა შეასრულოს.

ხალისიანმა აზრმა ავტორის სათქმელიც უნდა გამობატოს და, ამასთან, არც მხატვრული ნაწარმოების კომპოზიცია გააუმარალოს. მწერალმა თავად უნდა ამოირჩინოს არა მხოლოდ ექვივანი ფინალი, არამედ იუმორის ქვეტექსტიც. ასე მავალითად: თავს ჰქვია „ყველაფერის კურნა“, გარდა სიყვარულით დამწვარი გულისა. „აქ ნარმატებთაა გამოყენებული კონტრასტის მეთოდი. მეგობრის ავადობა, გაურკვევლობა, გამოსავლის ძიება, არაერთი ვარაუდი, მიზეზთა ძებნა და ექვით, ეგებ სიყვარულია ყველაფერის თავივდათავი; იქვე სრულიად „სერიოზული“ შეთავაზებაც — ნიორწყალი; ნიორწყალი, რომელიც ყველაფერს კურნავს სიყვარულით დამწვარი გულის გარდა. არადა, ამასაც ხომ უნდა უშეგებო რამენი?! ისევე, როგორც საკუთარ მიგნებში — ნიორწყალის ყოვლისშემძლე ძალაში — სუთითაც არ ვარებნა ექვი ძია ხალხს, იმის [დამწვარის] ნამალიც იცის:



— მაგას რა შეეღის ძია?...  
ძიამ ცერით გაისწორა უღემაში და მიპასუხა:

— მხოლოდ სამარე, ან სხვა უფრო ლამაზი ქალი.”  
აქ არაა მხაერნიანი ჟრიაბეული, თუნდაც ვულოიანი ხარხარი.

არაა როგორც მთავარი პერსონაჟი იტყუდა: „ვიცინი, მაგრამ მზადებლს.“ ეს თბილი ოფორი თანაბრადაა გადაწანულეული პროზაული ნაწარმოების თითქმის თითოეულ თავზე.

რომანს ერთი საინტერესო ასპექტიც გააჩნია, დიდი ლიტერატურისათვის და მახასიათებელი: ტრადიცია „ამბების“ მოყოლისა. ზოგიერთ ტექსტში ამას მოგზაურები მიმართავენ, დერვიშები, სასახლის პირისფარეშები, „მეზღაპრები“, მომოდინე მგზავრები... არცთუ იშვიათად ეს დროს „მოსაკლავად“, გასაყვანად ხდება. თავში „იქ, სადაც ახლაც სინდან გოლიათებს“ სხვადასხვა მთარაგის მიერ ცოცხალდება სრულიად უჩვეულო, იდეალური თავგადასაუღლები ამბები, რომლებიც მოყოლის პროცესშიც სხვა ხედვის კუთხიდან დაგვიანახებს მთარაგის და მსმენელსაც.

„ილი გამდიდრების გზები“, „როგორ გაყიდა ჩანწომ ჩემი ცხენი“, „კარგი მეზობელი“ — ნაწარმოების საუკეთესო ეპიზოდები...

დაბოლოს, რომანის ფინალი.

გვირგვინ ოჯახში სურნაი გაძლილი. მოტივაცია — ბანკში ბოლო შესატანი გადახიდა და „ერთი ნაგლეჯი ამერიკული მინის მფლობელი გახედი.“ აქ ძალიან სწორადაა გათვალისწინებული (ვათუღობი) მხატვრული და აზრობრივი დასასრულის სიზუსტე. დაუშვებელია ყალბი ფრაზა ან საქციელი. დავუღოს მოქმედების სინქრონიზაცია: ახალ-ახალციხა, გაძლილი სურნა, უახლოესი მეგობრები, მეორე დღეს აღდგომის დღესასწაული და ლხინი. ამ კონტრასტში სრულიად ბუნებრივ და ფსიქოლოგიურადაც გამართლებული ერთი აუცილებელი დეტალი — სადღვერძელი (წიგნის ბოლო თავი).

...ამა პატარა ჭიქით სამშობლოს გაუმწარავს. ჩვენ გვიხარია, რომ სურფასთან ამდენ ამერიკელს ვხედავთ. დასაკურთხები იმიტომ, რომ წინათ მათ პატივს გვცეს — თავიათი დართო სურფასთან მივიწინვის და ვაუღლებად ვაგვიანასინძლდნენ. ჩვენ ვეძლობდით, კარგი სტუმრები ვყოფილიყავით და იმედ მაქვს, ვიყავით კიდევ. ეს ერთი სამშობლოა. მათ გარდა მრავალ სხვადასხვა ეროვნების ადამიანი შევიკრიბეთ აქ — ქართველები, რუსები, ბერძნები, ლატვიელები, ესტონელები, ირანელები... — ნამდვილი ერთა ლეგია. მე ესეამ ყველას სამშობლოს სადღვერძელს და როცა ვხედავ, თუ როგორ მშვიდობიანად ვხსენებართ ერთმანეთის გვერდით, მნამა, რომ მთელი მსოფლიო მოგვბამავს. ბოლოს და ბოლოს, ეს ზომ ბედნიერი ცხოვრების ერთადერთი გზაა. მამ ასე — სამშობლოს გაუმწარავს!”

გიორგი პაპაშვილი საოცრად ნიჭიერი მწერალია. მას ძალუღს სათქმული განაზოგადოს, ფიქრის თვალსაწიერიც გადაფართოს და, ამასთან, მკითხველს არა თვალმისაცემად, ისე, საკუთარ სამშობლოზეც, საქართველოზეც ელაპარაკოს. უფრო ზუსტად, სამშობლოა, როცა მის მკითხველს კონკრეტულად, გაუმგაფიული სახელდებით აცნობ „კობახთაქარი, თბილისი...;“ სამშობლოა, როცა მის კუთხებზე უამბობ (ფშაეი, ბეესურეთი...); სამშობლოა, როცა მის ნეს-

ჩვეულებებს აღწერ (სურფასთან მოღბენის, სადღვერძელეობის წარმოქმნის ნების და რაგის, დასაღველების რიტუალის); სამშობლოა ის ნაციონალური სამზარეულოც, რომლის მომზადებასაც კი ასწავლი შენი პერსონაჟების მემკვიდრით (ზინკალი, მწედი, ჩახობბილი, ნორსწყალი...); მოკლედად გავაგებნებ: „...კონკრეტული ის შეტამანი, რომელიც ბავშვობაში გიტამია და რომლის გემო სიკვდილამდე მიგყვება. კონკრეტული ის გულგადარღვეული მინა, რომლის სუნი გწყურია და არ გავიწყდება“ (ნიკოლო მინიშვილი).

საკუთარი ქვეყანა ყოველ ნორმალურ ადამიანს უყვარს, მაგრამ დიდი მწერლობა ისაა, როცა მკითხველს დაინტერესებ შენი სამშობლოთი, რუკაზე მოაძებნინებ და ნახვის ნატვრას გაუღწენ. რომამა აღბათ არაერთ ადამიანს მოჰგვარა ამგვარი განცდა. მე ერთი ვიცი. ბაჭთინ გვიკობახისძის ნაამბობიდან ვიცი. ქართული ემიგრანტი დეტალურად ისხენებდა, სხვა თვალსაწიერიდან შეითონაც როგორ „იფიქრა“ გიორგი პაპაშვილის თვისახებ. ამერიკაში მცხოვრები აღწერს ამ ქვეყანაში არსებულ საქველდობელ ფონდებს, საზოგადოებების თუ ორგანიზაციათა სტრუქტურებს. ისინი თავის საქმიანობას, იქნება ეს უნდაცა თუ სხვა სოციალური პროგრამები, მისახლოების შემონირულებების ხარჯზე ახორციელებენ. სასოგადოებას არაერთხელ გამოუთქვამს გულსწყრომა, რომ სახელმწიფო უფრო სერიოზულად მოჰკვებოდებ ამ პრობლემებს, მაგრამ თავის მხრივ უღელს ამ აკლებდა იმ საქმეს, რომელსაც თანაუგრძნობდა. ამ ქველმოქმედთა რიცხვი იყო კობახითა ოჯახიც, განსაკუთრებით მისი მშუღელი. ერთ დღეს სტუმარი სწევითა. „ქართული ნებისამბენ“ ოჯახში შეუპატიებებით, რასაც მოსული ცოტა გაუკვირებია და საუბარიც შემგვარა.

მართალია, მასპინძლები თითქმის 43 წელი იყო რაც ამერიკაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ზნი გვიცი ღიბილთ გაისტყება: „როგორც კი პირს გავაღებთ და ოროდღ სიტყვა ამოვკაყვავთ“, იმ წოთსად გვეკითებინა: „Where are you from?“ — „საიდან ხართ?“. ახალგაზრდა ქალს შეუმწეველი არც მათი აქცენტი დარჩენია. ჯორჯიას სხენებზე მოსულს არც კი დასჭირებია განმარტება, ამერიკის ჯორჯიაში რომ არ უნდა არიოდა. სტუმრის აღტაცებამ ყოველგვარ მოულდენლობას გადაჭარბა, მეტიც, მასპინძლები ოდნავ დააზნა კიდევ. „O Georgia, Georgia, Papashvili Papashvili, Georg and Helen Papashvili... Anything Can Happen...“ როგორც ვაირკვა, ნაკითხულ წიგნს იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ახალგაზრდა ამერიკელს სწორედ რუკაზე უძებნია საქართველო, ენციკლოპედიები გადაუშლია... ახლა „ციცხაბლ“, ნამდვილ ქართველთან, მწერლის თანამემამულეებთან შეხვედრა მისთვის ლამის საკრალურ წინმეტვლობას იქნება. „ეს შესანიშნავი წიგნი ხელიდან ხელიმ გადავიღო“, — ამბობდა ქალი, „რა კარგი მოთხრობაა, რა სამაო და სიხარულის მომცემელი ოფორი, რა კეთილი, რა სტუმართმოყვარე და რა სიმპათიური ხალხი ყოფილან ქართველები.“

მკითხველს არა მხოლოდ ნაწარმოებზე არამედ ერზე შექმნოდა შთაბეჭდილება: „თუ გავით რაიბი ინგლისურ ენაზე საქართველოს შესახებ, მთხრობე, ლეთის გულსათვის.“ ეს ბოლო სიტყვები კიდევ ერთხელ დააფიქრებს თავადაც პოეტსა და რედაქტორს მწერლობის



დიდ შესაძლებლობებზე. თავის მკითხველთან ერთად გაიხსენებს, როგორ დაუღალავად მუშაობდა „მიძინებულ მსოფლიოს“ გამოსაფხიზლებლად, რამდენი პოლიტიკური მემორანდუმი დაურწია ერთა და ადამიანთა უფლებების დაცვის აუცილებლობაზე, თანამაზრებთან ერთად გამოსულა მიტინგებზე, კონფერენციებზე, დიპლომატიურ შეხვედრებზე; ხედებოდნენ ელსტე, მინისტრებს, პრეზიდენტებსაც კი, მაგრამ... თავის გულსხეცვას „მოძღვრისა და მასწავლებლის“ — მიხეილ ნერეთლის ნამშობოს გაამყარებს. ცნობილი მეცნიერი მკაცრ რეალობას არ შეაღამებებს, იმასაც გაიხსენებს, როცა ვაგზავნილ მიმართებს თავაზიანი, არცთუ იმიჯთად, თანაგრძნობით საესე პასუხები მოპყვებოდა, მაგრამ საქმით ბევრი არა გამოსულა რა. „ქართული საკითხი“ თითქმის არასოდეს აქტუალური არ გახდებარა მსოფლიოსათვის, და აი, აქ ვაჯავილებს მისაკი ნერეთელი მთავარ აქცენტს და იტყვის: „სულ სხვაა მწერალი! გრიგოლ რომაქიმემ თავისი რომანებით არა მარტო გერმანია ააღაპარავ, არამედ მთელი ევროპაც!... დასაბუთებლად ევროპა რომაქიმის ნაწერებთან აუკეთ გაცეცხო საქართველოს და უფრო დანიტრუქდა“, ვიდრე პოლიტიკოსთა მიერ განხეული საქმიანობის შედეგად.

ამერიკული ლიტერატურისთვის ცნობილი იყო ნიკი (ნიკოლოზ) ჩხოტუას, პავლე ჭავჭავაძის, სანდრო ნებლოს

(იგივე ალექსანდრე პაპუაშვილის) პროზაული ნაწარმოებები. მათ შორის ამ უკანასკნელის რომანი ერთ-ერთმა ამერიკულმა გამომცემლობამ ამ რამდენიმე წლის წინათ ხელახლა დასტამბა კიდევ. ამ მწერალთა გვერდით გიორგი პაპაშვილის სახელი მაინც სხვა რანგის წარმავლებით იყო მოცული. როგორც გივი კობახიძე წერდა: „პაპაშვილმა სხვა დიდიერებით დაიჭივდა და ამ ქუხილის ექი-ვაშობახილი დღესაც კი ძლიერია და არ ნელდება. პაპაშვილმა სახელი გაუთქვა საქართველოს და ქართველ ერს კეთილი გულით, თბილი ღიმილით და სიტკბოებით აღსაცემ სულით, იწვევდროს ღრმად ადამიანურობით.“

ფაქტია, ამერიკულმა მკითხველმა საზოგადოებამ გიორგი და პელენ პაპაშვილების წინა ბესტსელერად აღიარა და არაერთი ძალადა საყურადღებო რეცენზიად დაიწერა. ხედავის განხილავებელი ხიბლი იმავდროულად გამოირცხვება კულტურის ეგზოტიკიზმის. არაერთ ენაზე თარგმნილ წიგნს განხილავებელი ლიტერატურული გეოგრაფიების მკითხველი თითქმის ერთნაირად კიბუხულობდა.

თავისთავად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტი მასშტაბური ხედავის და გარკვეულ, დიდ კონტექსტში გააზრების შესაძლებლობას იტოვებს... და მაინც — ქართველი მწერლის ამერიკული ბესტსელერი!

პასუხის-ინტერვიუ

მარსელ პრუსტის ანკეა

2000 წლის 24 ივნისის „დილის გაზეთში“ გამოქვეყნდა მრავალმხრივ საველისბმო, ციკლად ნაწარადღევი მასალა, რომელიც ნამოინყო ჟურნალისტმა და მოეტმა ნატა ვარადამ. ვინი მენორე წინათქმაც (ამტერად კუხოურებით რომ ვიმოურებთ) თავისებურ ლიტერატურულ თამაშს პირდებოდა მკითხველს — სახალისოსაც და სულის მარტემტლსაც:

„მოდა ჭირვეულია. მოულოდნელად საიდანაც დაიბადება, რომ მერე უტეებტ გაქრის. მაგრამ მოდა ზოგჯერ ისეთ ეკლასიც ტოვებს, რომელსაც სიამოვნებით მიჰყვებიან შემდეგი თაობები. ასე დემარტია ვიქტორიანული ეპოქის ლონდონში აღმოცენებულ მოდურ სატილიონო თამაშს, რომლის აზრიც, ერთი შეხედვით, მარტივი და მზიარული იყო: „მოთამაშეს“ პასუხი უნდა გავცა ერთგვარ სტანდარტულ კითხვებზე, რომელსაც ინერდინს სპეციალური ალბომში. პასუხები უნდა ყოფილიყო გულწრფელი და მართალი. ლონდონში დაბადებული თამაში მალე მთელს ევროპას მოედო და გაავრცა...“

თამაში დედი ხნის მივიწყებული იქნებოდა, თავის დროზე რომ მარსელ პრუსტს არ განეახლებინა. უპასუხა არ კითხვებს ორჯერ: პირველად 14 წლისამ, ანტუანეტა ფონის, საფრანგეთის მომავალი პრემიერენტის ქალიშვილის თხოვნით, მეორედ — 20 წლისა (14 წლის ასაკში: სად ისურვებდით ცხოვრებას? — იდეალების სამეფოში, უფრო

სწორად, ჩემი იდეალის სამეფოში. 20 წლის: — რომელ ქვეყანაში ისურვებდით ცხოვრებას? — სადაც ჩემი სურვილები ჯადოსნურად ასრულდებოდა და სადაც სიყვარული ყოველთვის იზომბრევი იქნებოდა).

ამ ინტელექტუალურ თამაშს ამ დიდებული მწერლის პატუესაცემად მემდგომ დაერქვა „მარსელ პრუსტის ანკეტა“, რომელმაც ის მაშინვე გადაიყვანა შემხვევებულ რანგში და აღჭურვა შთამომავალთა გენმწყარებელი ღიმილით.

ანდრე მორუას რწვეით, ლიტერატურათმცოდნე ლეონ პეიარმა თხოვნით მიმართა მე-20 საუკუნის ცნობილ ფრანგ მწერლებს, ეპასუხათ „პრუსტის ანკეტაზე“, რამდენიმემ გადაჭრით იუარა: ვილაც ამას „დაუმეველეს სულიერ სტრუქტურაზე“ მოიხსენიდა, ვილაც — სულელურ ელიტარულ კართობად. მაგრამ ბევრი დათახნმდა და პასუხიც ვასცა კითხვათა ნაწილში წიგნი.

ლეონ პეიარმა დაიხყო ამ „ალბომის“ შედგენა 1952 წელს. 1969-ში კი ვამოსცა სახელწოდებით „ასი ფრანგი მწერალი პასუხობს „პრუსტის ანკეტაზე“.

ექვე იყო გამოქვეყნებული მარსელ პრუსტის პასუხების თარგმანიც და ნატა ვარადას მიერ ველა მუხაშავრიასგან, ბესიკ ხარანაულისგან, მედეა კუხოხიძესა და ზურამ ყოფითისგან აღებული ინტერვიუები.

ამ კარგ ჩანაფიქრს იმზანად ვაგრძელება არ ენერა, მე-რე კი მივიწყებთს მიეცა.

იქნებ ახლა მაინც მოეხება თავი იმ ნამოწყებას ნატა ვარადას ხელით და დაგვირგვინდეს იმ წარმავებით, რაც „ჩემი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალისადრე თუ გვიან ნიგანდაც შეკრავს.

გიორგი კეკელიძე

## ბარემ ჯიუტი დაპრჩა

1. თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— საზოგადოებრივ საპირფარეოში უცებ კარი რომ ჩაგეკეტოს.

2. სად ისურვებდით ცხოვრება?

— მონღოებით მშენებელი ვარ, აქვე ავაგებ რამე უკეთესს.

3. რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— როცა ააგებ და გრძნობ, რომ შეგიძლია დაანგრის და ისეც ააშენო.

4. თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— პეტლებერი ფინი. ბარონი მიუნჰაუზენი. სტეინბეკის „მარგალიტის“ ინდიელი-კინო. ფატმანი.

5. თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ზონაპარტე, სიმონ მეფე.

6. თქვენი საყვარელი მხატვარი?

— შოლომანი

7. თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბეთოვენი

8. რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ბრძოლის უნარი.

9. რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ზღვრადამებულ ბრძოლის უნარი.

10. რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომზიბლავი?

— ალბათ უფრო სიკეთე.

11. თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ფეხბურთის ცქრა.

12. თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— რომელიმე შაჰი ირანში.

13. თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სიჯიუტე.

14. რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— იმას, რომ ჩემი მეგობრები არიან.

15. თქვენი მთავარი ნაკლი?

— ის, რომ ნაკლზე ნაკლებად ვფიქრობ.

16. თვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— იმდენად ბანალური, სათქმელად არ ღირს.

17. რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— მოულოდნელი გარდაცვალება.

18. როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ოდნავ უფრო ჭკვიანი.

19. თქვენი საყვარელი ღერი?

— ნითელი.

20. ყვავილი, რომელ-იც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გვირილა.

21. თქვენი საყვარელი ფრინველი?

— გარეული ბატი.

22. თქვენი საყვარელი მწერალი?

— ფრანც კაფკა.

23. თქვენი საყვარელი პოეტები?

— შინდარე, რუმი, რუსთაველი.

24. საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ჯენი ვარი – ბავშობიდან გამოშყვა.

25. საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ვერ ვიხსენებ.

26. საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— მდედა.

27. საყვარელი სახელები?

— არ მაქვს.

28. რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— მოუხერხებელ სანოლს.

29. ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმახურა?

— აიქტი და იაზონი.

30. საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— სალადინის რევანში.

31. რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ადამისგან ვეას შექმნა.

32. ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— მუსიკის წერის.

33. როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მოხერხებულ სანოლში.

34. თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— შეძლებისდაგვარად მშვიდი.

35. ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ნებისმიერი ადამიანური გადახრანი, თუ მასშტაბურია.

36. თქვენი დევიზი?

— ბარემ ჯიუტი დაგრძე.

37. თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— პირველ რიგში მე გაეყოფებოდი და ვეტყვოდი: ნამდვილად არ გელოდით აქ. მასები ღმერთის წარმომავლობაზე და ხასიათზე იქნება დამოკიდებული.







დაიბადა ბათუმში, 1974 წელს. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. სამეცნიერო ნაშრომები: „ქართველი გამომცემები აჭარაში“ (ბათ.2001); „აჭარული სამონაწილო მითოსი“ (ბათ.2004); „სახვითან დაბრუნებას“; „ქართული კოსმოგონიური მითო-რიტუალური მოდელები“ (თბ.2008); „მითოსური სიმულაციები. მშენიერი ურჩხული“ (თბ.2009). მისი ლექსები და მოთხრობები პერიოდულად იბეჭდება საქართველოს ლიტერატურულ უფროსეულ არის ლიტერატურული კონკურსის — „წერი“ 2007 — და 2008 წლის ფინალისტი პოეზიასა და პროზაში; მისი რომანი — „HOMO TOTUS“ (2008) ნაიდგენილია ლიტერატურულ კონკურს „საბა 2008“ — ის ერთ-ერთ ნომინაციაზე. მოხიზრობა „ღონ მანუელი და ოქროს თევზი“ შესულია „2008 წლის 15 საუკეთესო ქართულ მოთხრობაში“.

ხათუნა თავდგირიცი

# ღონ მანუელი და ოქროს თევზი

ერთხელ ოქროს თევზმა და ღონ მანუელმა ადგილები გაცვალეს.

როცა მანუელმა ციციწა და დახავსებულ აკვარიუმში ამოკრა თავი, თავდაპირველად არც დაიფერა. თავისი უცნობი მდგომარეობა, ჯერ ხანგრძლივი ლოთობის შემდგომ „აახშელების“ მიანერა, მერე კი, იფიქრა, „ყველაფერი ჩემი ალ-ქაჯი ცოლის ბრალია, ყოველ დღითი, რომ სახლდან ვრცელი პათეტური წველით მისტერმრებს, „სასწებში დამხრწალი მენახებო“, ვგონებ, სრულად ციტირება არც არის საჭირო, აკვარიუმში კი არადა, ადვილი შესაძლებელი იყო „მარიამის ღრმშილიც“ ამომეფო თავი. აჰა, აღსრულდა კიდევ მისი სიტყვები, ეხზრწები ეხზრწები და ეც არი“

მეგრამ არა, მანუელი სულაც არ იხრწებოდა. პირიქით, დამაფიქრებელი წყლით საცე ახალ სამკვიდროში თითქოს უკეთესადაც სუნთქავდა. ამ მხრივ, თავს საუცხოოდ გრძნობდა. ზუსტად ისე, როგორც თევზი წყალში. დაიხ, როგორც თევზი წყალში უზარალოდ, მოულოდნელი ცვლილებით გამოჩვეული უზერულობისა და დახვეწილობის განცდა უნდა დაეძლია.

თუ მისი ფსიქიკური მდგომარეობით ვიმსჯელებთ, ის მზად არ აღმოჩნდა ამ უცაბედი მეტამორფოზისთვის. როცა არსებული ვითარება ნაწილობრივ გააცნობიერა, ანუ დარწმუნდა, რომ ნამდვილად წყლით საცე აკვარიუმში იჯდა, შეეცადა კვება მოეფერა. ჩვევად ჰქონდა, მნიშვნელოვანი აღმოჩენების მიჯნაზე კეთაზე ხელის შეხება, მაგრამ ხელი რომ ვერ გაეანერა და თავისი გაბნეულადღეული სახელების ნაცვლით, ქერცლიანი ლაყურები შეუცანცარდა, შიშისნაცვალ გული კინაღამ გაუსკდა. მიხვდა, ყველაფერი იმაზე გაცილებით რთულად იყო, ვიდრე წარმოუფერინა. არ ვიცით, იქნებ, ღონ მანუელი იმედოვნებდა, რომ აკვარიუმში თევზის კი არა, ადამიანის ფორმით გამოცხადდებოდა, მაგრამ ასეთი ფეტვლების გარშემოთ თავიდანვე, შეთანხმების დადების მომენტში თავი არ შეუნუხებია. მაშინ მხოლოდ ცოლის ხელშეუხებლობის პრეზუმფციის დაზუსტებით იყო დაკავებული. ამიტომ, ახლა, კიდევ ერთი მოულოდნელი და ფრიად უსი-

ამო ფაქტისთვის მოუხდა თვალის გასწორება: „მანუელი! ღონ მანუელი! შენ თევზი ხარ, გესმის, თევზიიიიიი!!!!“

მანუელმა ისევ ლაყურები შეცანცარა და წინასწარობადა-კარგულმა მთელ ხმაზე იღრიალა:

— მარგოლოოოო ...  
კუდიანმა, მავრამ

კეთილმა მარგომ ვერაფერი გაიგონა. თუმცა, სწორედ იმ დროს მისდაუნებურად აკვარიუმისკენ მიიხედა (ქალური ინსტიციით, რათქმუნდა!) და დიდზე პირდაღებული თევზი რომ შეამჩნია, ნახად მოუალერსა: „ისევ მე, ჩემი ნითელქუდავ, თორემ იმ ლოთის სად ახსოს შენი ქააა-სამა, რა იცის, თევზებსაც რომ სჭირდებთ ჯანსაღი კვება!“

და რადაც სპეციფიკური სუნით გაფენილი ფსვიერი მასა მანუელის თავზე დაუფეა.

— მარგოლოოოო...

ახლა სასწარმოვეთილი ხმით ამოიხრიალა მანუელმა. უფრო სწორად, მას ეგონა, ასე. მას ეგონა, რომ ხმა გაიღო, თორემ პირიდან სიტყვები კი არა, მხოლოდ ფანებადის ბუბტუკები დასცვივდა ერთმანეთის მიყოლებით. რეალობა ასეთი იყო: მანუელი აკვარიუმის წყალში იჯდა და პირში წყალი ჰქონდა დაგუბებული!

მაღე კეთილმა, მზრუნველმა მარგომაც ზურგი შეაქცია და მიმხმარი კურტუშის თამაშით სამხარეულოში გაიფეა.

ასე დაიწყო მანუელის ნამება.



ღონ მანუელი (აუ) უნოდებდა მანუელი საკუთარ თავს) ერთი ახალგაზრდა, უწინარა კაცი გახლდათ. მართალია, მშობლებმა პატარაობიდანვე კარგი განათლება მისცეს, თავი ათავსი წერლმანით და მსხვილმანით სულ ძალად გამოუტენეს, მაგრამ მანუელის განვითარება თორთული ცოდნის მიღების სტადიაზე შეწყდა. კერაჯინ და ვერაფერმა აიძულა თორთებისა და იდეების კონკრეტულ საქმეში გამოყენება. ოკეანოლოგობა კი იმაში გამოადგა, რომ ქალაქის სახელმწიფო დელფინარიუმის დარაჯად მოეწყო. ხეცე ისე, სათქმულად რომ ჰქონოდა, „ემუშაობ, ლამეებს ვათენებ, პატონებო, მეტი რალა გინდათო“. სინამდვილეში, კვირის ერთადერთ უძილო ღამეს თუ არ ჩავთვლით (იგი კვირამი მხოლოდ ერთ დღეს მორიგებობდა), მანუელი

მთელ დღეებს მეზობლებთან ქაღარკის თამაშში, ლოთო-  
ხასა და თავისი ერთადერთი ნუგეშის, მშენიერი მარგოს  
წყველა-კრწლვის მოსმენაში ატარებდა. წველა, ეს  
საშობა, თანაც, უხამსი და მდაბიური ჩვევა, ვერაფერი  
მოაშლევინა მარგოს, მაგრამ, დონ მანუელი, ღრმად იყო  
დარწმუნებული ცოლის გულიანობიერებაში. კერძოდ  
ინამი, რომ წველის ამ უმოკლესეს ზეპირსიტყვიერ  
შედევრებს, მარგო გულში, ჩუმად ერთ მაგაურ სიტყვასაც  
— „აღარა“-ს აუცილებლად აყოლებდა. ჰოდა მანუელი,  
უფერად აკვაროუმის დამყაყებულ წყალში რომ აღმოჩნდა,  
პირველად მაშინ დაეჭვდა მარგოს გულწრფელობაში, ან,  
„აღარა“ თქმა თუ დააინწყებოდა.

აკვარიუმში კი თავი ფრიადა უჩვეულო და მეტად საგ-  
ულისმომეზობევის წყალობით ამოჰყო.

საქმე მისი გახლდათ, რომ ღონ მანუელი, ეს ზარმაცი  
და ყოვლად გამოუსადეგარი კაცი, არმწმდარი ოკეანოლო-  
გი და დელფინარიუმის დარაჯი, შეოცნებე პოეტადა,  
ნამდვილ ლირიკოსად იყო დაბადებული. ოცნებაში ბადალი  
არ ჰყავდა დონ მანუელს. ამ საქმეში ისევე იყო განაულო,  
როგორც მარგო წველა-კრწლვის იმპროვიზებებში. მერე-  
და, როგორი განაბული და შთაგონებული გამომეტყველება  
ჰქონდა ამ დროს მანუელს! რა ხიბლი ჰქონდა ასეთ დროს!  
მარგოსაც როგორ უყვარდა და აღაფროთიანებდა ასეთი  
მანუელი აი, ამ წუთებში, მისი ქმარი დელფინარიუმის  
ურბანო დარაჯი, ვინმე მანუელი, კი არა, დიდი ოკეანოლო-  
გი და ნამდვილი გველი, დონ მანუელი გახლდათ. დიახ,  
შოლოდ და შოლოდ დონ მანუელი! ხანდახან, საქმით  
ქანცგაწყვეტილი ქალი, უყმაყოფილოდაც შეაქანებდა  
მანუელს და ფიქრებში მასულს, იმ ვარსიფერ გზებზე  
მიანვედა. მგო ოცნებების შემოყვარდით, ბერფსოს დონ  
მანუელი, და თქვენც ოცნებები ამომხადეთ სიმა. მაგრამ  
ეს მთლად საყვედურიც არა, უფრო, ნოსტალგიანარევი და  
ტენიანპერანული, რაღაც, მარგოსეული უღიღამაო ფლორ-  
ტი გახლდათ. თანაც, მარგოს ერჩივნა, მანუელს ოღონდ არ  
დაელოდა და ეოცნება იმდენი, რამდენიც უნდოდა. მანუელიც  
ოცნებობდა და ოცნებობდა. თავისივე შემუშავებული,  
რაციონალურ (ნაწილობრივ, ირაციონალურ) მოთხო-  
ვნილებებს დაქვემდებარებული, თანმიმდევრული და  
სტრუქტურულიად გაბართული „ოცნებების სისტემაც“ კი  
გააჩნდა. „ოცნებების სისტემა“ მანუელს სქემატურად საყ-  
ველურ ცნობილში — „ოცნებების ტაბულაში“ ჰქონდა ასახ-  
ული. ამ ტაბულაში ოცნებათა რაოდენობა და თანმიმ-  
დევრობა მკვირდოდ იყო გაზომილი. მანუელს ისინი  
ხარისხის, შინაარსობრივ ტენადობისა და დროის შესაბა-  
მისობის მიხედვით ჰქონდა დალაგებული. ერთი სიტყვით,  
მანუელს ოცნებების სფეროში საკმაოდ შრომატევადი  
სახეცნიერი საშუალები ჰქონდა ჩატარებული. თეორიული  
კვლევის შედეგებითაც კმაყოფილი იყო. ერთადერთ  
დაბრკობლებად, ამ მენეჯერული მიღწევების ტრანსცენდენ-  
ტირიდან ემპირიულ ქროლოში გადატანა რჩებოდა. არ არსენ-  
ბობნენ „ადის ობიექტები“, „ექსპერიმენტული საგნები“  
და ა. შ. ამ მანუელი უდაოდ ჩიხში იყო შესული.

მანუელი თუმცა ყოველთვის მარტო რჩებოდა თავის  
კვლევით ლაბორატორიაში, იქედან გამოსული პირდაპირ  
აუღატორიას მიაშურებდა. ძნელია, დონ მანუელის ვერ-  
ბალურად გამოხატულ ოცნებათა ადრესატების დადგენა.  
თუმცა, გამორიცხვის მეთოდით თუ, ვისაუკლებით, იგი  
ყველაზე უდაოდ და მიხრობრივად, მანაც გამჩენელ

ღმერთს და სახელმწიფო დელფინარიუმის უზარმაზარი  
აკვარიუმთან წამოყვანილ ერთ პატარა, ნივთქუდას  
ჯრისის თევზს მომართავდა. საკუთრივ მათთვის, როდღ  
ტყრმინოლოგიური მონაკვეთებს ამარტივებდა და  
შედარებით ურბალი, ყველასათვის გასაგებ ენაზე გად-  
მოსცემდა. ჯერ უწყინარ, მსუბუქ ოცნებებს მოჰყვებოდა,  
მერე კი, თანდათან, რომ გახურებებოდა, მთავარ,  
საკვანძო საკითხებსაც გადასწავლებოდა. გზა და გზა  
ხმასაც უმატებდა, იქნებ, ასე ხმაშალა ნათქვამი, უფრო  
გაგონოს და გაითვალისწინოს გამჩენელმა ღმერთმა.

ნივთქუდასთან უფრო შინაურული და გახსნილი  
საუბრები ჰქონდა:

„ეს, ჩემო ნივთქუდაც, რატომ არ ხარ შენ ოქროს  
თევზი, რამდენ სურვილს ამისრულებდი!“ — ღრმად  
ამოხსენებდა დონ მანუელი და მოჰყვებოდა და მოჰყვე-  
ბოდა თავის ბითურ და ბითურ ოცნებებს. ძალიან შორს  
რომ გაუტყვდა და ცოტა ინტიმურ საკითხებშიც რომ  
შეტოპავდა, მამინდა მოაზრდებოდა, ძალიან ხმამაღლა  
ვლამარაკობ, მარგომ არ გაგონარო და ახლა ჩუმად  
მიუბრუნდებოდა თავის პატარა, თევზს:

„იხედ კარგი რომ არ გესმის, შე ჩემო, კიდევ კარგი აბა,  
ახლა შენ რომ გესმოდეს, როგორ ვოცნებობ ჩემი მარგოს  
ტუტუტების გაზრდასა და მიმზარ უკანაღის გამოსეხებაზე,  
ხომ დამცინებდი, მაგას ოქროს თევზი რად უნდაო?“

ოქროს თევზს კი ყველაფერი ესმოდა და დასცინოდა.



ოქროს თევზი ძალიან შეანუხა მანუელის სისულელეების  
ჩმახვამ. მოთმინების ფილა ეცხებოდა. პატარა ამბავი არ  
გახლდათ, ყოველდღიურად, მანუელის მთვრალი ნარა-  
ტებისა და დაბოიერებული სუბათის ატანა. თანაც  
დამყაყებულ წყალში ყურფუტი სულაც არ ეშტანებოდა და  
ეკადრისებოდა. ოქროს თევზი იყო ბოლოს და ბოლოს,  
ურბანო კი არა! თითქოს ის არ მწაროდა, საკვების ჩაყრა და  
წყლის გამოცვლა რომ აინწყებოდათ, გულწრფელებული  
მანუელი თევზს საალერსოდ აკვარიუმში ხელით რომ დასდუ-  
ვდა, ამ გაბრაზებულზე უფროსად, ახლა ეს სახეზღარი,  
დამტამული ოცნებების თხრობაც რომ დასჩენდა! მანუელის  
ოცნებები თევზს ისე ჰქონდა გაუთუბელი, რომ მიწარისაც  
შეძლო მათი ზუსტი თანმიმდევრობით ჩამორაკრა გვა.

„ეს რა დღემი ჩაეცვივდით მე და მარგო!“ — შთოთავდა  
ოქროს თევზი და გამოსავლაც ეცებდა. ერთხელაც,  
მანუელის მორიგ გულის გამაწვრილებელ მონოლოგს რომ  
ისმენდა, გონება გაუნათდა:

„ეს კაცი მთლად იდოტია და ამის მოტყუებას კი, რა  
უნდა!“

და აკვარიუმის მომწინაო ბლანტი სითხედან მაცდუ-  
რად გამოსხაბა:

- დონ მანუელ, დონ მანუელ, ჩემო ბატონო!
- ეს რა ამბავია!
- შენ ვარ, დონ მანუელ, შენი ნივთქუდა!
- შენ ლაპარაკობ??????
- როგორც თავად შეამჩნიეთ ...
- პპპპპპპპ... და შენ, ყველაფერი გაგაგონე,  
ნივთქუდაც?
- დაახ, ჩემო ბატონო.



- მარგოს ხომ არ ეტყვი? — შეევედრა მანუელი.
- მე მხოლოდ შენ გემსახურები, ბატონო!
- მაშ, შენ მართლა ოქროს თევზი ხარ?
- ოქროს თევზი ვარ და ყველა შენს სურვილს ავასრულებ!

ბედნიერებისგან გაოგნებული მანუელი ადგილზე ბტოდა და გაზებირებულ სურვილებს მოულოდნელი ბედნიერებისაგან დაბნეული თავს ველარ უყრიდა. პროფესიული აღტყინებაც ერთიორად გაუმძაფრდა: „აბა, ცდის ობიექტიც გამომჩნდა!“ მერე, ცოტა რომ დამძვივდა, გადაწყვიტა: „მის ძალას ჯერ მარტოვ სურვილებზე გამოვცდი, სად მერტყარება, ძირითადი და საკვანძო ოცნებები შემდგისთვის იყოსო.“

— აბა, ნითელქუდავ, ერთი კარგი პურ-მარალი გაჩარხე, რა ხანია, ჩემებურად არ მომიღებიაო!

მანუელს წინადადება დამთავრებული არც უჭონდა, რომ მარგომ ჩვეულებრივ გრძელი წყველა-კრულვა მიყარა სასმელითა და ახურსათ-სანოვავით დატვირთულ მოულოდნელ სტუმრებს, სასტუმრო ოთახში რომ უკითხავად შეღაგდნენ. ბავშვობის მეგობრებს მანუელი ახლა ნამდვილად არ ელოდა და აკვაროუში პატრონსად განაბულ ნითელქუდას საჩვენებელი თითი ემშაკურად დაუქნია — „ეგ, სულ შენი ოინებიაო.“

სმა-ჭამასა და მოღებნას რომ მორჩა, ღრიალი და ურეულო ცეკვა-თამაში წამოიწყა. თან, სულ მალაღმაზე გაკვირდა, „შენ გენცვალი, შენ გენაცვალი, ჩემო ნითელქუდა!“

მეგობრები წამოიშალნენ, „დათურა ეგ კაცი და დროზე გაეასწროთ, პათოლოგიურიო“. მის პათოლოგობას მიჩვეულნი იყვნენ, ახლა მხოლოდ ის უკვირდით, „ეგ ნითელქუდა ვინღაა, ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ მის სადღეგრძელს რომ გვასმევდა, ადრე მარგოზე იყო ჩაცოკლული, ახლა ეტყობა ვიღაც პანია ჩიტუნა — „ნითელქუდა“ გამოუჭერიაო.“

\*\*\*

მეორე დღით, ღრმა „პახმელიაზე“ მყოფ მანუელს თავისი ოქროს თევზი არ შეუნუხებია ლუდისა და მიწერი-ალური წყლის ამოტანით:

— ეგ, მის სტატუსს არ შეეფერება! — დაასკვნა მანუელმა თავისთვის და ამიტომ, ისევ მარგო დაასაქმა.

თანაც, უნდოდა, სულ ცოტა ხნით მაინც, დამტკბარიყო ნითელქუდასთან მარტო ყოფნით. რაც ყველაზე მთავარია, მნიშვნელოვან საკითხებზე უნდა მოლაპარაკებოდა.

- ნითელქუდა!
- გისმენ, ბატონო!
- შენ ოქროს თევზი ხარ და მე რომც არ გითხრა, ისედაც იცი ყველაფერი. ისედაც იცი რა მინდა. შენ იცი რა მინდა ახლა და საერთოდ, ზოგადად როგორ მინდა რომ იყოს ყველაფერი, ხომ იცი?!
- ვიცი, ყველაფერი ზეპირად მაქვს ნასწავლი!
- მერე და, რაღას მალაპარაკებ, შე ოქროს თევზო, მიდი და გააკეთე შენი საქმე!

— არ გამოვა ეგ ამბავი, მანუელი!

— როგორ თუ არ გამოვა, მეკაიფები, თუ რა არი?! — გაცოფდა მანუელი.

— გამოვა, მაგრამ მანამდე შენც ჩემთვის რაღაც უნდა გააკეთო!

— რააა?!

— მეც ჩემი პირობები მაქვს, მანუელი!

— ახ, აი, როგორ ყოფილა საქმე!

— აბა შენ რა გეგონა, ყველას თავისი ინტერესები ამოძრავებს!

— ეს რა დროში ვცხოვრობთ, ყველა გაფუჭდა, ოქროს თევზებიც კი! ყველა

გამორჩენაზეა სადღა ის დრო, ოქროს თევზები და ჯინები უნაგაროდ რომ გემსახურებოდნენ! მაინც რა გინდა?!

— რამდენიმე დღით ადგილები უნდა გავცვალოთ, მერე კი რასაც მისოვ სუყველაფერს აგისრულებს!

— რაა? როგორ თუ გავცვალოთ? მენ თავში წყალი გაქვს, ძმაო! ეტყობა რაც პირიდან გამოუშვი თავში დაიგებუე მომინდომა ბიჭმა მარგოსთან ქიმიკი! ეგ ოჯახის ქალია და პატკი ეკი!

— ავადმყოფობას მოვიმიზეზებ და სანოლში ზურგს შევაქცევ!

— ვითომ არ იცნობდე მარგოს, მაგას რამე თუ უნდა, ავადმყოფობაც და მორიდებაც ფეხზე უკიდია! თუ გახსოვს, მაინც რამდენჯერ, სულ ძალად „გამაუპატურო“ შენს თელნიწ!

— აუ, მაგას რა დამავინყებს! უხსტად ოცდაცხრაჯერი ოცდამეათეზე მეზობელი შემოგესწროთ, თორემ დამრგვალებოდა!

— თვალში დახუჭული თუ გქონდა, მაინც?!

— აბა რა, სხვისი ცოლის ყურებას როგორ ვკვადრებ-დღი!



მბატარი სოფო ელიაშვილი



— ნესიერი კაცით ლაპარაკობ, მაგრამ მაინც არ გენდობი. გულში სხვა გაქვს ჩადებული, შენ ჩემს მარცხს ეხუტებოდე და მე აკვაროვში ვიჯდე, არ გამოვივა! აი, გამოიმჩნავე ჭკუის კოლოდი! ეგ არ მოხდება, ძმაო!

— მარგო რაში მჭირდება, ადამიანობა მინდა გამოვცადო, სულ ცოტაა ხნით!

— კმ! დიდი ვერაფერია!

— მოკლედ, საბოლოო სიტყვა მითხარი მანუელ, ახლავე გადაწყვიტე!

— „მანუელ“ კი არა, „დონ მანუელ“! კარგად დაიმახსოვრე, „დონ მანუელ“!

— საბოლოო პასუხი მითხარი, დონ მანუელ!

— არა-მეთქი! არა-მეთქი, შე ჩემსა!

— კარგი, როგორც იტყვი, ოღონდ ჩემთან ნუნუნს აღარ მოხვეყ, მაინც აღარ მოგისმენ, სხვა ოქროს თევზი იპოვე!

მანუელი სავარძელში მიიმედ ჩაეჭადა და ორივე ხელი თავზე შემოიწყო. აი, ახლა, ამ გამომძაღველი ოქროს თევზის წყალბოთი, ოცნებების სფეროში განვული მთელი შომა და წლების მანძილზე დავიწყებული გამოცდილება, სულ წალბი ეგრებოდა. სასონარკვეთილმა, ერთ წუთს თავის მოკვლავ იფიქრა, მაგრამ რაკი ვერც თავი მოიკლა და ვერც თითქმის ხორცმსხმულ ქიმირებს შეეღია, მთელი თავიხი ბრწყინვალეობით, ვადედრად რომ ლინიზოდენ დროისა და სივრცის საღ სხვა განწმობიდან, ოქროს თევზის ნაყენებული პირობების გადასინჯვას შეუდგა:

„მხოლოდ რამდენიმე დღე! რამდენიმე დღეს ფეხებ-დაპოვებულიც გაძლებს ცაკი, თუ იცის, რომ მერე სამოთხე ელოდება. აი, ეგ ოქროს თევზი, ოქროსია, უბრალო კი არ არის! ხო ძლებს იმ ამპირებულ აკვარიუმში და მე ვივად უნადრუკი მანუელი, თუნდაც, დონ მანუელი, ვინ ვაგდებო, რომ იქ ჩასვლა არ ვიკადრო?“

მანუელმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო და აკვარიუმის დახატვულ კედლებთან, ოქროს თევზის წინაშე გამოცხადდა. ტურები ვენბიანად, ძალიან ახლოს მიუტანა და უჩურჩულა:

— თანახმა ვარ! მხოლოდ იცოდეთ, ჩემი ცხოვსთვის თუ თითოე დავიკარგებია... ისეე თევზი რომ გაბდებ, ჩემი ხელით ჩავახრწობ მაგ შორიანი აკვარიუმში!

— კარგი, შევთანხმდით! — თქვა ემზაქრი ღიმილით ოქროს თევზმა, თან გულში ცინიკურად ჩაიჭირებდა, „ხომ ვამბობდი ეგ კაცი იდიოტია-თქო!“ და ისეე მანუელს მიუბრუნდა:

— ახლა კი საქმეს შევუდგეთ. ჩვენი შეთანხმება ძალაში მაშინ შევა, როცა შენს სურვილს დაშვიკონტრედეტ, ანუ, ოფიციალური თხოვნით მომმართავ, ხმაშალა ან გულში, აი ასე: „ოქროს თევზო, შენი ადგილი — მე, ჩემი ადგილი — შენი!“ გასსოვდეს, მანუელ, ტექსტობრივ სისუსტეს გადაწყვეტი მინიშნულობა აქვს, ერთმა გადავცდომამაც, შესაძლოა, კატასტროფა გამოინივოს“ — და ოქროს თევზმა, კიდევ ერთხელ, ახლა უკვე დამარცვლით, გაიმეორა ჯადოსნური სიტყვები: „ო-ქ-რო-ს-თ-ევ-ზ-ო, შე-ნი-ად-გი-ლი — მე, ჩ-ე-მი-ად-გი-ლი — შენი“

მანუელმა პირადად, ზედიზედ სამჯერ, დაადასტურა აკვარიუმში გადაბარგების დაუოკებელი სურვილი და

როცა, მისდაგასაოცრად, თავი აკვარიუმის დაწყაყებულ წყალში მართლა ამოჰყო, საკუთარი უბედურება, მაინც კეთილ და გულისმზიერ მარგოს დაბარბა: „მაგ ემზამ მომიშორა თავიდან, მაგის წყველა რომ არა, არც ამ წყალბაზანდ ოქროს თევზს გადავეყრებოდი და არც აკვარიუმში ვიჯდებოდი ახლა.“

\*\*\*

აკვარიუმში მოყუებული დონ მანუელი თავის ახალ სამყოფელთან ადაპტაციას გადიოდა. „სულ რამდენიმე დღე! მხოლოდ რამდენიმე დღე!“ — ამაოდ ამშვივებდა საკუთარ თავს. გზადაგზა ოქროს თევზიც მეგობრულად ეხმობინებოდა, როცა მეტიკემტ შფოთს შეამჩნევდა: „პიჭო, თავი თუ მოიკალი, სულ ოხრავა დაგვრჩება ახდენილი ოცნებები. მაინც რა ვაღვლებს, საკუთარ ოჯახში ხარ, შინაურულ გარემოში, ახლებლებთ გარემოცოვში? ანა, ერთი წუთით წარმოიდგინე, რაიმე შეცდომა რომ მომხდარიყო, ხომ იცი, ასეთ საროთირო საქმეებში, სრული გარანტიები არ არსებობს და შენც, აქაურობის ნაცვლად, სახელმწიფო დელფინარიუმის უზარმაზარ აკვარიუმში, ათასობით შეწნაირ ნითიქუქდას შორის რომ ამოვცყო თავი, მაშინ რა დღეში იქნებოდი!“

ოქროს თევზი მანუელს ერთ სასარგებლო რჩევასაც აძლევდა: „სანამ მაქ ზიხარ, დრო თავზე საყრდელად გატეხ, იოცნებე! იოცნებე, მანუელ! ახალ-ახალი ოცნებები მოამზადე!“

მანუელი კი ევლარ ოცნებობდა. მხოლოდ ბრაზობდა და ხმაშალა უნახსად იგინებოდა. ეს მას ეგონა, რომ იგინებოდა, სინამდვილეში, პირში დაგუბებული წყლიდან, სიტყვების ნაცვლად მხოლოდ ჟანგბადის ბუმტუტუკები სცვიოდა ერთბაშადიის მიყოლებით.

ასეთ ნამებში გაატარა სამი დღე და ღამე. მეოთხე დილის აღგზნებულმა გამოიღვიძა, ახლა კი დაინწყება ჩემი დაუსრულებელი ბედნიერებაო“ და ოქროს თევზი თვალბოთი მოძებნა. მაგრამ ოქროს თევზს, მანუელით, სულ შუადღემდე ეძინა. მაგოს კი ამ დროისთვის, მთელი სახლი უკვე გალაგებულ-გამომოლაგებული და სადილიც მომზადებული ჰქონდა.

„ცოტაც მოითმინე და აქედან სულ სხვანაირი მანუელი გამოვა! სამდვილე დონ მანუელი გეყოლები, ჩემო მარგო! სულ ცოტაც მოითმინე! ამ მსახურს და ამაზე ოჯაერ მეტ სულად-ქალს დაგახვევ თავზე, ჩემო მარგოშმა!“

ამას ფიქრობდა მანუელი, უცებ ოთახში შემოსული ოქროს თევზი რომ დაღაუნდა. აღმოეთებულმა, მაშინვე მიაძახა:

— ნითიქუქდავი! სად ხარ ამდენ ხანს?! დროა, შენს ადგილას დაბრუნდე!

— რაო?! უკაცრავად?! „ნითიქუქდავი“? ეხლავე შეწყვიტეთ ეგ მდაბოური ფამილარობა და ღირსეულად მომმართეთ: „დონ მანუელი!“ არ დაგვიანდეთ, „დონ მანუელი!“ ახლა კი, მომასწენეთ რა გნებავთ!

— ერთი შენ, შენს ადგილას დაბრუნდი, „დონ მანუელი“ ხარ, თუ ვილადა ხარ!

ოქროს თევზმა ირინიული ღიმილი სტყორცნა აკვარიუმს და მანუელის ჭკუის სახანაგლებლად სამი დღე აღარ გამოიჩენილა.



მეოცეუნი დილით, მანუელმა, ოქროს თევზის მუხლებზე ჩამოშვდარი თავისი ცოლი დაინახა, აღრიალდა და გაცოცხებული, აკვირობდა კინაღამ ამოსხა:

— მოდი, ვილაპარაკოთ! კაცურად ვილაპარაკოთ! გავარკვიოთ ერთმელ და სამუდამოდ! — ბზნაილებდა მანუელი აკვირებში, პირიდან ღანგბადის ბუშტუკებს ყრდა და ლაყურებში ოხრავდა.

— რაზე გელაპარაკო, მე ჩემს! — მიუბრუნდა ოქროს თევზი მანუელს, მარგო რომ ოთახიდან გავიდა.

— რაზე და, ჩვენს შეთანხმებაზე! დამაბრუნე! შენ — თევზი, მე — ადამიანი!

— არ შემიძლია მანუელ, ოქროს თევზი ხომ აღარ ვარ, სასწაული მოვახდინო, ახლა დონ მანუელი ვარ!

ბრახისაგან გაგვიტეხული მანუელი, ერთმანეთის მონახულებით, მიენარცხა აკვიროუმის ოთხივე კედელს.

— დამშვიდდი ნითელქუდავ, რა დღეში ხარ, ასე ნერვებს გაიფუტე!

— დამაბრუნე-მეთქი!

— ამა, როგორი ყოფილა დამყაყებულ წყალში ყურყუტი?! — ახლა ოქროს თევზი გადავიდა შეტევაზე და ყველა ცოდავ გაუსხენა მანუელს.

— დამაბრუნე და გპირდები, ყოველ დღე გამოგიცვლი წყალს! — ეგდებოდა ამქვეყნად მანუელი.

— როგორი იყო, დღეგადებდით რომ მაქმეფედი და მაშომიზღობდი?!

— ეს აღარ განმეორდება!

— „ნითელქუდას“ რომ შეძახდი, ამ ოქროს თევზს, ხო იცი, რომ მარგო მიქრავდი!

— განსაკუთრებული სიყვარულის გამო გეძახდი, ახა საიდან უნდა მცოდნოდა, თუ გყვინდა!

— ერთ საღამოს რომ კინაღამ შეამეფი, გახსოვს?!

— პათოლოგიური სიმთვრალე მაქვს, თვითონ იცი!

— აი, მაშინ მარგოს რომ არ გადავერჩინე, ჩემი ერთი ფხავი არ იქნებოდა ამქვეყნად! მაგ ამასგა არ დავუყარავ მარგოსს ყველა სურვილს აფუსრულებ! სულ ხელისგულზე ვატარებ!

ამ ვაცხარებულ კამათში იყვნენ, მარგო რომ ოთახში შემოინარჩუნდა და ქმარს მაცდური ლიმილი ესრალა. მერე მიუახლოვდა, პერანგში ხელი ნახად შეუცურა და ილიები დაუხსნა. ოქროს თევზიც წამოეწიოთ, აღევზნო და ვენებამორულმა, შვენიერი გავიდა, პირდაპირ მანუელის ოთახში ზედიზედ სამეფი მატყობა.

— შე, კახაპე! შე, კახაპე! ოჯახის შემარცხენელი! თავსაფადამსხმელი!

ღრიალებდა და იფურთხებოდა მანუელი. პირიდან ღანგბადის ბუშტუკებს ყრდა და ლაყურებში ოხრავდა.

თითქმის ერთი კვირა დასჭირდა მანუელს ამ შოკიდან გამოასვენება. მერე კი, ცოტა რომ დამშვიდდა, სამყუდამოდ შეიხალხა მარგო. ზედაც აღარ უყურებდა. თითქმის მათ სახლში საერთოდ არ ცხოვრობდა ქალი. ამ შურისძიებამ შევება მოჰგვარა. თანაც, თავის გასაჭირთან მარგო სადღა ახსოვდა მიზედა, დასალოოდა დარწმუნდა, რომ მოატყუეს! გააცურეს! „ახია ჩემს!“ — ფიქრობდა აკვიროუმის ამორეგულ ფსკერზე მიგდებული მანუელი, — „ოკეანოლოგის რომ ერთი ლფისტკი ნითელქუდა თევზი მოგატყუებს, უარების ღრის ხარ! სწორედდა აკვიროუმში უნდა იყავი, ახა გარეთ თავი როგორ გამოგყვამა! ისე,

მაინც რა მრეჯიდა, საქმე დალეული მქონდა, თუ რა იყო, ეგ თევზი რო სახლში მოვათრიე?! კეთილშობილი ცხოველები დალია ამქვეყნად?! ძალი, კატა, თუთიყუში ან უკიდურეს შემთხვევაში, კუ, მაინც მომეყვანა, ამათ ხო ნამდვილადა არ ექნებოდათ „სურვილების ასრულებებს“ ამბიცია და თუ ექნებოდათ, ასე ადვილად ვერ დამა-ახლოვებდნენ!“ — და მანუელი, ვინ იცის უკვე მარგო დედნედ, ახსანდა ტვინს აკვიროუმის დახასხებულ შუშის კედელზე.

— ეს თევზი სულ გადაირია! — იძახდა მარგო.

— დემრესია აქვს, საყვარელი შო, ასეა, ნუ გვიკრის, თევზებსაც აქვთ პერიოდიული დემრესია — დამაჯერებლად და ერცლად უხსნიდა დიდი ოკეანოლოგი დონ მანუელი თავის ძვირფას მარგოს თევზების ფსიქიკური ანალიზების დროს.

— ამას ახლა ფსიქოანალიტიკოსი სჭირდება! რა საწმუნზაროა, რომ თევზების ფსიქოანალიტიკოსებში ფერად არ არსებობენ, ახლა ვერადრით ვეზმარებოთ ჩვენს ნითელქუდას! — გულწრფელ სინანულს გამოთქვამდა ოკეანოლოგი.

\*\*\*

სანამ აკვიროუმის ზინძურ ფსკერზე ოღონ მანუელი „თევზის დემრესიით“ იტანჯებოდა, მის ღრამში გადმო-ბარბეული ოქროს თევზი თავისი ყოფილი პატრონის დანა-ტვარის საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებით იყო დაკავებული. დროს ტყუილად არ ფლანგავდა. საქმე მართლაც თავზე საყრელიად ჰქონდა. ახალ ცხოვრებას აწყენდა და ოჯახის კეთილდღეობაზე უნდა ეჭურნა. თანაც, ინტე-კაჟი მარგოს ეჭვების გავანტევა იოლი საქმე არ გახლდათ. ამიტომ, ერთ-ერთ უახლოეს ვენებთან ღამეს, ცოლს, სრულიად საიდუმლოდ, ჩურჩულით გაუმოხალა: „საყვარელო, უცხოეთში მცხოვრები შორეული ნათესავისაგან დიდი მემკვიდრეობა მხედა ნილად, ანი აღარაფერი მოგაკლდება, ყველაფერი გექნება, რასაც კი ისურვებ...“

ის დღე იყო და, მართლაც, მარგოს აღარაფერი მოჰქონებია. ყველაფერი ჰქონდა, რაზეც თუ ოდესმე უოცნებია. ისიც ჰქონდა, ფიქრებად რომ არ გაუღელა არასანდეს. ყველაზე მეტად კი, მაინც, თავისი საყვარელი მანუელის უცარი ფიქრცვალებმა აბედინებდა. ოქროს თევზი, ახლა უკვე, დონ მანუელი, მართლაც თითოთი საჩვენებელი მეოჯახე კაცი გამოდგა. ლოთობასაც თავი დაანება და შუადღემდე ძილსაც. მარგოსაც სულ უფრო და უფრო ცხელ, ენებთან ღამეებს უძღვნიდა. ზუსტად ისეთი ცხოვრება მოინსო, როგორიც მანუელს ჰქონდა ნარმო-გენილი და დაგვიტალი. მისი ყველა ოცნება ხომ ზემირად იცოდა! გულითად მაღლობასაც სწირავდა მანუელს, თავის დროზე განუელი მტანჯველი, მონიტორული გაკვეთილებისთვის, რომლის წყალობითაც მისი ოცნების თითოეული ზუნქტი და თითოეული ქვეპუნქტიც კი, უზუსტესად ახსოვდა. ამიტომ ფიქრით ზედმეტად თავს არ ინუხებდა, სულ მანუელის ოცნებების ასრულებაში იყო!

— საუცხოო ადამიანი ყოფილხარ, ჩემი მანუელ, საუცხოო! სულ შენი დამასახრებლა ჩემი კეთილდღეობა — ესიტყვებოდა ოქროს თევზი აკვიროუმის ნამეტულს.





— ახლა, რას მემოტივენლები, თვითმარქვიავე, კიდევ რას გინდა თვითმარქე, ოცნებები ხომ არ გაგითავდა?

— თუ რაიმე ახალი და საინტერესო ოცნება გაქვს, მითხარი, სიამოვნებით ავასრულებ!

— ასევე ვიციდი! თქვენ, ოქროს თევზებს, ერთი სერიოზული და გადაუჭრელი პრობლემა გაქვთ. სურვილების მხოლოდ ასრულება შეგიძლიათ, გამოვონება კი არა! თქვენ შთაგონებას და ფანტაზიას ხართ მოკლებულნი და ეგ ჯდაოქრული უნარი საკუთარი თავისთვის არაფერში გარგიათ! ადამიანებიც ამიტომ გჭირდებათ! ადამიანები იმისთვის გჭირდებათ, რომ მათი ოცნებები, სურვილები, ცხოვრება მოიპაროთ!

— ა-ჰა! უყურე! შენ მთლად ისეთი იდიოტი არ ყოფილხარ, როგორც მეგობნი, თუ მინდ ყოფნა გამოგაჭკვიანა?

— იდიოტი თითონ ხარ. მე ყოველთვის მოახლოვდი იდეალისტი ვიყავი, მაგრამ ვერაფერს მიტვია!

— რაც მართალი, მართალია, ძმაო! არ ვუარყოფ! ჩვენ, ოქროს თევზებს, ჩვეულებრივი თევზებით პრიმიტიული ოცნებები და მისწრაფებები გაქვს, რას იზამ, თევზის ბუნებას ვერსად გაექცევი. მაგრამ, რაკი ოქროსი, ანუ, განსაკუთრებული ვართ, უფრო დიდი ამბიციები გავაგანია, უბრალო თევზების მსოფლზე დავა გვაგმაყოფილებს, ჩვენი თვალსაწიერის გაფართოებას ვცდილობთ. ამ დროს ეგაზონდი შენც, შენი ოცნებებით და იდეებით! არ დაგიმალავ, მანუელ, მაშინ თუგონს აღგრგია მჭირდა შენს პათეტიკურ აღსაგებებზე, მაგრამ ახლა, წარმოდგენილად მადლიერი ვარ იმ დღეებში! შენი ოცნებებით და აზრებით, ზედ გამოჭირდი ხარ ჩემთვის!

— ახლა კვლავ ნასწავლი მაქვს, ჩემგან ერთ ოცნებასაც ვეღარ ეღობება, სანამ ამ ბინძური აკვარიონიდან არ გამოიყვანა აქედან გამოიყვანე, ოქროს თევზო, მეტი აღარ შემიძლია, აქ ვურყუტ!

— კარგი რა, რა არ შეგიძლია! მთელი ცხოვრება აკვარიონში არ ზიხარ?! სულ დამყაყებულში არ ცხოვრობ?! მთელი სიცოცხლე აშორებულ ოთხ კედელს რა გამოპრობინარი! მთელი ცხოვრება პირში წყალი გაქვს დაგვებებული და ახლა აღარ შეგიძლია?! გამოფხიზლდი ამ ბოლოს, თუ როგორ არი?

მანუელი გაჭმუდა. არაფერი უპასუხა. აკვარიონის ფსკერზე ჩაეშვა და პირში ისევ წყალი ჩაიგუბა.

— მანუელ, მანუელ, ნითელქუდე! — ამოად იხმობდა ზემოდან ოქროს თევზი, — ამოდი, ნუ იბუტები, ბიჭო, ფანჯადის ბუტუტებით თამაში უნდა გასწავლო, თევზების საცვარელი თამაში, მოგწონება...

მანუელი კი აკვარიონის ფსკერზე ეგდო და ლაყურებში იხრავდა.

აკვარიონის ფსკერზე ჩაძირული მანუელი, პროტესტის ნიშნად აღარასოდეს აპირებდა ხმის გაღებას. მართლაც ასე მოიქცეოდა, რომ არა, კიდევ ერთი მაოდინდელი, მანუელისთვის შოკისმომგვრელი ამბავი. ერთ ჩვეულებრივ დილას, მან მარგოს ათქვიფინებული ძუძუები, ამოვსებული საჯდომი და გამოხენილი მუცლები შეინახა.

— რა სჭირს მარგოს, რა უცნაურადაა გავსებული, რა

უქენი?! — შესძახა შემფოთებულმა მანუელმა ოქროს თევზს, როგორც კი ამის საშუალება მიეცა.

— რა უნდა ჭირდეს, ორსულადაა, შე ჩემს! შენი ფელაზე სანუკვარი ოცნება ავასრულე, მანუელ!

მანუელი კიდევ ერთხელ დაენარცხა აკვარიონის ფსკერს. მერე კი, ცოტა გონს რომ მოეგო, ისევ ამოცურდა და თევზს მიხალა:

— თვითმარქვიავე! როგორ ზედავ! ცოლი ხომ ნამართვი, ახლა ჩემი შვილიც გინდა მიითვისო?

— შენი შვილი?! საიდან?!

— ჩემი! ჩემი შვილი! — ღრიალებდა მანუელი.

— ბავშვი ვისია, ამას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, ეგ ექსპერტიზის საქმეა!

მანუელს აღარ ესმოდა რას უმტკიცებდა ოქროს თევზი. თავს ისე გამალებით და დაუნდობლად ურტყამდა აკვარიონის კედლებს, რომ საბოლოოდ დაებინდა გონება.

— მოკვები მოკვები! ასე გული გავსიკდება, შე ჩემს! — ახლა ოქროს თევზი ზზრიალებდა აკვარიონის გარშემო და სიტყვებით ერთად, პირიდან, ფურთხის ნაფლეთებს ისროდა.

\*\*\*

თითქმის ერთი კვირა ეგდო მშვიდ-მწყურვალ მანუელი აკვარიონის ფსკერზე. რამდენიმე დღე კი ეშუადარა ოქროს თევზი, „არ გინდა, მანუელ, შენს ცოლავს ნუ მაყურებინებ, თავს ძალით ნუ მოკლავო“, მაგრამ ბოლოს მოტერზდა და შეეცა. კვირის თავზე კი, მარგომ აკვარიონის უფდაპირზე ამოტეტივებული, მკედარი ნითელქუდა რომ წახა, ერთი შექვილა: „მოკვდიხარ, შე უბედურობიონო ...“ გულწრფელად უჯირდა დაღერებულ მარგოს: „დეპირსია თევზს რატომ უნდა სჭირდეს?! არის რა, თავისთვის აკვარიონში, უშრომლად ჭმას და სვამს, დარდი არ ანუტებს და იდეები, ცოლ-შვილი და საყოფაცხოვრებო პრობლემები, ნეტა, რალა ეგ დეპერსია აიჩქემა.“ მერე, ისე, რომ ჭმრის სახლში დაბრუნებას არ დალოდებია, მკედარი თევზი აკვარიონიდან მოოქროვილი სასაუზმე კოხზით ამოიყვანა და უნიჭაში ჩაიტეხა. ერთი მსხვილი და მარილიანი ცრემლაც თან მიაყოლა, ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

სახლში გვიან დაბრუნებულმა მანუელმა სამზარეულოში გასარტყნად გამოიძინელი ცარიელი აკვარიონი რომ წახა, იქვე სკამზე მამობედ დაეშვა.

არაფერი უთქვამს. ასე მას ეკონა. მას ეკონა, რომ არაფერი უთქვამს. სინამდვილე კი პირიდან ფუნებას ბუტუტების ნაცვლად უსაგვლო, ავამაიზინი სხედა გადმოაფრქვია, ფილტვებიდან კი ღრმა იხვრა აღმოესა. ახლა ის არც დამყაყებულ აკვარიონში ნითელქუდა თევზი იყო, არც პირში წყალჩაგუბებული მანუელი. ის, ახლა, დონ მანუელი იყო, ნამდვილი დონ მანუელი!

აკვარიონს თავდაღწეული ოქროს თევზი კი, ამ დროს, ოკეანის მლაშე წყლებში ლაღად მიცურავდა. ისიც ბედნიერი იყო და თავისუფლებით ტკებოდა. მასაც ჰქონდა თავისი წილი ცხოვრება და თავისი წილი ოცნება, თუმცა, უზარმაზარ, უკიდევანო ოკეანეში ყოველთვის შემუშავებული რჩებოდა. აბა, ვინ წარმოადგენდა, რომ ასეთ პატარასა და უსუსურს, ამქვეყნად ყველა სურვილის ასრულება შეეძლო...



ერთგულუბა, მოლოდინი, მოვალეობა.  
თუ დავაკვირდებით, ამ სამ ცნებაზე დგას ნოდარ ადიშვილის შემოქმედებითი სამყარო. ეს არის, როგორც იტყვიან, პოეტური საფანჯალი. ყველაფერი აქედან იწყება, აქვე ვითარდება და აქვე მთავრდება.

ერთი შეხედვით, ეს არის ქრისტომათიულის ლირიკა, სადაც ყველაფერი თავის ადგილზეა და თავის სიერცეს იკავეს, მაგრამ უცნაურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყურადღებას იპყრობს სწორედ ის, რაც არ არის თავის ადგილზე, რაც მოძრაობს, რაც დინამიკაშია.  
უბრალოებაში განდევნილი ესთეტიკური იდეალი. აი, ნოდარ ადიშვილის პოეტური პროფილი. ამიტომაც არის ამ ლირიკულ ინტონაციებში ის, რაც მუდმივად გვახსოვს; არის ამ სევდიან ტონალობებში ის, რაც მუდმივად გტკივს; არის ამ ცოცხალ პოეტურ სახეებში ის, რაც მუდმივად გვიხმობს.  
ეს არის სიყვარული, შინა, ბალახი... და სირუმი, რომელიც ხმარუნე მეტია. დაბოლოს, ეს ის შემთხვევაა, როდესაც შეიძლება მკითხველს მიულოცო შეხვედრა პოეტთან.

**ნოდარ ადიშვილი**

**დაუსტვინე, ჩიტო!**

თეთრი ჩიტი შემჭვანარ იასამანზე  
შეფრინდა და  
ჩემს სადარდელს უსტვენს...  
ქარის ფრთებზე გამიქვრით სამარე,  
ია-ია დამაფინეთ გულზე.

დღესაც მე ვარ, თუკი რამეს ვითხოვ,  
დღესაც შენ ხარ, თუკი რამეს მაირდებ.

დაუსტვინე,  
დაუსტვინე, ჩიტო!  
ნეტავ უფრო ბევრი იყოთ ჩიტები.

**მარტის თოვლი**

თოვდა, მაგრამ განა ჯიბრზე,  
თოვდა — თითქოს ნატერისადა,  
რალაც ისე, მიზეზ-მიზეზ,  
თოვდა თოვლი მარტისა.

და ეს იყო აღმათ გუშინ,  
არა როსმე, ოდესლაც,  
მე რომ შენი თეთრი ნუშის  
გაცინება მომესმა.

დღესაცა თოვს, მაგრამ იმ თოვლს  
აღარაფრით არა პგავს...  
ვაი, ჩემი ცოდავ ზიდოს  
შენმა შამავ არავგმა.

**ბარამ...**

რაც დრო გადის, უფრო ნისლავს,  
კედება კართან ძალეი ყფეთო...  
განა ამბავს ვეყვები სხვისას,  
სულ ჩემია, რასაც ვეყვები.

ბარემ შემოხედე კარი,  
გულისგული ამოიცან...

შენ არ იტყვი:  
— მე მოვკალი,  
არც მე ვიტყვი, მომკლა ვინცა...

**ნება...**

ბედს ვეჭებ, გზები ბრწყინებენ,  
ნებაანი ნატერის წვიმებით,  
ნეტავ ვინ შემწვინებდა,  
ნეტავ ვის შევეწინებდი?

ზოგჯერ ცხადს სიხმარს შევურევ,  
ზოგჯერ მთლად ცხადის ამარა...  
ნუთუ არვის არ გესმით,  
ნუთუ არვის არა ვარ...

ნეტავი ვისი ზიარი  
შექნება გზა და ყანები,  
ნეტავი ვინ მყევარება,  
ნეტავი ვის ვყევარები.

**საპარილო**

ნურავინ მკითხავს ნალელიან სიმზე,  
სანუზარს მისას ნურავინ მოცდებდა,  
მტკვარზე, რიონზე, ენგურის პირზე  
ისევ უცადოს სიყრმეს ოცნება.

მე კი ვეჭახდე ამ ტყეს და ლელეს,  
აპრილის ცაბ და აპრილის ფურებს.

არ დაიჯეროთ, მთლად რითმის გამო  
ამბობდეს ვინმე:  
— მიყვარხარ, ელემი!  
ავანთებ სანთლებს...

ამ მზისა და მთვარის გარდა,  
ღმერთმა ეს სანთლებიც მომცა,

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
საზოგადოებრივი ფონდი

პოდა, ამ გრძელ ღამის კართან  
ვანთებ სანთლებს, ვამბობ ლოცვას.

იქნებ მოგაბედო ჩემენე,  
გადავლილო ცისკენ ცქერით,  
იქნებ ამ მოტივრალ ფრესკებს  
ისევ შევუშმარალოთ ცრემლი.

იქნებ დღესვე ვუთხარო, ვისაც  
ერთ დროს სუყველაფერს ვუშვებო...  
პოი, ვენაცვალე ნიზმარს,  
რა ღამაზი იყავ წუხელ.

### და დღემდე ასე...

სხვებმა რაც უნდა ის თქვან და ნერონ,  
შენ ჩემთვის მუდამ იმ ცის იქნები,  
ხანდახან ფრთას რომ შემოპკრავს წერო  
და გადმოსცვივა თეთრი ფიფქები.

ხანდახან მზე რომ ანათებს მწველი,  
ხანდახან თავს რომ ვერ ართმევს ნისლებს,  
შენ ხარ მიზეზი ორთავე ცრემლის  
და დღემდე ასე მიზეზ და მიზეზ...

და შენც ნუ მეტყვი, თუ როსმე იყო  
ქვეყნად ცალ-ცალკე ტბა და ლერწმები,  
ალაზნის ველზე – ვაზი და ჭიგო,  
ენგურის თავზე – ცა და მერცხლები.

### ალუბლის ტოტი

ისე ყვავილობს ალუბლის ტოტი,  
ვერ შეუბედავს ძაფი ობობას.  
რა უნდა ამ დროს დაფრთხობას ჭოტის,  
რა უნდა გადაგორებას ლოდის,  
რა უნდა კაცის გულის მოლობას...

თითქოს  
შარშანაც ამ ყვავილს ვთხოვდი  
სხვისთვის შორეულ ჩვენს ახლობლობას.

### ჩაუვლია ვარდობას...

შენც რომ სხვის გულს ახარებ,  
ან ვისი რა გავიგო,  
ისე ვტოვებ ამ მხარეს,  
ვითომ შენ აქ არ იყო.

რეკავს ზარი მესამედ  
და აღარც სულ შორიდან...  
ვის უყვარდი ჩემსავით,  
მაგრამ რა გამოვიდა.

ვაი, როგორ მვეროდა  
შენი ხატისხატობის,  
მართლა არ გეტყოპოდა,  
თუ მე ვიღარ ვატყობდი?

გადამქრალან საყდრები,  
შენი თაფლის სანთლებით,  
ნუთუ აღარასოდეს  
აღარ მომენათები?

ჩაუვლია ვარდობას,  
შროშნებს, იებს, იელებს,  
ასე როგორ დამტოვა  
შენმა სიმშვენიერემ...

### ნავში

მახსოვს, როდესაც მზე ჩატქნებოდა,  
როგორ იხსნიდა ეშმა საბურველს  
და კოშკი ჩემი როგორ რჩებოდათ:  
ჩრდილებს, ჭილყვაგებს,  
ჭინკებს, ლამურებს...

მაგრამ შენც უშალ გმირივით ზღაპრის,  
ჩნდებოდი კართან ზღვისფერი კაბით

და ძველებურად მიჯენდი ნავში  
და გადაგყავდი მეორე ნაპირს...

### რომ ამ ჩიტვივით...

არ ვმალავ,  
ან რა დასამალია,  
რომ კელავ მიყვარხარ, როგორც მიყვარდი  
და კელავ გავძახი: — ოქროს ნისკარტი, —  
ჩიტს, დილის ზეცა რომ აბარია...

ასე ვანებებ სტრიქონზე სტრიქონს  
და სიმღერებით კარს ვუმტვრევ საკანს,

რომ, ამ ჩიტვივით, შენც ცაში იყო  
და არასოდეს  
სხვასთან და  
სხვაგან.

### ჩამოჰპარ ზარებს...

სხვა დროს სხვაგვარად მოვირთავ ეკრანს,  
სხვა დროს სხვაგვარად მოვახვევ ცისფერს...  
ახლა კი ბზის ტოტს, ნაშუქარს შენგან, —  
რომ ვარიდებდი ღამეს და ნისლებს, —  
მკერებს ვაბნევ თეთრი მაისის მთვარეს  
და ისევ ცაში დაკარგვას ვლამობ...

ჩამოჰკარ ზარებს,  
ჩამოჰკარ ზარებს,  
თუნდაც ისევე არაფრის გამო.

**ლ.-ს**

შენს მოლუშვას ვერც დღეს ვიტან,  
თავს ცრემლებით ვერც დღეს ვირთობ,  
მეც ის ქრელი ჩიტი მზრდიდა,  
შენ რომ გზრდიდა, ჩიტო-გვერითო!

როდის გადავსულვარ სიტყვას,  
დღეს რომ სხვა ვთქვა, ანდა როსმე  
თუ ვინმეზე მითქვამს: "მყვარს",  
მხოლოდ შენზე — ცაა მონმე.

მხოლოდ შენთვის მითქვამს, რასაც  
ყველა ყველას ვეღარ ეტყვის,  
შენ აბრწყინებ ლალსაც, ბროლსაც,  
შენ ხარ რალაც შენზე მეტიც.

გიცქერ, გისმენ, სხვა რა მინდა,  
შენმა მჭერტმა სხვა რა ვჭერითო,  
პოი, მეც ის ჩიტი მზრდიდა,  
შენ რომ გზრდიდა, ჩიტო-გვერითო!

**რამეთუ გჯერა...**

რა მოგივიდა,  
რა ფერგაცრეცილს  
გხატავენ ახლა შენი მხატვრები...  
თუმცა, მზე სადაც უნდა გაგეტყეს,  
ღამეს მაინც ვერ მიემატები,  
რამეთუ გჯერა, რომ ვარდის შტო ხარ  
და მყორედაც რომ მოხვალ ზეცით...

ოლონდ  
დღეს რა ექნათ მე და ამ ქოხმა,  
ციოდეს მაინც, დაგინათო ცეცხლი.

**მოდი...**

მოდი, სანამ მზე დამტოვებს,  
სოფელს ღამე აქცევს მუხრად,  
სანამ ვფიქრობ: ატმის რტოებს  
დაგაფენ და დაგახურავ.

მოდი, სანამ თავს განონებ,  
მოდი, სანამ ეგავარ მწყურვალს,  
მოდი, სანამ თვალს ვაყოლებ  
ამა სოფლის ნაღმა ბრუნვას.

მოდი, სანამ სხვები მოვლენ,  
სანამ ემღერ: "მუშლი მუხას"...

მოდი, სანამ ჩაიქროლებს  
ეს დრო, სანამ ასე მსურზარ.

მოდი, სანამ ჩანგს ჩამოვკრავ,  
ამოვატან გულს ძველ სტრიქონს,  
მე რომ სიყვარულმა მომკლა,  
შენი სიყვარული იყო.

**დღეს კი...**

დიდხანს მიმანდი უფლის ნყალობად,  
დიდხანს მეგონა, ცისას ყვებოდი  
და მოგყვებოდი და მიზაროდა,  
რომ არ ვცაოდი, სად მოგაყვებოდი.

დღეს კი რა ვუყო, რომ ძველი ზღაპრის  
დამარცხებულ გმირივით გიმზერ,  
თუმცა, არც შენ ხარ ახლა იმ კაბით  
ჩამვლეული ჩემი რიონის პირზე.

აღბათ, ის ბროლის კომკიც მოისრა,  
დარჩა მარტოდენ ქვისგან ნაგები  
თაემსაფარი, სადაც არასდროს  
არ დაუკარავენ ოქროს ჩანგები.

**ძველი ციხე**

ისევე ის სიბო ახლავს ნერილებს,  
ვარდებს, ამოყრილს ცისკრის უბიდან,  
ვარ კომკებში და ვარ მოფენილზე,  
გულში მზით,  
სულში — ცის სიუხვითა.

.....  
კვლავ გამობრწყინდი და ნამახევმეც  
ძველი ციხე, ცისკრის ვარსკეღავო,

ათასი კოცნა იწვის ბაგეზე  
და მაინც ერთის ვარ სასაფლაო.

**და მაინც...**

ფრთებს ახარბებენ ჩიტები ჩიტებს,  
ჭურჭები, ვუცქერ და ისევე მივდევი  
ბილიკს, რომელიც გამორბის ტყიდან  
და ისევე სტვენით მიპყვება მინდერებს.

.....  
აღბათ, საძებნი გაგზდები დღესაც,  
ისე მიხზობენ ეს სანახები,  
უზერავს სიო და თითქოს კვსავს  
ბრონეულზე შენი სახელი.

მღერის აპრილი და ძველ ადგილებს  
ისევე იმ ფერთა ასდის სურნელი...

რა სითბო ახლავს ხსოვნის ყვავილებს,  
რა ლამაზად თოვს ხსოვნის ღრუბელი!

### თურამ...

აღარ მეთობი, რა ვენა, რა გიყო,  
მოვალ ხანდახან, თავს შეგახსენებ...  
თურმე, ამქვეყნად შენ რომ არ იყო,  
რამდენი რამე არ იარსებებს.  
აი, თუნდაც ეს მკერდასვე მთვარე,  
მშვენიერი და გამტეხი ძილის...

სადა ხარ,  
ისევ გადავყვეთ ალერსს,  
ისევ ამოვყვეთ მამლების ყოილს.

### რა მამლარება

ა იმ გზის პირს რომ ძველი ზალია  
და იმ ბაღში რომ ნაბლის სახლია,  
არც მარტო ცხადში მოვფერებივარ,  
არც მარტო სიხმრად არ მინახია.

დღეს მოსაგონარს ვსვამ იმ ყველაფრის  
და თითქოს ვსინჯავ ლურწმის სინდელს.  
ტკივილს ეფვანი ვერც შევები,  
ან, უფრო სწორად, ვერ გაგიმტევ...

აქამდე მახსოვს ყელმოღერება  
წვიმის, ყვაილის, ნიავის, სტვირის.  
ვერ ვტყრო, თორემ რა შემღერება,  
ზოგს რომ ჰგონია, რა უნდა ტირილს.

### როშელი მოჰყავს...

რომ ვიცი ახლა, შენით ნაკლები  
რა ვარ, მით უფრო ხარ სანატრელი...  
თქმი, რომელი გასურს: ბროლის ქალები  
თუ ისევ ძველი ჯავრის სანთელი?

როშელი მოვყვე, —  
რა ცის ზღაპართ  
ვიქნები შენი ფრთის და გუნების,

მოდ, —  
სანამდის მოვა ზამთარი, —  
მოჭრიალდება შიოს ურემი...

### სიმღერა

რა ვქნა —  
კვლავ სხვები მღეროდნენ,

მე ისევ შენ მოგელოდე,  
სხვებს  
სახელის და დიდების,  
მე — შენი მოსვლის მჯეროდეს.

შე თეთრო ვარდო, ნიაი,  
შე ჭრელო ჭიაშირია,

არ მოფრინდები, წვიმია,  
მოფრინდები და — დარია.

### თუ გებრალბი...

განა ყველასთვის დაბერა ქარმა,  
განა ყველას ცა ჰკიდა ბუნეზე, —  
ეს მხოლოდ ჩემი ჩათავდა ქარვა  
და მხოლოდ ჩემი ხმა მოაქეთ ლერწმებს.

ამ ტოტს  
შარშანინი სხვა სიო ესხა,  
სხვა ციდან რეკდნენ ჩემი ზარებიც....

ნეტავ შენამდე თუ აღწევს ეს ხმა  
და ცოტა მაინც თუ გებრალბები?

### ანილა ვისთვის...

მეგონა, ცისკენ მივყავდი ზღაპარს,  
და მეც მივდედი ფრთების სწორებით...  
ახლა კი ვხედები, მაგრამ სად ჩავყვლა  
ის თეთრი ფრთები და შეცდომები...

აშრილებენ გ'ზა-გ'ზა ძენნები,  
შუა განყვეტილ სიტყვას და ამბორს,  
ანილა ვისთვის ვიყო, ვენამო,  
ანი ნუთუ სულ არაფრის გამო?

ტირის: ჯარგვალ, ჯამბარა, ჯორკო,  
ჯამი და ჯამზე ნატეხი დანის...  
გათხოვდა ყველა ლამაზი გოგო,  
დაიქცა ყველა ცისფერი ბანი.

### 306 ბაიზას...

ცოცხალი ვარ —  
არ გთხოვ საშველს,  
მოგკვდები და —  
არ გთხოვ ტირილს...  
სიმღერებით ვიხდით სასველს, —  
მე და ჩემი გუდა-სტვირი.

ვარ მიბმული თეთრი კრავით,  
ვარ მიბმული ამ ლელესულელს,





მოფრინდება მალე ყვავი,  
გაფრინდება სული სულეთს.

ვინ გაიგებს, ვინ ვიყავი,  
ან წასვლისას რა ვისურვე...

**ყვითელი ფოთლები**

დამელადა თვალი გზისკენ ცქერით,  
მოლოდინში დამეკარგა ცრემლი,  
ნაცნობთა და ნათესავთა ნაცვლად, —  
ხმა კარებთან ნელი ფოთოლცვენის...  
მოდი, ბარემ ნამინერე ქვაზე  
სულ უბრალო,  
აი, მთლად ეს, თუნდაც:

— მერე მთვარეც მიცურავდა ცაზე,  
მაგრამ უკვე აღარავის სურდა...

**იქნება გამოაღო კარი...**

რას მერჩოდ, ვიყავ ჩემთვის,  
მორჩენილი ნვას და დავგავს,  
შეგრჩეს ჩემი თეთრი მტრედის  
დაფრთხობა და გადაკარგვა.

კიდევ რას ყმუიან მგლები,  
ბედი კიდევ რას მპირდება,  
ნუთუ უფრო დაგებრდება,  
ნუთუ უფრო დაბინდდება?

იქნებ გამოაღო კარი,  
ჰკითხო რამე ამ ძველ მთვარეს,  
კიდევ რას უბერავს ქარი,  
კიდევ რაღა დარჩათ ქარებს?

**მკითხველს**

ვიცი თქვენამდის შარაც, ბილიკიც,  
ზედ პოეტების დაცლილი კალთაც...  
სხვა გზა რომ არ ჩანს, ის კი არ მიკვირს,  
ის — რომ გგონიათ, არ ვყვები მართალს.

რომ გექვებათ, არ იყო ჭრელი  
ჩიტი, რომელმაც ცა არ იკმარა,  
რომ გექვებათ, არ ერქვა ლელი  
გოგოს, რომელმაც არ შემეფყარა.

თუმცა ამაზე სხვა დროს და სხვაგან —  
დღეს აქ სხვა ნუხილს ჩამოაქვს ჭერი:  
როდის ენევეა ჩიტი ამ კაკალს,  
როდის ეწეება ველს მწვანე ფერი!

თამაში როგორც აეტონო-  
მიური სიტუაცია, რომლის  
განზოგადება უსასრულოდ  
შეიძლება; თამაში როგორც  
ახალი ენის ძიების გზა, რომ-  
ლის დაკარგვა ყოველთვის  
შეიძლება; თამაში როგორც  
ილუზია, რომელიც შეიძლება  
ყოველ ნაშბ დაიშხვრეს...

შოთა ბოსტანაშვილი ის  
შემოქმედია, რომელიც შიშს  
არ სცნობს, შეცდომის შიშს.  
ექსპერიმენტი, რისკი და  
სიახლისაკენ სწრაფვა მისი  
ხასიათია. ეს ლექსიც ნიშანია მისი ხასიათისა. როგორ  
გავივით თამაში ალიტერაციებით, ასონანსებით, მინიმუმბე-  
ბითა და მორფოლოგიით? ისე, როგორც ოკითხება, თუ ისე,  
როგორც იგულისხმება?

აღბათ როგორც იგულისხმება, იმიტომ, რომ ტექსტის  
სიღრმეში მოჩანს ანარეკლი, დღევანდულობის ანარეკლი.



**შოთა ბოსტანაშვილი**

**პაერზე ლაპარაკიღა**

ზორვით ზღვები აზვირთდნენ...  
ზვევით დაიბზარა ცა...  
მზზე, რით დაიბზარა ცა?!

ზინზლითა და ზიმზიმით,  
ზოზინით და ზუზუნით,  
ზ(მ)ულოით და ტყუილით,  
ზლუქუნით და სლუკუნით,  
ზმუკუნით და ბლუკუნით  
(და საერთოდ, — უკუნით),  
ზუაობით და მზვერავი  
მზერით დაიბზარა ცა...

(ვ)აი, როგორ შემცირდა,  
როგორ დაიცადა ცა...  
გავთომილის გამთელება  
ვინ აღარა სცადა და  
დატეხილის შეერთება,  
ატეხილის დამშვიდება,  
და ტეხილის გასწორება  
არვის არ დასცალდა და...

ველარავინ მიეტოლა,  
ველარავინ შემოწვდა ცას...  
შემოცვდა ცა...  
დაცოტავდა...  
დაცოტავდა...  
მიანვედნს ხელს ხელი ხიდან...  
აქაც ფიციხი იარება,  
იქაც ფიციხე რება...  
იცქირება აარარ  
ერთი ციდა ციდან.

ბავშვობაში ცა არის ცისფერი, მზე არის მზისფერი და ადამიანისაც ადამიანის ფერი ადევს. ეს მერე იწყებენ გაფერადებას, როცა იწყება გაფერმკრთალება. როცა შემეცნების ხიდამ მოწვევბულ ნაყოფსაც ეკარგება მორცხე სინათლე, როცა სამყაროში არ რჩება არაფერი, რომლის მოხელთებასაც თუ რომლის გახიზვებასაც კაცი არ ცდილობდა. ყველა გემო დაქმნილია, ყველა ფერი აღრუულია, ყველა სივრცე დასერილია. ყველა სიმძლვე დალაშქრულია... ასე იქნება იღუბოა ძალმოსილების, ყოლისმეშველეთა...

ემზარ კეტიანიშვილის წინამძღებოა ლექსი მხატვრის მიერ ხელში ფუნჯის ადების პეაგა და მის მიერ შექმნილ ფერწერულ ტილოზე „ბავშვობა სამყაროში“ ე.ი. სამოთხის დაბრუნებას ამ ცოდვილ მინაზე. იქმნება ნამდვილი ოდა ბავშვობასა და ბავშვობაზე. სიმბოლურია, „ბავშვობა სამყაროში“ ნოდუფული და დიდი უნივერსალი სწორად იმ ტერიტორიაზე მოთარბებულია მათარბულებსა და ლიანდაგების სპეციფიკური სურნელი და ვაგ ხლის შემოგარენში გაბართული ბაზრობის მღვრე სიჭრელე ერთმანეთში რომაა არეული. ვაჭრობისა და აღბე-მიცე მოთხის მოყაყანე განგაში კიდევ უფრო მეტად უსკამს ხაზს იმ მშვიდ სივრცელს, უნივერსალის ზღურბლანვე რომ შევებებება თითოეული ჩვენთანგინი, ვინ იცის, რამდენჯერ შესულა ამ სამყაროში, რამდენჯერ უძენია სათამაშო და მერე თაისი არჩევითი რამდენი პატარა ვაუხარს ზოა. მგარამ როცა ამ ფერადოვან მღვიმეში პოეტი შედის, სასწაული ხდება. ასეთი სასწაული მოახდინა პატონმა ემზარმა, როცა შილდა გაერემო დისნეის ანიმაციური კადრებილია აამტყველა და ხოიმაღ აქცია. რა თქმა უნდა ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოუღივარ, მაგრამ ზოგთან შალე მთავრდება ეს ბავშვობა, ზოგთან მთელი სიცოცხლე გრძელდება. ბავშვობის სიღბო, უშუალოა, უანგარობა და გაერება მოუონას იმ საოცარი სამყაროდან რომელიც პოეტმა შექმნა და რომლითაც ასე საყვარლად გამძლავნდა საუკუარი ადამიანური არსი.

ემზარ კეტიანიშვილი

სუნიერებალი  
„ბავშვობა სამყაროში“

წოდუნი საქართველოს პატარებს



შემა ამა ქვეყნის ბინადარს —  
მაღალმა, ფართო ქერმა ინათა;  
უპირველესი, რაც მზერას ათრობს,  
წრეა აკუნების და ჭოჭინათა.

მათ შილველს, სიკვილს რა მომაშიგბს,  
ვთოკავ ფრუანტელს, ტანში გაყოწილს...  
შენაცვლებია ქოშებს, მაშიებს —  
აურაცხელი სათამაშოინი.

ბავუნი. ბრგვილი მეხსენება ბავე,  
ვეება მყოფლო სუნთქავს ტლანია...  
ჩარიგებულა ეგერ და აგერ:  
საგორავები, სამოთხთვალანი.

მოჰყვება ამინდს ხან — მზე, ხან — ქარი,  
ატოკებული ფოთლის ქანქარი...  
მოჭყუმალიდა, ჭყლოპინა ჩელითა  
თეთრ აბაზანებს, კრავს მინანქარი.

აფუებული საბან-ლეიბი,  
ფაფუკ საფენთა ვინრო კარადა...  
რარიგად გვანან ბუტკობებს ბლები  
ასხმა ნაირფერ საწოვარათა.

სოროს ეტებენ რუხი თავებები...  
მინის ნიაღში მხნედ ნაოშები,  
აქვე გრძელწვერა, წერილ წერაქვებით,  
ღამენათევი, ქმენედ გნომები.

მხარი აუბეს ქუდებს ჩალმებმა —  
თოჯინები და ლურჯი ჯინები...  
მოტორბოლოერი ვის ესალმება?  
შორეთში დანთქმულ წლებს ვებჯინები.

გრილი შრიალი მესმის სურთოთ...  
არ ვმაღავ,  
მისი ხილვაც მსუროდა —  
ნამახულ რქებედ ადგას ყურები,  
მიყურებს ჭოტი ბნელ ფულუროდან.

ბლარტი, ჯადოსნურ ზეს ვებლატები,  
რა დამაკავებს,  
ციცხლად ვილო!  
ნიღბები — მელის, კურდღლის, კატების...  
ათასნაირი საკონციალო.

რას დაენება მცოცავი მზტომელს,  
გვონებ გოგავენ გოც და მაგოგო...  
ათასი კუთხებ.  
გასწვდები რომელი?  
ის — დასატენი, ეს — დასაქოქი.

გადვიეილოდი ცხრა წყაროს, ცხრა მთას,  
ნანახი, ძალმობის შევერა ცხრა ტომად...  
ყოველთვის ბავშვი ვიყავი, მწამდა,  
ვერ ვტოვებ სიყრმეს, იცით, რატომაც.

მაცოცხლებელი, რად მინდა გრილო,  
ოლინდ ამ ზღაპარს აღარ ვამყარო,  
ფვიცავ, არასდროს გინატრო, ძილო,  
არ გაგინენებ, სადილ-სამყარო!

ბერს არა, მაგრამ ზოგ რამეს მივხვდი...  
იკურთხოს, ვისმა ხელმაც აკეთა —  
საფერებია ყოველი ნივთი,  
არ გამომალალო, ღმერთო, აქედან!

ვებრები მოწყენას. თავს ვიციცვე ერთხანს...  
ისურვე ოლინდ, თონდაც დღეიდან —  
ეტიერერეკი ეფრემათა, ფერთა,  
სიხარულს რამდენ საბღში შეიტანს.

გაზაფხულია, ბოლავს ხე-ხილი,  
ავგავებელი უთვალავ რტოთი...  
მტვრიალი დაზვანე, ქვა, დახერბილი,  
არ დამანახვი სამარის დახორ!



პაატა ჩხეიძე

# ბალადა ორ სამყაროზე

„ბალადა დასავლეთისა და აღმოსავლეთზე“ — მურმან ლებანიძემ ამ სათაურით თარგმნა კიბონგის ცნობილი ბალადა; სჯობდა, რომ „ბალადა აღმოსავლეთისა და დასავლეთზე“ ყოფილიყო, რადგან ასეა ორიგინალში და ასეა იმიტომ, რომ მოქმედება აღმოსავლეთში ვითარდება, ამბავი პაკისტანისა და ავღანეთის საზღვარზე ხდება, დასახლებულია ფეშაგარი, ხაბერი, აბაზა, ბონგარი და სხვა. მურმან ლებანიძემ ინგლისურს არ იცოდა, მან ან რუსული თარგმანით ისარგებლა და ან პუკარედით და სათაურის თარგმნისას, კეთილშობილურად იტყობის, მოკლე სიტყვა დაინიშნა.

აღმოსავლეთი ამ ბალადაში ნარამართველი ცნებაა, დაუძლეველი ნაციონალური და კულტურული წინააღმდეგობა დასავლეთისათვის, ბრიტანეთის იმპერიისათვის, რადიარდ კიპლინგისათვის; აღმოსავლეთი დაპყრობილია, მაგრამ დამორჩილებული არ არის, აღმოსავლეთი შესწავლილია, მაგრამ შეცნობილი არ არის.

ბრიტანეთის კოლონიური პოლიტიკის აქტიური მომხრის, ბრიტანული არმიის ძველამოსილების მომღერალ რადიარდ კიპლინგის ლექსებში შეგნებულად თუ ქვეცნობიერად ჩნდება სამართლიანი რეაქცია ბრიტანეთის დამპყრობლური პოლიტიკის მიმართ, არა წინააღმდეგობა დამპყრობლისადმი, არამედ თანაგრძნობა დაპყრობილსადმი; მაგალითად, „ფუზი-ფუზი“ ან, თუნდაც ეს უპოპულარულია ბალადა, რომელი დასმული იდგება ჯერაც არ არის გადწყვეტილი გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე.

როცა კიბონგი წერს: **Oh, East is East and West is West, and never the twain shall meet,** — იგი არა მარტო განსხვავებაზე მოუთხოვს, არამედ წუხს, რომ აღმოსავლეთი აღმოსავლეთად რჩება, არ იცვლება; დასავლეთს შეეცვლა არ სჭირდება და არ შეეცვლილა საუკუნეთა მანძილზე, მან იცის, თუ როგორ შეინარჩუნოს სახე და არის, როგორ მოირგოს პროგრესის ნიღაბი, მაგრამ მარად იგივედ დარჩეს. იგივედ დარჩენა სანატრელი იყო ქართველი პოეტისათვის, მიუხედავად სანატრელი, დასავლეთმა კი მიაღწია ამ რომანტიკულ ოცნებას და ახლა ნიღებთი

თამაშობს; ლიბერალური დემოკრატია ნიღაბი მისთვის, ჩვენთვის კი სატყუარაა, იარაღია პლასტიკური ობერაციის ან ზომბირებისათვის, მაგრამ დასავლეთის გასაოცრად აღმოსავლეთი არ იცვლება.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხვედრის სასურველობაზე ბალადის დასაწყისშივე სიტყვა **shall** მოუთხოვს, ხოლო წარმართველი სიტყვა ბალადის შესავალ ოთხსტრიქონებში **twain** უნდა იცოს, რაც ნიშნავს ორს, წყვილს ან იქნებ სიტყვის ძველი მნიშვნელობა უფრო აინტერესებდა პოეტს და იგი **twain**-ში თანაბრად გაყოფილ ერთს გულისხმობდა?!

„ბალადა აღმოსავლეთისა და დასავლეთზე“ არა მხოლოდ მიმოიღველი ამბავია ვაქცაცობისა, არამედ სეროზული დისკუსია აღმოსავლეთის შეცნობა-დამორჩილებების პროცესისათვის.

კიბონგი ერთი მხრივ აღიარებს, რომ განკითხვის დღემდე აღმოსავლეთი და დასავლეთი განსხვავებული დარჩებიან და აღარასოდეს შეერთდებიან, მეორე მხრივ კი სწორედ შეერთების გზას ეძებს, ცდილობს აღმოსავლურ ლაბირინთში დასავლურ დირექტულებათა ბლიკი გააძვინოს.

ქველობა, ვაქცაცობა, რაინდობა, როგორც უმაღლესი ზნეობა, რასაც სამკედრო-სასიციოცხლოდ შეგებული მხარეები აღიარებენ, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი რთული და საგუ-



ილუსტრაცია გიორგი ალექსი-შენიშვილისა

ლისსმო თემაა. სიყვარული და ვაქცაცობა ის ზნეობანია, ეროვნულ ზნეობასთან მეტოქეობა რომ შეუძლია, მაგრამ ვაქცაცობა იშვიათია, ერთეული და განუყოფელი და მისი საწყისი, ალბათ სიყვარულისაგან განსხვავებით, რამაც არავითარი საზღვრები არ იცის, ეროვნული ზნეობავედ მოდის; რადგან ვაქცაცობას სჩვევია აღტაცება სხვისი ვაქცაცობის ხილვით, მაგრამ არა მოვალეობის საბოლოო დავიწყება.

კიბონგი, როგორც მოქალაქე და უურნალობი, ბრიტანული პროგრესისა და ცივილიზაციის გავრცელებსა და გამარჯვების მომხრეა, მაგრამ, როგორც პოეტი, მინც აღიარებს ბრიტანეთთა უსამართლო, დამპყრობლურ პოლიტიკას იმით, რომ დიიორამებს უძღვნის ქემალის რაინდობას და მისი ბრძოლის სამართლიანობას; მაგრამ, სანამ ქემალის ვაქცაცობა გამჭვლელებს, იგი ხან საზღვრის დამრღვევი და ხალხის ამჯანყებელი (**Kamal is out with twenty men to raise the Border-side**), და ხანაც საზღვრის იქიდა მისული ქურდი (**Border-thief**).

კიბონგი მოხიბლულია ავღანელის ვაქცაცობით, მაგრამ პრობლემა ვაქცაცობა ვერ წყვეტს და მხოლოდ აღმოსავლელ ვაქცაცობა დასავლეთს, თითო რდეფილის სამსა-

ხურში ჩაადგომით მოგვარდება პრობლემა. ასე ხომ სპარსე-  
ლები და მონღოლებიც იხიბლებოდნენ ქართველთა ვაჟკა-  
ცობით, მაგრამ მაინც ზოცავდნენ ან თავისთან მიჰყავდათ,  
რადგან ვაჟკაც იკოვდნენ რაინდობის ერთგულნი არის.

ბაღდადის ფინალი ალოგიკურია, შეიძლება ითქვას,  
დრონიკობრივად, ქვეალის სამხიდან. იგი თავის მხოლოდ-  
შობილ ვაჟს დედოფლის მამარხურში უშვებდა, ავალებს,  
რომ კარიერა გაიკეთოს ბრიტანეთის არმიამი და, თუ სა-  
ჭირო იქნება, საკუთარ ხალხი და საკუთარ მშობლებიც კი  
არ დაინდოს.

ქვეალი ამას, რა თქმა უნდა, არ იზამდა, მხოლოდ ინ-  
გლისელის რაინდობის მნახველი; იგი, ზნეობრივად სრული  
ვაჟკაცი, ზნეობის შეცვლას ანუ უზენიობას არ მოწონებდა  
თავის ერთადერთ ვაჟს; ასე მხოლოდ ქუდი მოიქცეოდა.

ამ გადნაწერებებს ქვეალის ნაცვლად კილინგი  
იღებს, იგი ქვეალის ნაცვლად ფიქრობს და ლაპარაკობს. ქე-  
ვილი ბარბაროსია, იგი ცხენს შეაბრუნებს და გაქრება; და სა-  
ჭიროა, რომ მართლაც გააქრეს მოურჯულგებელი ბარბაროსი;  
აღიაროს თავისი ბრძოლის უმინჯობა, უტრანსპექტივობა  
და თავისი ვაჟი თავისევე საქმის მინააღმდეგ მიმართოს.

კილინგის შემოქმედების ინგლისელი მკვლევარებიც  
შენიშნავენ, რომ ქვეალისაგან შვილის გატანება პოლიკონი-  
კის ვაჟისათვის მოულოდნელი საქციელია და სწორედ აქ  
არის ბაღდადის კულმინაციური წერტილი. რატომ მოიქცეო-  
და ასე ბაღდადელთა ბელადიო, კითხვობს ჯეიმზ პარსონი.

ქვეალის ალოგიკური საქციელი ჩვეულებრივი მძევ-  
ლის გაგზავნა გამარჯვებულის ბანაკში, იძულებითი ნა-  
ბიჯი და არა ნებაყოფილებითი ფესტია.  
კილინგის ლოგია კი შორს გამოხსნული სტრატეგიაა;  
ასი წელი იქნება გასული ბაღდადის დანერის დღიდან და  
დასავლეთი ღირებულებები კვლავ ამ პოლიტიკით იკავებ-  
ენ გზას აღმოსავლეთში.

საგულისხმოსა, თუ რა ისტორიული ნაწამძვრები არ-  
სებობს კილინგის ბაღდადისათვის.

ვესენტ ა. შენიინი წერს, რომ კარლ უ. დიოიისა და ნორ-  
ბერტ უინერის გადმოცემით, ბაღდადის ინგლისელი პოლ-  
კონიკი სერ რობერტ უორბარტონი, ვინც შეადგინა ხაბიუ-  
რის მეთაფეთა რაზმი. სასაზღვრო ომების ისტორიის მი-  
ხედვით, პოლიკონიკი უორბარტონი ტყვედ იმყოფებოდა ქა-  
ბულებში 1842 წელს; ავღანელი პრინცივას დახმარებით თავი  
დააღწია ტყვეობას და ცოლად შეირთო პრინცივას. ამრიგად,  
ბაღდადის გმირია შვეიცარეთა რაზმის მეთაფრი, ახალგაზრდა  
უორბარტონი, ნახევრად ინგლისელი და ნახევრად ავღანე-  
ლი. ვაჟობის, რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი უკვე შეხ-  
ვედნენ ერთმანეთს პოლიკონიკის ვაჟის სახით და თითქმისდა  
იხსნება ბაღდადის დასაწყისში დასმული დღეობა.

მამ რატომღა ნამოჭრა ეს პრობლემა კილინგმა ან რა-  
ტომ გამოიყვანა პოლიკონიკის ვაჟი სუფთა სახსლის ინ-  
გლისელად?

ივლის უნივერსიტეტის 1963 წლის ივლისის მიმოხილ-  
ვად დაბეჭდილია დიოიისა და უინერის წერილი; რომელ-  
საც ინიშნებს შენიინი და შეუდობს მოსდელი; ამ წერილში  
დამონებულა ენციკლოპედია ბრიტანიკა და დიორი და  
უინერი წერენ, რომ სერ რობერტ უორბარტონი იყო არტე-  
ლინგისტ ოფიცირსა და ავღანელი პრინცივას ვაჟი, ამდენ-  
ად, პოლიკონიკის ვაჟი უკვე ნახევრად ავღანელი კი არა,  
მეთოსხედი ავღანელი გამოიხსნა.

და მაინც, რატომ დააპირისპირა კილინგმა ავღანური  
სისხლის მქონე პოლიკონიკის ვაჟი ავღანელებთან და რა-  
ტომ გამოიყვანა იგი სუფთა სახსლის ინგლისელად. თუ  
მას კულტურათა დაპირისპირების ჩვენება სურდა, ამ აშ-  
ბაჯს არ აიღებდა საფუძვლად.

დიორი და უინერი მიიჩნევენ, რომ კილინგს ყოველ-  
თვის ეშინოდა, მისთვის „უცხოობა“ არ დანაშაურობდა და  
ბრიტანული კულტურის მიღმა არ მოვაზრებინათ. იგი ყო-  
ველთვის უფრთხობდა გაორებას და ამიტომაც არაფერ  
ჩააგდო ისტორიული სინამდვილე, რაც მისთვის უთუდ-  
ცნობილი გახლდათ როგორც ლაპორის ვაზეთის რედაქ-  
ტორის მოადგილისათვის. იმასაც ამბობენ, რომ კილინგი  
ინგლისში უცხოედ გრძნობდა თავს და მარგინალურობის  
განცედა დიდხანს გაჰყვა.

ინდიკონი მცხოვრები ბრიტანელები ყოველთვის მარ-  
გინალური იყვნენ თითქოს, მაგრამ ბოლის ვაჟიკე, რომ-  
ღი ბრიტანელებად დათრენილიყვნენ. თუმცა კილინგმა პრინ-  
ცი ინგლისურთან ერთად შეისწავლა, მაინც წმინდა ინ-  
გლისელად დარჩა ბოლომდე და სწორედ ამას აღიარებს  
თავის ბაღდადში, არა შიშით, არამედ გულწრფელად და  
თავმოწონებით.

დიოიისა და უინერის მოსაზრების გასაბათილებლად  
ისიც კმარა, რომ უორბარტონი მხოლოდ მათორ იყო, მაშინ,  
როცა კილინგი ლაპორში, ვაზეთის რედაქციამ მსახურობ-  
და, და ამიტომ არ არის აუცილებელი მას მაინცდამაინც  
უორბარტონი არჩია თავის პერსონაჟად. ვარდა ამისა,  
უორბარტონმა ხაბიურის მეთაფეთა რაზმი დააარსა, კი-  
ლინგის პოლიკონიკის ვაჟი კი შვეიცარეთა რაზმის მეთაფრი.

შვეიცარეთა რაზმი განლაგებული იყო მარცხენა, ხაბიუ-  
რის უფელტებლიდან 50 მილის მანძილზე. იქვე მდებარე-  
ობს ბაღდადში ნახსენები ახაზაის და ბონიარის დასახლე-  
ბანი. რაღედ დიორიანი თავის ნაშრომში კილინგის პოე-  
ზიის შესახებ (1914) მოგვითხრობს ამ ნაწილის შესახებ,  
სერ შვეიცარეთა შენაერთი შექმნა სერ პარი ლამსენმა,  
სერ პეირი ლორენსის მითითებით. ეს გახლდათ მოზღუ-  
და და ვანერთინილი ნაწილი, რომლის მებრძოლებაც შე-  
ქმლეთ ემოქმედათ სწრაფად, საზრინადა და საკუთარი  
ინიციატივითაც, საჭიროებისას. შენაერთი შედგებოდა  
როგორც კავალერიის, ასევე ორი ინფანტერიის რაზმისა-  
გან. 1400 ჯარისკაციმ ოცდაშვიდი ბრიტანელი ოფიცერი  
გახლდათ, ხოლო დანარჩენი ადგილობრივი. შენაერთი  
ადგილობრივ ტომების მტრობის ნიადაგზე იყო შექმნი-  
ლი. ეს გახლდათ ელტიმარული და სახელგანთქმული ნაწი-  
ლი; მის როგებში მრავლად გვხვდება ადგილობრივ კეთილ-  
შობილად და ცნობილ ვაჟკაცთა სახელები.

მრავალი ლტენდარული ამბავია ჩვენამდე მოღწეული  
ამ შენაერთის შესახებ.

ცნობილია ორი ოფიცერი, ლეიტენანტების, რეთერისა  
და მიჩონის ამბავი; მათ თავი გამოიჩინეს პოლის თამაში.  
თამაშის დამთავრების შემდეგ, ნაბარკანები ქაინდათ მალა-  
კანდიდან, სადაც პოლო ითამაშეს, რადეც უნდა დასდო-  
მოდდა, თავის პოსტზე დაბრუნებულნი ჩავდარაში.  
ვინც თავზეხელაღებულ ავღანელთა ჯგუფს გადებყარნენ,  
გინც იციეს რაუტი მოთამაშენი და უფნებლად გააშრებენ.

ამგვარი ამბავი იმდენია, რომ სრულიად ვაშკარობეუ-  
ლია კილინგის ბაღდადის სუფეტს რეალური ფაქტები  
ეგოს საფუძვლად.



ეთქათ, ცნობილი ყარაღის, დილაგარ ხანის ამბავი. იგი უშიშარი მებრძოლი და თავუხუხალღებულო მოთარემე იყო. სერ პარი ლამსდენმა გადახყიტი, რომ კარგი იქნებოდა მისი გადმობრუნება ზეგერათა რაზმში და მოსალაპარაკებელად დაიბარა. ზეგერათ ხანი მოვიდა მოლაპარაკებაზე. ლამსდენმა უთხრა, ერთხელაც იქნება დაეჭერ და ჩამოვაგრობო, რატომ არ უნდა შეუმოურთდე მზეგერათა რაზმსო; დილაგარ ხანმა ბევრი იცინა, თუმცა აღუთქვა, ვიფიქრებო, და ექვსი კვირის მერე მოვიდა და მზეგერათებში ჩაენერა. იგი ორი ათას რუპიად იყო შეფასებულ და არაერთი-ორი გარანტია არ გააჩნდა, მაგრამ მაინც ენდო ლამსდენს. უთქვამს, ინგლისელთა ცხოვრებისა და ჩვევების შესწავლა მინდობდა და უკან წასვლაო, მაგრამ დარჩა, რადგან ოფიცერთა პირიანობამ მოხიზნა, რაც ერთნაირად ფასდებოდა ინდოეთისანობა, ბუმბტუსა და ინგლისელთა შორის. იგი სუბადარი გახდა და ძალზე სახიფათო დივანების შესრულებას დაიდოება, მაგრამ ეს უკვე სხვა ამბავია.

ამბობენ, დილაგარ ხანი განაღებულყო კაცი იყო და ისლამში დაეჭვებამ ქრისტიანობასთან მიიყვანაო. ეს უკვე ინგლისელთა მიერ გავრცელებულ ხმასა ჰგავს, დამპყრობლებისათვის ჩვეული ამბავია კონდოტიერთა დიდების მარაგანდედზე ზრუნვა.

კოლინგს ისევე ვერ მოვთხოვთ ისტორიული ფაქტების ერთგულებას, როგორც შექსპირს.

ინგლისის ისტორიულ ანალებს ვერ მოვთხოვთ თავისუფლებისათვის ავღანელთა ბრძოლის პირობებულ აღწერას. რუსები კავკასიელებს მუდამ ყარაღებად ხატავდნენ და არა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებად.

ინგლისელებიც უნდობლივან გამოკვეთონ ერთგული მოტივი დაპყრობილ ხალხთა ბრძოლის აღწერისას, თუმცა შორს მიიდანა აღტაცების დამახატვისას, როცა ჭეშმარიტ რაინდობას შეხვდებიან.

კოლინგი აღწერს რაინდობას ავღანელი მეამბოხისა, მაგრამ მოგვითხრობს იმას, რაც განზრახული ჰქონდა ინგლისურ პოლიტიკას და რაც გულით სურდა თვითონ, ეხილა ეს გმირები ბრიტანეთის დელოფლის საზნაუბრში.

მაგრამ კოლინგის ტალანტი საკმარისი არ არის ღვთის განგების შესაცვლელად — აღმოსავლეთი აღმოსავლეთია და დასავლეთი — დასავლეთი.

ავღანელები ჯერაც არ ზოირობიან დასავლურ ცივილიზაციას და კვლავ იბრძვიან თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, როგორც სპარსელებს ებრძოდნენ, გიორგი მეოთხრემეტეს ებრძოდნენ, ინგლისელებს ებრძოდნენ, რუსებს ებრძოდნენ, და ახლა ამერიკელებს გაუჩნდებათ პრობლემები, თუ უძველესი ჭეშმარიტების გაუქმებას მოინდომებენ.

ბალადის სიყვარული კოლინგს სკოტლენდელი დედისაგან (მაკდონალდი) უნდა გამოპოლოდა და უოლტერ სკოტის გავლენით განმტკიცებოდა.

მოუტური ოსტატობა კოლინგს არასოდეს აკლდა; იგი ყმათევნილებადნევე გამოიწარმებულო იყო ინგლისურ ვერსიის ფიკაციასთან და სიჭაბუკედან მოყოლებული ძივბას შეუდგა. თანამედროვენი იხსენებენ, თუ როგორ ითვლიდა ტაქტს გემბანზე მდგომი, როგორ აქნევდა ჩიბუხს აქეთ-იქით და უცერად წამოიძახა, მივაგენი, ტომ ატყინის ბალადების რიტმს მივაგენიო.

იამბურ პენტამეტრს არ სჯერებებოდა; მისი რიტმები იამბში ვერ ეტკობა და გამუდმებით ეძებდა შესაფერის სალექსო საზომს ინგლისურ ბალადებში, ირლანდიურ ჯიგებში, ამერიკის სამოქალაქო ომის სიმღერებში; მგვაობრებს ევედრებოდა, სიმღერის მოტივი მომიძებნეთო, და შემდეგ ხეენდა, ხეენდა დაუსრულებლივ.

ყოველთვის, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ქართველ მთარგმნელთათვის კოლინგის შემოქმედების თარგმნისას.

ბალადას აღმოსავლეთსა და დასავლეთზე სენდვიჩის ფორმა აქვს; თავსა და ბოლოში მთავარი დილენა დასმული, დილენა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შერევერდელობისა: **Oh, East is East, and West is West, and never the twain shall meet, Till Earth and Sky stand presently at god's great judgement seat; But there is neither East nor West, Border, nor Breed, nor Birth, When two strong men stand face to face, tho' they come from the ends of the earth!**

ქართულ თარგმანში ორიგინალის მინარსიც საკმარისადაა შენარჩუნებული და კონცეპტუცი, თუმცა მგეტა ჩაღრმავება აფეტრის ჩანაფიქრში თარგმანს არ აწყვედა.

ო, დასავლეთი დასავლეთია,  
აღმოსავლეთი სხვა ხნიერი!  
დარჩება ასე, მინას და ზეცას  
არ განიკითხავს ვიდრე ცვიერ.  
მაგრამ რას ნიშნავს ჯიმი და მოდენა,  
რაცა შპირისპირ, როცა შპირისპირ,  
ძლიერს შპირისპირ ხედება ძლიერი!

თარგმანში არა სჩანს ან გაფერმკრთალებულია ქემბლის მიზანი; იგი ოცი კაცით გადმოვიდა საზღვარზე, რათა ააჯანყოს ხალხი, ამევე დროს პოლოკონიკის საყვარელი ფამატიცი მოიპარა, რა თქმა უნდა, პოლოკონიკის გასაძნარებლად: **Kamal is out with twenty men to raise the Border-side, And he has lifted the colonel's mare that is the colonel's pride:**

თარგმანშიც ვაჩვენებ საუბარი, მაგრამ რაკი ბალადასთან გვაქვს საეჭი, ამის სიწუსტე უნდა დავიცვათ, თორემ უზირ მითიხვევს მოეწვენება, რომ ქემბალი უზრალყო ქურდია და აჯანყებულებს აფარებს თავს.

პოლოკონიკს საყვარელი ფამატი  
მოსტაცა და თავისი ხალხით  
მხარეს მიაშურა ქემბალმა,  
სადაც ზეცას სწედება ვაწყი.

თარგმანი მთლიანობაში შეძლებისდაგვარად მიჰყვება ორიგინალს, მაგრამ გადახვევები მაინც არის და ეს გადახვევები მთარგმნელის პოზიციას კი არ ასახავს, არამედ მთარგმნელის თვალუზრუბის სიშინის ბრალია. მაგალითად, ორიგინალშია ბონიარი, ადგალი, დასახლებული უნტეტი პაკისტანში, თარგმანშია ხონიარი.

ზოგან ქართული თარგმანი განელილია ფსევდოლამოსავლური აღწერათ სურათისა: **Then up and spoke Mahomed Khan, the son of rissalar:**





ქართულ თარგმანშია:

ადგა და წინ წასდგა მოჰამედი,  
ხანი მოჰამედი მამინ  
და ბრძანებს ხანი მოჰამედი —  
თვითონ რესალდარის ვაჟი:

ორიგინალშია მაჰომედ ხანი და არა ხანი მოჰამედი;  
თარგმანში შემოტანილია ნოდება რესალდარი და, რადგან  
შემოტანილია, ასევე უნდა დარჩენილიყო, თუმცა მთარ-  
გმნელმა ბალადის ბოლოს ეს ნოდება სარდლით შეცვალა:  
**Belike they will raise thee to Ressaldar when  
I am hanged in Peshawar,**

შვილს ვგებ სარდლობა გიბოძონ,  
მამა ჩამოშკიდონ ძელზე

ამ შემთხვევაში არც ფეჰვარის გამოტოვება სწორი,  
ამგვარი ნაკლი ბალადის რეალისტრობას აკნინებს.  
ან, ვთქვით, ორიგინალშია: **Kamal has gripped him by  
the hand and set him upon his feet**

თარგმანი უხეშადაა შეცვლილი: „ქემალი ყელში  
სხვდა მღვარს და „ხმა, კრინტი!“ — შეჰყვირა რის-  
ხითა,“ — მინარსობრივი ინფორმაციის შეცვლა ბალადის  
კონცეპტს ცვლის და ორიგინალისაგან სრულიად განსხვავ-  
ებულ სურათს ვიღებთ: ორიგინალი ქემალი უხებდა მო-

წინააღმდეგეს, ცოცხალი რომ ხარ, ჩემი წყალობააო, ნიშა-  
ნი რომ მიმეცა, მაშინვე მოგკლავდნენო. პოლკოვნიკის ვა-  
ჟი არ შეუმჩნედა და პასუხობს, დაითვალე, ჩემი მოკლეა  
რა დაფეხბაო, თან ძალს უწოდებს ქემალს. მონინალ-  
მდეგის შეუდრეკლობით გაოცებული და მოზობილული ქე-  
მალი ნაშოფგომაში მივშვებება და შენიშნავს, ძალი და  
სახსენებელია, ორივენი შავლები ვართო. ეს მშვიდი, რაინ-  
დული შესიტყვებანი ქართულ თარგმანში სიანზღობო,  
განრისხებითა და ყელში წვდომითაა შეცვლილი.

არც ხმალია რაოდენობის შეცვლა გამართლებული:  
**...full twenty swords flew clear** — თარგმანშია: ელვა  
ცხრა ხმალია და ცხრავეს...

გვხვდება გამოტოვებული სტრიქონი, რაც საჭიროა  
პერსონაჟების ხასიათთა გასახსნელად; ქემალი ეკითხება  
პოლკოვნიკს ვაჟს: **What dam of lances brought thee  
forth to jest at the dawn with Death?**

სიტყვა-სიტყვით: რა ხიშტების ზღუდემ მოგიყვანა ამ  
ღლით სიკვდილთან გასახუმრებლად? — რა ზეც პოლ-  
კოვნიკის ვაჟი პასუხობს, ჩემი კლანის სისხლი მამოძრა-  
ვებსო. გამოტოვებული შეკითხვა თარგმანში პასუხის ლო-  
გიკურობას აბუღღვანებს.

მურმან ლტენიძემ ინგლისური არ იცოდა და ეს შეც-  
დომები ან რუსულად თარგმანის ბრალია და ან ანკარედის  
მიმწოდებლისა.

და მაინც, სასიხარულოა, რომ ქართულად მოგვემო-  
ვება ამ უპოპულარულესი ბალადის რიგანი თარგმანი.

ახალი ნიშნავი

ლია რუხაძე

აღმოსავლეთი  
უფრო მასლოველი  
გახდება

სტეფანარევი სიბარული, რომ ეს წიგნი საკადრისია  
იმ ნათლეს ბსოფონსა, ვისაც ეძღვნება

დიდხანს ველოდი ჩემი კოლეგისა და მეგობრის თარ-  
გმანების ამ კრებულს. ის კი თითქოს არ ჩქარობდა, რე-  
დულებით აგროვებდა მასალას, არაბი მწერლების ქართუ-  
ლად ამტკველებებს რთულ საქმეს იყო შეჭიდებული.

ქართულ თარგმნით ლიტერატურას თუ გადავხედოთ,  
თვალისაყვამია, რამდენად სჭარბობს დასავლური ენები-  
დან ნათარგმნი აღმოსავლურს. მიზეზად შეიძლება მოვიტა-  
ნოთ აღმოსავლეთმცოდნეთა სიმცირე დასავლური ენების  
სპეციალისტებთან შედარებით. აღბათ აღმოსავლურ ენათა  
სირთულევ. შესაძლოა, ამითაც აიხსნას ის ფაქტი, რომ ამ  
ბოლო დროს ზოგიერთი არაბი, ირანელი, ჩინელი თუ იაპო-  
ნელი მწერალი სულ უფრო და უფრო ხშირად რომელიმე ვე-

რობულ, უპირატესად ფრანგულ, ენაზე წერს. თუმც კი იმას  
ვერ ვიტყვით, რომ აღმოსავლური ლიტერატურა, თუნდ  
ბეკლი, თუნდაც ახალი, ტოლს უდებდეს დასავლურს მა-  
ღალმატრულე ქმნილებათა სიუფით თუ სიღრმით.

ჩვენი თაობა თავს ბედნიერად რაცხს და გვეამაყება,  
რომ აკადემიკოს გიორგი წერეთლის მონაწილე ვართ.  
ბევრ რამესთან ერთად დიდმა მასწავლებელმა კეთილ-  
სინდისიერი და მაღალმატრული თარგმანის მაგალი-  
თიც მოგვცა ამინ რეჰიანის ლექსის — „განმკურნე მე, ბე-  
ვის ქალღმერთო“ — სახით. ამ ტრადიციით შესრულდა  
თინა მარგველაშვილისა და ნანა ფურცველაძის მიერ  
„ათას ერთი ღამის“ უზაღო თარგმანი და ბევრი სხვა, ჩა-  
მოთვლა შორს ნაგვიყვანდა. ამასთან, ჩვენი ის თაობა  
ვართ, მთარგმნელობითი გემოვნება ვახუშტი კოტეტიშ-  
ვილის გავლენით რომ ჩამოგვიყალიბდა.

\*\*\*

არაბული სამყარო... თავისებური და განსაკუთრებუ-  
ლი თუნდაც იმით, რომ ეს ვეებერთელა და მრავალმილი-  
ონიანი სივრცე 20-ზე მეტი მეტ-ნაკლებად განსხვავებუ-  
ლი ქვეყნითაა წარმოდგენილი. უნებლიეთ ადარებ სენა-  
სურენოვან — ასევე მრავალრიცხოვან — სახელმწიფო-  
ებს და მხოლოდ იმ დასკვნამდე მივდივარ, თუ რაოდენ  
მშვენიერია ეს კულტურული მრავალფეროვნება, რომელ-  
იც, ძალიან გულდასანწყვითი იქნება, გლობალიზაციის  
მსხვერპლი გახდეს.



\*\*\*

კრებულში, რომელსაც რედაქტორმა (გიორგი ლობინიძე) საესტეტიკო სიამარულადად უწოდა „თანამედროვე არაბული პროზის მცირე ანთოლოგია“, არაბული ადრისაგელეთის – მაზრისის – ცხრა ქვეყანა ნარმოდგენილი, და ერთიც – მარკო პოლოსაა. 16 ავტორთაგან უმრავლესობა პირველად იბეჭდება და კარგია, რომ მთარგმნელი მათ შესახებ მოკლე ცნობებს გვაწვდის.

იზოლდა გრძელის მიერ ქართულად თარგმნილი თანამედროვე არაბული პროზის ნიმუშები ბოლო ხანებში ხშირად იბეჭდება ლიტერატურულ პერიოდიკაში. ზოგიერთი ამ კრებულშიცაა ნარმოდგენილი, ავტორთა უმეტესობა კი პირველად გაეცნობა ქართული მკითხველი, რომელიც უმეტესად გაითაროვებს თვალსაზრისს ჩვენი ახლა და ამავდროულად „შორეულ“ აღმოსავლეთისაკენ.

თანამედროვე არაბული ლიტერატურა ნიქიერ პროზაიკოსთა ნაწევრობის არ განიცდის, მაგრამ ჯობრად ხალხი ჯობრადს, ნაგბი მაჰფუჰს, იუსუს მდრამა და ზაქარია თამირს განსაკუთრებულად გამოირჩეული ადგილი უკავიათ მათ შორის. ქართველ მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა, გაეცნობოდა ნიმუშებს მათი შემოქმედებიდან. ეს კრებული კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს მათ დიდოსტატობაში.

„იგი ყველაზე დიდი მწერალია, რომელიც აღმოსავლეთშია მსოფლიოს არქაე“, ასე შეუფასებია ჯიბრან ხალილი ჯიბრანი მის თანამემამულეს, ცნობილ მწერალს მიხალი ზუაიბს. ამის დასტურია ლურმესი სობრანის გაჯერებული ავტობიოგრაფიული ესეი „ჩემი დაბადების დღე“, რომელიც ავტორს ოცდახუთი წლისას დაუნერია. მთარგმნლის სასახლედ უნდა ითქვას, რომ მან ნარმატებით გაართვა თავი ამ ურთულეს ტექსტს და უხადოდ მოიტანა ჩვენამდე მწერლის ნააზრევი.

ნაგბი მაჰფუჰის მსოფლიო აღიარება ნობელის პრემიით აღინიშნა. მას კარგად იცნობს ქართველი მკითხველი, რაშიც საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა იზოლდა გრძელიძემაც. კრებულში შესული ნოველები, რომელთაგან რამდენიმე ადრეც დაბეჭდილა, ბევრიც ახალია, ჩვეული ფსიქოლოგიური დატვირთვით გამოირჩევა. მთარგმნელი ოსტატურად ახერხებს, შეუნარჩუნოს თბირობას სიფაქსზე, ღრმა ნედობა ადამიანურ განცდებში, თანაგრძობა. ის ტყეა, ვაჰამას სტუდენტ რომ გაიარა, რადიკალიზაციის რევერს შეტყვები („ტყვის მუნდირი“), საესტეტიკო გასაგები ხდება ჩვენთვის ხელმოკლე ალას ანტაგონიზმი თვითარი ქაბაბარონის მიმართ („ყასი“), პატარა გოგონას თვალით დახამული უხერხულობანი, განსხვავებული რელიგიები რომ იწვევენ („ბავშვილის სამთხუ“), აპმედ ანაბს თავისებური პროტესტიკური უნდა და ყველაფრისადმი („მოთხრობა მღერის“)...

იუსუს იდრისს „ნოველის გიგანტად“ მოიხსენიებენ, და რომ ის ამ ფანრის დიდოსტატია, კრებულში შეტანილი ამ სამი ნოველიდანაც კარგად ჩანს. პროფესიით ექიმის მახვილი თვალით მწერალი საოცარი სიზუსტით, ერთიანი სიმძლიერით გადმოსცემს და რაციონალურ შეფასებას აძლევს სხვადასხვა მოვლას, ნიმუშგონივრებას თუ უმ-



ტიმილიძე წყდის ბავშვზე

ნიშნელოს. განა ამ პატარა, ორგვერდინ მოთხრობაში „გამიწვი ასოუტში“ მთელი სისრულითა და აბიატული ის აბსურდული სიტუაცია, რომელიც სამწერლოდ ჩამოსული ერთი უბირი სოფელი მავარდება? სახე იმდენად განზოგადოებულია, რომ მას სახელთაიკ ეს არ მოიხსენიებს ავტორი.

უდავოდ მისახალმებელია ისეთი სახელის გამოჩენა, როგორიცაა ზაქარია თამირი (სირია). მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას მიიქცევს და ღრმა შთაბეჭდილებას დატოვებს მისი მინიატურები, სადაც რამდენიმე ათული სიტყვაში მწერალი ხელმწიფება გავიაროს იგავარკულ სიმბრძნეს, დაგვიანახოს ყოფის ამაოება. აღსანიშნავია, რომ ტექსტის ლაკონიზმი ზუსტადაა შენარჩუნებული თარგმანში.

\*\*\*

ქალის მდგომარეობის გათვალისწინებით ისლამურ სამყაროში, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ბოლო ათწლეულებში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა და ნარმატებით იდრის მთელი პოეზია ახალგაზრდა არაბი ქალი მწერლებისა. მათ ოსტატურად და თამამად გამოთქვეს თავიანთი სატიკონი და, რაც მთავარია, კიდევ ერთხელ შეასწესეს კავშირობას, როგორ უნდა ენარჩუნებინათ ქალმით, მხატვრული სიტყვით, და, ყოველ შემთხვევაში, არა ცუცხლთა და მახვილით, ყოველგვარ მანკურებას, ტრადიციულად მიღებული იწებება ეს თუ ახლად შექმნილი. რამდენადაც ვიცი, თავიდან იზოლდა გრძელიძეს არაბ მწერალი ქალთა ნოველების თარგმანები უნდა გამოეცა და სოლიდური მასალაც შეეგროვა. მათგან საუკეთესოები მოხედნენ ამ კრებულში, სადაც ქალი და მამაკაცი მწერლები თითქმის თანაბარი რაოდენობით არიან ნარმოდგენილი. აქ, ცხადია, ყველას ვერ ჩამოთვლილი, მაგრამ განა შთაბეჭდილი არ არის ის აბსურდული სცენები საკონტრასტო მუსტეტიკა, ხატონდა რომ აღვკვირებს მუსსინ ალ-ჰაჯირი („კატატი“) ან კიდევ ასაკოვანი ქალბატონის ღმილიანი სვედა სულად ჰილალის (ტრაყი) პატარა ნოველი „ღმილი წყლის პავეზ“, რომელიც ასე მშვენიერად მოუხდა კრებულს სახელწოდებად?

მთარგმნელს საშური სიხადებით მოაქვს ჩვენს გულმდებ ის განცედი — სატიკონი უფრო, იშვიათად სიბარულიც, რაც ამ პატარა მოთხრობის გვირებს ალულებით. ეს არც ირის გასაკვირი; ხანგრძლივს ცხოვრებამ და უშუალო სიხალეოდ არაბულ სამყაროსთან მისთვის მახლობელი და გასაგები გახდა ამ ხალხის ყოფა, მათი ყოველდღიურება, ჭირი თუ ლხინი. უამისოდ ეს ნოველები იკარგავდა იმ ენას და სურნელს, რაც მათ თარგმანებში იგრძობა.

უდავოა, მწერალს თუ მთარგმნელს უყვარს თავისი ნაშ. მასზე ზრუნა კი სიტყვების გაცოცხლებასა და მათი სიტყვების გახანგრძლივებამდე გამოცხადება. იზოლდა გრძელიძე რომ კარგი მოქართულიცა, ამის დასტურად მის თარგმანებში ისეთ სიტყვებს აღმოაჩენს მკითხველი, რომლებსაც, სამწუხაროდ, იშვიათად, ან სულაც ვეღარ



ვხედვით. მათ შეგნებულად არ დავასახელებთ, რადგან თითოეულ მკითხველს თავისი ჩანონათვალა ენება ასეთი სიტყვებისა. ამისთვისაც მადლობა მიაგრძნობს!

ალბათ, ყველას, ვისაც მზატურულ თარგმანთან შეკონია საქმე, ასეთი რამ გამოუცდია: რომელიმე ფრაზის სარწმუნოს რომ ვერ გამოკვავებია, ჩაუხედავს სხვა ენაზე თარგმანში, მაგრამ მეტწილად ამაღო; იქ ეს ფრაზა საერთოდ ვერ უპოვია. თვითონვე მოწმე ვარ, ჩვენთან მყოფ ფრაზად განათლებულ არაბებსაც კი როგორ გასჭირვებიათ პრობლემურ მუსიტყვებში ვარკვევა და, სახარბილო რომ ვერაფერი შემოუთავაზებიათ, იხოლდა გრძელძიქს თვითონ უტყვითავს არაბულის ლაბირინთებიდან თავის დაღწევა. არადა, თარგმანი ისე ლაღად იკითხება, სულ არ

ეტყობა ეს სიძნელეგამოვლილობა. პირიქით, წინის კითხვას რომ შეუდგები, ეს წენი აბლო აღმოსავლეთი ზოგისთვის უფრო აბლოვლო გახდება, ზოგად პირველად აღმოაჩენს, როგორ ცხოვრობო დღეს ათას ერთეულამის პერსონაჟთა შთამომავლები.

„მაბრუტ“, როგორც არაბები იტყვიან, ჩემი იზო. კვლავაც გავსარებინოს ქართველი მკითხველი. P.S. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სიამოვნებით მივესალმო კიდევ ერთი აღმოსავლური კრებულის გამოჩენის ჩვენს წინის თაობაზე. უდავოდ დიდა წარმატებად მიგვაჩნია მზია ბურჯანაძისა და თვა შურლაძის მიერ თარგმნილი „თოხომეტი სევიდანი ამბავი“ (თანამედროვე სპარსული პროზა).

ძიება

ნათია სიხარულიძე

ორი ეტიუდი  
ბალაკტიონზე

„მით ღაბრილ ირმეპის ბუნდს...“

გალაკტიონ ტაბიძის „დროშები ჩქარა!“ კონკრეტული პოლიტიკური მოვლენის ამსახველ ნაწარმოებად იყო მიჩნეული. ითვლებოდა, რომ პოეტი ამ ლექსით შეეგება ოქტომბრის რევოლუციას. არცთუ ისე დიდი ხნის წინ გალაკტიონის შემოქმედების ერთ-ერთმა მკვლევარმა, მ. ციქურაშვილმა, გადაწყვიტა ნაწარმოებისთვის ეს „ლაქა“ მოეშორებინა და აღნიშნა, „დროშები ჩქარა!“ საქართველოს აღდგენილ თავისუფლებას ეძღვნებო. ორივე ვარაუდს ერთი და იგივე ფაქტი ეწინააღმდეგება: ლექსი 1917 წლის 13 მარტით არის დათარიღებული (გამოქვეყნდა გაზეთ „სოციალ-დემოკრატიში“, 1917, 1).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ნაწარმოების შესახებ არსებობს გალაკტიონის ჩანაწერი. პოეტი იხსენებს, თუ როდის და როგორ ვითარებაში დაინტროს ლექსი: „ეს მოხდა 1917 წელს, ოცდაათი წლის წინადა, მოსკოვიდან ახლად დაბრუნებულს, მე შემბატონებენ, რომ ქუთაისის გენერალ გუბერნატორის მიერ განკარგულება იყო გაცემული ჩემი დამატირების შესახებ. ეს განკარგულება მიეცა ქუთაისის პოლიციას, აგრეთვე ფანდარმურებს, სისრულეში მოსაყვანად რის შესახებაც მე ჩუმად მაცნობა გუბერნატორის მდივანმა გვარად დადიანმა... მეც, რა თქმა უნდა, მაშინვე არაღვალურ ცხოვრებაზე გადავედი... ცვხოვრობდი ხან ერთი, ხან მეორე მეგობართან... და აი, პირველად დიდი ხნის შემდეგ ქალაქში [ქუთაისი — ნ.ს.] გაშვედი. საღამო ხანი იყო, ქუჩებში არავინ სჩანდა, მე მაინც ძალიან ფრთხილად მივდიოდი, რომ არავის ვეცნე... შევედი თუ არა თეატრის დარბაზში, აღვლევებულმა აუდიტორიამ იმ წამშივე შემამჩნია და ძახილთ „გაუმარჯოს რევოლუციას“ —

გარს შემომხვია... თეატრში ისმოდა მქუხარე ტაძისცემა და ძახილი: „გაუმარჯოს რევოლუციას!.. დროშები...“ აი, ამ მომენტში, დაიბადა ჩემი ლექსი „დროშები ჩქარა“. სხვა ჩანაწერიდან ირკვევა, თუ რომელ რევოლუციას გულისხმობს პოეტი: „როგორც ქორი გინახავს, თებერელის რევოლუცია ისე მოულოდნელად დაეცხრა ქუთაისს. მე მაშინ მზატვარ თედორე ჩუდეციკისთან ვცხოვრობდი... დღედღეზე ველოდი დამატირებას. უეცრად მოხდა რევოლუცია და ის შენი ლაგრენტი მახარავდა (პოლიცემისტური — ნ.ს.) თვითონ დაიჭირეს თავისივე საპოლიცემისტროში“. როგორც ვხედავთ, ავტორი თებერელის რევოლუციასთან აკავშირებს ნაწარმოებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ლექსში გამოხატული თავისუფლების უსაზღვრო სურვილი ზოგადაა.

ბუნებრივია, „დროშები ჩქარა!“ ინტერესს მხოლოდ რევოლუციასთან კავშირის გამო არ იწვევდა. მაგალითად, ი. მერაბიშვილის ყურადღების ამ ლექსის ენიგმური სტრიქონი იპყრობს. მკვლევარი „ცეცხლის მზეს“ ენიგმად მიიჩნევს. იგი წერს: „აქ მზის ცეცხლში მოტყმა განსაზღვრა მისთვის უჩვეულო ატრიბუტით, საკუთრივ, არსებითი სახელით „ცეცხლი“. ისმის კითხვა: რამ განაპირობა ამ სიტყვის გამოყენება სიტყვა „მზის“ ატრიბუტად და როგორია მათი საერთო სემანტიკური „მნიშვნელობა“, ანუ ის, რაც იძლევა მათი შთანხმებისა და ტექსტში შერწყმის საშუალებას?... მოულოდნელი კონტრასტი, რომელიც ამ ორი ცნების დაკავშირებითაა გამოხატული, კიდევ უფრო ამძაფრებს და ააქტიურებს მათ საერთო მნიშვნელს“. სინამდვილეში ამ სიტყვების ერთად გამოყენებას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ცეცხლი, როგორც მზის მახასიათებელი, ვერ კიდევ იაკობ ხუცესთან გვხვდება („ჟამისა ზაფხულისასა ცეცხლებერ შემწული იგი მჭურვალემა მზისა...“). ცეცხლი და მზე ერთად არის გამოყენებული ილია ქაჭავაძესთანაც („მზე გადაბრლი ვერ კიდევ სრულად / მითისა გადაღმა არ დასულიყო / და მისის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი, / ირგვლივ სივცავლით ანთხულყო“). ამის გათვალისწინებით, გალაკტიონის „ცეცხლის მზე“ შეუთავსებელი ცნებების შეერთების „უჩვეულო“ შემთხვევად ვერ ჩაითვლება.



მკვლევართა ყურადღებას იქცევს „დროშები ჩქარას“ შემდეგი შედარება:

**თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,  
ვით დაჭრილ ირემებს გუნდს — წყარო ანკარა...**

ეს სტრიქონები „დავითიდან“, დავით ნინასწარმეტყველოს ფსალმუნებიდან, მომდინარეობს: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“ ამ მხატვრულ სახეს ხშირად მიმართავენ ქართველი ავტორები. იგი გვხვდება „ვის-რამიანის“ თარგმანში („ალარ იგი ხარ, რომელ ჩემი მოყვური იყავ, ჩემისა ნახვისათვის ასრე გსურდა, ვითა წყაროსათვის ირემსა“), „ვეფხისტყაოსანში“ („გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყალსად“; „შეთივის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“) და „დავითიანშიც“ („ვითარ ირემსა მამურდასა წყაროსა წყაო სწყუროდა/ ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის ნახვა სუროდა“).

გალაქტიონი, როგორც ჩანს, „დროშები ჩქარას“ დანერგა მძევლად ფსალმუნისებულ სახის განსხვავებულ ფორმას. ამაზე მეტყველებს 1915 წლით დათარიღებული ლექსი „აუზისაგან“:

**ჭოგრტი მზერა, ხელთათმანა... შენ აისრულე  
სურვილი დიდი და დაბურულ ბაღის დარდები,  
ღლი ირემი სიყვარულით ხარ დაიარული  
წყურვლემოკლული აუზისგან მიემარტები.**

აქ შედარება საპირისპირო სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ მაინც საგრძნობია პოეტური ტრადიციის კვალი. „დროშები ჩქარას“ ტექსტში კი სავეტებით გადაღაზებული ირმისა და წყაროს მიმართების საფუძველზე სხვა შერჩევების მიერ შექმნილი მხატვრულ სახეთა საზღვრები. ამ ნაწარმოებში ფსალმუნისებულ შედარება, მისი გამოყენების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო შთამბეჭდავია. მაინც რა განაპირობებს ამას? უპირველესადა — პირველწყაროსთან დიდი სიახლოვე: გარდა გალაქტიონის ლექსისა და ორმოცდამეერთე ფსალმუნისა, არც ერთ ავტორთან არ გვხვდება შედარების ობიექტად „სული“. „დავითის“ შესაბამის მონაკვეთში კი ეს სიტყვა ექვსჯერ მეორდება: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო! სწყურის სულსა ჩემსა ღმრთისა მიმართ ძლიერისა და ცხოველისა: ოდეს-მე მივიდე და ვეწიუნო პირსა ღმრთისასა?... ხოლო შე ესე მოვიწყენ და წუგმუნის-ესეი სულსა ჩემსა, რამეთუ განვლი მე ადგილსა საყოფელსა საკურველისა ვიდრე სახლადმდე ღმრთისა შვითა სიხარულისათა და აღსარებისათა, წმითა მედღესასწაულეთათა. რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემაძრწუნე მე?... სული ჩემი შეძრწუნდა ჩემ თანა; ამისთვის მოვიწყენე შენ ქუეყანით იორდანიით და ერმონით, მით მცირით... რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემაძრწუნე მე?“

ამ სიახლოვეს თითქმის ავტორის ერთი ჩანაწერი უწინააღმდეგება: „ლექსში „თავისუფლება ხალხს ისე

მოსწყურდა“ ასოთამწყობმა ააწყო „სულს“ (იხ. „სოციალ-დემოკრატ“, 1917 წ.) და შემდეგ მე აღარ გამისწორებია. ყველა შემდგომ გამოცემაში არის „სულს“. ეხლა უსათუოდ უნდა გასწორდეს — „თავისუფლება ხალხს“.

საბედნიეროდ, პოეტს ეს ამკარად კონონექტურული განზრახვა არ განუხრებია. ნაწარმოების ტექსტზე უბრალო დაკვირვებაც კი ცხადყოფს, რომ აქ „სულს“ ნაცვლად არ შეიძლება და „ხალხი“ ყოფილიყო, რადგან ამ შემთხვევაში გალაქტიონის პოეზიისათვის დამახასიათებელ შთამბეჭდავ განმეორებას კი არ მივიღებდით, არამედ უბრტატელოვას — სიტყვა „ხალხს“ ერთი სტრიქონის შემდეგ იყენებს პოეტი, ოღონდ სხვა კონტექსტში:

**დიდება ხალხისთვის ნამებულ რაინდებს,  
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი აღდგარა...**

პირველწყაროსთან სიახლოვეზე მიგვანიშნებს ისიც, რომ მხოლოდ ფსალმუნთა წიგნის ერთ-ერთ უძველეს რედაქციად გვხვდება „ირემის გუნდის“ შესაბამისი მრავლობითი რიცხვის ფორმა: „...სურინ ირემთა წყაროთა მიმართ წყალთასა“...

ფსალმუნიდან მომდინარე შედარებამი შეტანილ ცვლილებებზე დაკვირვებისას საგანგებოდ მსუველობენ უბითებზე „დაჭრილი“ და აღნიშნავენ, რომ გალაქტიონთან სავსებით განსხვავებულია შედარების ნერეთა მხატვრულ ინტენტიარი და სტრუქტურული მხარე. რა საოცარიც არ უნდა იყოს, ის, რაც გალაქტიონისწილ სიახლედ არის მიჩნეული, სინამდვილეში აკაკი წერეთლის პოეზიის კუთვნილება:

**აბა, გავცნობე, გასავე თავი:  
როგორ მშვიდობით ხარ, მეგობარო?  
ისე გვეწყურია შენი ამავეი,  
როგორც დაკოდის ირემსა წყარო!**

უცნაური ის არის, ეს ფაქტი რომ შეუნიშნავი დარჩა, თორემ გალაქტიონი მისი სათანაგნობა აკაკის მიერ გამოყენებული უბითების სინონიმს რომ მიმართავს, ამაში განსაკუთრებული არაფერია. თვითონვე აღნიშნავდა, რომ მუდამ პატივს მიაგებდა „ნარსულის დიდებულ და პატივსაცემ სტილს“ და „აიბეაში განმეორება სხვათა მიერ შემოტანილი სიახლისა“ სავსებით დასაშვებად მიიჩნდა.

„პოეტები სწამდენ საუკეთესო ღვინოს, წარსულისაგან გადარჩენილს, მაგრამ თვალყურს ადევნებდნენ თავიანთ თავს, რომ ღვინო არ მოჰკიდებოდათ“, — ნერად გალაქტიონი... თუ როგორ ხდებოდა ეს, ყველაზე კარგად საკუთარი პოეზიის მაგალითით გვიჩვენა, თუნდაც ამ შედარების გამოყენებით: ჯერ ორი შთამბეჭდავი ფორმა შეარჩია („ირემი“ მრავლობით რიცხვში და უბითები „დაჭრილი“), შემდეგ გარკვეული სიახლედ შეიტანა (წყაროს განსაზღვრება „ანკარა“, რაც სხვაგვარ არ გვხვდება), საბოლოოდ კი იმ უსახველო თავისუფლებისადმი დაუკუბელ სწრაფვას აღუკავშირა, რომელზე ოცნებაც პოეტური მოღვაწეობის დასაწყისიდან დასასრულამდე გაჰყვა გალაქტიონის პოეზიას.



**გალაკტიონი  
და  
ლონგფელი**

გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი უსათაურო ლექსის („...ოდესღაც, სადღაც, მარტოობაში“) რამდენიმე სტრიქონი ამერიკელი პოეტის ჰენრი უოლდსვორთ ლონგფელის ნაწარმოებს გვახსენებს: ლირიკული გმირი ორივე შემთხვევაში მეგობრის გულში პოულობს დაკარგულ (დავიწყებულ) სიმღერას:

**ხანი გავიდა, გადამავიწყდა  
სიმღერა სადღაც, ოდესმე თქმული,  
სანამ არ ვპოვე მეგობრის გულში  
ღრმად ჩაქსოვილი და შენახული.**

**And the song, from beginning to end,  
I found again in the heart of a friend.**

(სიმღერა კი, თავიდან ბოლომდე,  
მე კვლავ ვპოვე მეგობრის გულში).

ეს მსგავსება შეუნიშნავი არ დარჩენილა. ნაწარმოებებს შორის კავშირზე ი. კენჭოშვილმა მიუთითა. „ლონგფელის ლექსის „სიმღერა და ისარის“ ვარიაციაა გ. ტაბიძის „სიმღერა“ („ოდესღაც, სადღაც...“ 1911)“, — ნერს მკვლევარი.

გალაკტიონის ადრეულ შემოქმედებას (1908-1914წწ.) არცთუ იშვიათად ლიტერატურული მემკვიდრის ხანად თვლიან, ამტკიცებენ, რომ ამ პერიოდში დაწერილ არაერთ ლექსში აშკარად იგრძნობა XIX საუკუნის პოეტური ინერცია. თუ ამ შეხედულებას გაეზიარებთ, შეგვიძლია 1911 წლით დათარიღებული „...ოდესღაც, სადღაც, მარტოობაში“ ლონგფელის ლექსის ვარიაციად ჩავთვალოთ. თუმცა, უფრო მართებული იქნებოდა, მანამდე ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთისთვის შეგვედარებინა.

როგორც ცნობილია, გალაკტიონი ინგლისურ ენას არ ფლობდა. ქართულად „ისარი და სიმღერა“ მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში ითარგმნა (მ. ქარჩავა ). სავარაუდოდ, პოეტი ლონგფელის ლექსის რუსულ თარგმანს უნდა გასცნობოდა. „ისარი და სიმღერა“ რუსულად XIX საუკუნემდე თარგმნეს, XX საუკუნის დასაწყისში კი უკან რაღაც რუსული თარგმანი არსებობდა. გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებთან ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს არის ა. მილორადავიძის მიერ ესთარგმნი „ისარი და სიმღერა“ („Сказки, переводы и стихотворения“ 1904).

ლონგფელისა და გალაკტიონის ლექსების შედარებისას ყურადღებას იქცევს ნაწარმოებებს შორის არსებული მნიშვნელოვანი მინაარსობრივი განსხვავება. „ისარი და სიმღერა“ სამი სტროფისგან შედგება: პირველი და მეორე სტროფში ისრისა და სიმღერის დაკარგვის, ხოლო მესამეში — მათი პოვნის შესახებ გვიამბობს ლირიკული გმირი:

**На воздуху я стрелу спускал,  
Где та ушла, я не знал,**

**В полете молний быстрой  
Могь разве взорь успеть за ней?**

**На воздуху песню я шептал,  
Где та исчезла, я не знал,  
Кто жь адаль такь быстро взорь метнеть,  
Чтобь песня проследить полеть?**

**Возвешой во дубь, года спустя  
Цела нашлась стрела моя;  
И в сердце друга сбереглась  
Моя вся песня и вновь нашлась.**

გალაკტიონთან ისრის შესახებ არაფერია ნათქვამი. აქ დაკონკრეტებულია ის, თუ რა ვითარებაში იპოვა ლირიკულმა გმირმა სიმღერა („ერთხელ, როდესაც გზად მივდიოდი, /მე მოვისმინე ჩემზე ნალექელი...“) და, რაც მთავარია, გამჟღავნებულია „გადავიწყებული“ სიმღერის შინაარსი: „ჩემი სიმღერა ქვითინი იყო, /სულით ობლობას კენესოდა ქნარი“, — ნერს პოეტი. სწორედ სულით ობლობის, მარტოობის მოტივი განახლებავს გალაკტიონის ლექსს ლონგფელის ნაწარმოებისაგან.

გალაკტიონის ლექსში ლირიკული გმირი გვიმზღებს სულიერი ობლობის მიზეზსაც — ეს არის „დაგვიანებული“ სიყვარული:

**და ვერ ვივინებ ქალწულის სახეს  
სადღაც, ოდესმე ფიქრში ზმანებულს,  
შემდეგ ახდენილს სინამდვილეში,  
მაგრამ... საკმაოდ დაგვიანებულს.**

დაგვიანებული სიყვარული, ისევე როგორც სულიერი ობლობის თემა, ამ ნაწარმოებს გალაკტიონის ადრეულ ლირიკასთან აკავშირებს. გავისინოთ, თუნდაც, „ენწყელი სიყვარულს“, სადაც სულით ობლობის განცდა სიყვარულით არის გამოხვეული. ლირიკული გმირი წყველის სიყვარულს, რადგან „ან გვიან არის“ და „იმავარი ტრფობა არ შეუძლია არც სულს და არც გულს...“

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „მუნხარე“, სედიანი სიმღერის დავიწყების (ან პირიქით, მოსმენის) მოტივი ხშირად მეორედება გალაკტიონის შემოქმედებაში („მეგობარს“, „სიხვევა პოეტის“, „მორი დღერსი“, „კორნეზე“). ამ თვალსაზრისითაც, „...ოდესღაც, სადღაც, მარტოობაში“ მქიფდროდა დაკავშირებული გ. ტაბიძის ადრეულ ლირიკასთან.

როგორც ჩანს, გალაკტიონის ყურადღება ლონგფელის ნაწარმოების ბოლო ფრაზამ („И в сердце друга сбереглась Моя вся песня и вновь нашлась.“) მიიპყრო. მან ეს სტრიქონები თავის ლექსში გაიმეორა, მაგრამ ნაწარმოებთა შორის მსგავსება მხოლოდ ამით შემოიფარგლება. ქართველი პოეტი ამერიკელი მწერლის სიტყვებს განსხვავებულ, თავისი ლირიკისათვის ნიშანდობლოვ კონტექსტში ათავსებს, საკუთარი პოეტური სიტყვის ელემენტად აქცევს. ამის გამო, შეუძლებელია, „...ოდესღაც, სადღაც, მარტოობაში“ ლონგფელის ნაწარმოების უბრალო ვარიაციად ჩათვალოს.





ამირან არაბული

# დასასრული ლექსისა „ბინდისფერია სოფელი“ და სხვა

...სყენენ ისეთინე მხოფლია ინტელექტუალთა-გან, რომელნიც თეთი საცვილის მოახლეობის გამსაკუთარ თავს უმართავენდენ უკეფაქსაყოფ დიალოგს, მისი პირდაპირი მნიშვნელობით.

უმისკომოსი ზენონ იარაჯული

დიდად სანდო, კომპეტენტური ავტორების – გივი ალ-ბაზიშვილი, თამაზ ნატროშვილი, გრიგოლ სენეკური – ოპუსებისთვის (გამოქვეყნდა 2008 წლის ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 19, 21, 22, 25 ნომრების ფურცლებზე), შესაძლოა, საგანგებო ყურადღება არც კი მიმეცეია, რომ არა ადრეული სიმქანელიდან დღევანდლამდე მოღწეული, ხსოვნაში ღრმად ჩარჩენილი ძლიერი შთაბეჭდილება: ზაფხულის მცხუნვარე დღეა. მთაში თიბვა ჯერ არ დანწყებულია. მოცაღებობა და სოფლის სამკითხველოდან (ასე ვეძახობდი ერთობაიან ბიბლიოთეკას) „გამონერლი“ გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელას“ ვკითხულობ... „სალომლიაში“ გრილა. სიჩუმი. ზღის არავინ მშობის... თვალის მიმტაცია ნიკონის სისქე, ფორმატი, ყდის ფერი და ზედ გამოყვანილი სახელწოდების შემადგენელ ასოთა მოხაზულობაც... ისე გამიტაცავ და ამიყოლია თინობის მდინარეში, გართ რა ხდება, საერთოდ აღარ მინტერესებს... დაახლოებით ორას გვერდამდე რომ წაეკითხებ, მაშინდა დავხურე წიგნი და ბანზე გამოვიდი. თავბურ დამეხვა და თვალთ დამიბინდლა. მუხდაკარულივით (ესეც გამოცდილი მქონდა ნახორნი ყოფნისა) უღონოდ გავხდი. ვაგებდე საცხურე მთებს და ლურჯ-მწვანე ფერები ერთმანეთში აირია. არ ვიცი, მძაფრი ემოციის ბრალი იყო თუ გონებრივი გადაღლისა, ის კი აქამდე არ დამიწყებია, რომ კიდევ ერთხელ დავიმსახურე საკუსნაბედ მინურიდან ეზოში გამოსული დედაჩემის წყრომანარევი შენიშვნა და ჩვეული დავალება: „ვის რა ჩამაყარ წიგნების ჩაზედვანამ, რას ლევიჩი, ფერ აღარ გქვს, ნაე, შორების გორზეთი ხომე მათათალიერ, ან წყალს არც ეცნან, ნახ, სად არიან!“

ყოველივე ეს ფრაგმენტებზე, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ხოლო გულსა და გრძობას განსაკუთრებული სიხვადით შემორჩა მწვენიერი თამისა და მისი „გარდასრული“ ტრფიალით დაავლებული კარს მგოსნის თურმან თორელის დაუცივნიყარი სახელები...  
მთაბა სახეობა საუკუნეთა ტვერები გამოიარა, გამოარდელია; გაუმლო დაუნდობლად დროთა ძლიერი ნაკადების და ისტორიული ბედ-უმეღობით ფრთებნაჭირლი სახმილის ფულისგულით შზიდავ სხივოსან ნამლეუბზედ მოვიდა ჩვე-ნამდე...

იქიდანვე მომდევს, მომყვება და ხშიარობს ჩემში (ხან საგალობელს ჩამოშვავს, ხანაც – ზანზალაკების წკრიალს) ის საცილობელი თუ ფიქრისა და განსჯის სანაგდე ცქვეული სტროფი, რომლის მხატვრულ ფასეულობასა და შემეცნებით ღირებულებას მისივე სინრფულე, შინაგანი სიხარულე

და ხალხური პოეზიისთვის ნიშანდობლივი გენიალური სისადავე განაპირობებს.

\*\*\*

„ბინდისფერია სოფელი“, ჩანერილი ქართული, ხიდის-თავში, ნიკო სამადაშვილის მიერ (ჩანერის ნელი მითითებული არაა) და გამოქვეყნებული ვახტანგ კოტეტიშვილის კრებულში „ხალხური პოეზია“ (ქუთაისი, 1934 წ.), ბევრად არ განსხვავდება შემდგომში მოპოვებული და დაბეჭდილი ვარიანტებისაგან, ოღონდ ერთის გათვალისწინებით: მას არ ახლავს ორი ფინალური სტროფი („სიაც მოკვდება“ და ა.მ.), რომელიც 1961 წლიდან ჩნდება ფოლკლორისტთა საველე რეგულებში და ბუნებრივად აგრძელებს ფილოსოფიური ლექსის ძირითად, მაგისტრალურ სათქმელს.

აი, ლექსის ეს ნაწილი:

ისაც მოკვდება, ამქვეყნად  
გვეკონა ვინც გრძლათ იარს,  
შუქს ბნელი შავსამს, ვარდა – ჭია,  
ჯაკის გულს – ჯანების იარს,  
რუმრად მოვა სიკვდილი,  
იმ წამში აგვიყრის იარსად,  
ჩვენ რას ნავიღობ ამქვეყნით,  
სხვას არა ნაუღია-რა

(ქ.ბ. VII, გვ. 42).

ხალხური ლექსის თანდაყოლილი „თვისება“ და აქსიომური, მუდამ თანმდევი კანონზომიერებაა სიტყვის, სინტაქსის, ტაქტის, სტროფის დამატება, გამოკლება ანდა შეცვლა და საგრძობო გადასხვავებები. ზეპირი სახით ხალხში მოარული ძირითადი ტექსტი, თუკი ის ვარგისი და ღირებულაია, თანდათანობით ირქნის ვარიანტებს და აბტორგაუწინარეული გა-ნაგრობის შემდგომ ცვლდებასა და არაერთსახივან არსებობას ათწლეულებისა თუ ასწლეულების განმავლობაში.

იმადებდა ლოგიკური კითხვა: სად და როდელამ დემატა ნ. სამადაშვილის მიერ მიკვლეული საპროგრამო, გნებავთ, ქრესტომათიულ, ხალხურ ლექსს ის რვა სტროფით, რომელთა გარემუ მშემენლსა თუ მკითხველზე მისი მხატვრულ-ესთეტიკური ზემოქმედების ნამტეკაევი ძალა ესოდენ ამოუღვეველი ვერ იქნებოდა? (თუმცე ძველი, მოკლე ვარიანტიც არაა მოკლებული მონოლითურობასა და სრულფასოვნებას, რაზეც ე. კოტეტიშვილი მითითებდა „ხალხურ პოეზიაზე“ დართულ შენიშვნებში: „ეს ლექსი, გარდა თავისი მხატვრული მთლიანობისა და აზრის მორფეტტა-ლური ნაკვეთობისა, საინტერესოა არის სახეობრივი აზროვნების საოცარი ექსპრესიით...“).

პირველი ფოლკლორული ჩანანერი, რომელიც „ბინდისფერია სოფელი“-ს ახალ, გაკვლივით ვრცელ, ყოფითი



მოვლენის ფილოსოფიური გააზრების მომცველ ზემომოტანილ ხალხს წარმოვადგინეს, შესრულებული კახეთში, 1961 წელს, უნა ცინდელიანის მიერ (პირველად დაიბეჭდა ქ.ბ.პ. VII ტომში, 1979 წელს).

ვ. კობეტიშვილის კრებულში დასტამბული ტექსტი, საეპოქოლად, შექმნა და ინფორმატორია შორის გაერცვლდა და გასული საუკუნის 20-30-იან წლებში.

ამგვარი ეჭვიც კი შეიძლება გაკრთეს: ხომ არ მოუძღვის, თუ არა მთლიანი, ნაწილობრივი წვლილი მაინც მის სრულქმნაში თვით ნიკო სამადაშვილს?

აქვს ასეთ ეჭვს არსებობის უფლება, ვინაიდან მსგავსი შემთხვევები არაა იშვიათი ზემომოტანილების სფეროში. მაგალითისთვის: გიორგი (იურა) ჯაფარიძემ 1962 წელს ხეცსურეთიდან ჩამოიტანა ლექსი „დარდისას გეტყვი“ და ფოლკლორულ ჩანაწერებს „სურია“, როგორც ხალხური (თავდაპირველად „ხალხური სიბრძნის“ მე-4 ტომში გამოქვეყნდა, ხოლო მერე – ქ.ბ.პ. VII ტომში). შენიშვნებსა და ვარიანტებში ნათქვამია, რომ ლექსი ხალხურია. სინამდვილეში თავად იურა გახლდათ ავტორი ამ შესანიშნავი ქმნილებისა და ვიდრე მეგობრებმა არ გაუთქვეს საიდუმლო, ყველა ხალხურად თვლიდა და აღიქვამდა მას...

აქვე წინება ერთი უწყინარი კითხვა: უნებოდ დამთხვევა თუ აქაც შესხებინა კვალი უნდა ვეჭვებოთ?

იმავე 1962 წელს გოგი თურმანაშვილის მიერ ქრელი უძილურისგან ფშავში ჩაწერილ ლექსში „გული რად უნდა სტიკოდე“ ვკითხულობთ: „... ბარში გალობდეს ბუღბუღი, მთაში არწივი წიოდეს...“ შესაბამისი ნაწყვეტი იურა ჯაფარიძის გახალხურებულ ლექსშია: „ბარდნი მთა კიბახიანდეს, მთაში არწივი ყიოდეს...“ გარდა ამისა, პირველის სათაურის აბლოგად ექნაიანება მორე ლექსის მეოთხე ტაბი: „სული სიმართა გტკიოდეს...“ უნდა ვიფიქროთ თუ არა „დარდისას გეტყვი“-ს ზიდად და შთამავარებლად უნიჭიერესი ფშაველი მელქისეძისგან გაგონილი და დაფიქსირებული, არც თუ მთლად მწყობარ და მკვირივად შეკრული ფილოსოფიური ხასიათის ლექსი?..

ტპიური კითხვები მრავლად წამოტყდებოდა ხალხური პოეზიის უკიდევანო სამყაროსთან მიმართებაში და, უნდა ითქვას, ამ კითხვებზე სარწმუნო და დამაჯერებელი პასუხების გაცემა ყოველთვის როდეს ხერხდება...

დაფურცლდები მთავარს და გაეხსენოთ გრიგოლ სენეკურის ეპისტოლეს („ჩვენი მწერლობა“, 2008, 25) დასაბათურება: „ვისია ეს სტროფი?“

სხეზეული ეპისტოლე დაინერა იმ უსკარისობის განცდის გამო, რაც „უწინოდ“ თუ „უწუმრად“ მოსასვლელი სიკვდილის პოეტური ინტერპრეტაციის ნამდვილი ავტორის დადგენის ცდასთან არის დაკავშირებული...  
გივი ოლხაიშვილიანს პირად საუბარში, რასაც გრ. სენეკურიც აღნიშნავს, თავის დროზე გრიგოლ აბაშიძის უთქვამს, რომ ეს სტროფი მისი დანერვილია და იმდენად გახალხურებული, რომ არცკი აბიერებს ამტიკოსს, რომ მარ-თლაც მისია.

შუშლებელმა დაგაეტქოს ჯერ „ლამარელას“ ავტორის განმარტება, ხოლო მერე – ამ განმარტების ჩვენამდე მომტანის პროცესიულმა პატოსებმა.  
რამი გამოიხატება „ლამარელას“ პირველი გამოცემის (1957) დასარბელს (რომლის მოდერენი გამოცემების – 1963, 1965, 1969... – ერთი თავი აქვს დამატებული) მომაკვდავ მეფესთან თურმან თორელის ნამდვრი ტექსტის გა-

ხალხურება? ნაწარმოების გამოქვეყნებიდან სულ რაღაც სამ-ოთხ წელიწადში ვამდენად დამორდა პირველწყაროს ხალხურ მოქმედთა რეპერტუარში მოხედვრილი, კახეთში დაფიქსირებული ვარიანტი?

შეიძლება ითქვას, რომ სხვაგვარა მარცხდამინც არსებოთ ხასიათის არაა და უამრდებმა პირველი ტაბის მედარებით საფუძვლიან მოდერეკაცეასა და რამდენიმე ლექსიკური ერთეულის სხვა სიტყვებით ჩანაცვლებამო.

სახელდობრ —  
თურმან თორელი მღერის:

**იმასაც მოკლედ უვლია,  
გრძლად ვინც გვევონა იარა...**

უნა ცინდელიანის ინფორმაციური აბზოზი:

**ისიც მოკლედ, ამქვეყნად  
გვევონა ვინც გრძლათ იარა...**

გრ. აბაშიძისეული (რაც „ლამარელას“ ყველა გამოცემაში უტყვლად მფორდება) „მოვა სიკვდილი უწინო“-ს ნაცვლად მის კახურ ვარიანტში იკითხება: „უწუმრად მოვა სიკვდილი“ და ა.შ.

გახალხურებული ლექსის ფლერადობა, რიტმულ-ინტონაციური წყობა და არქიტექტონიკა, თუ კარგად დაუკვირდებით, მნიშვნელოვნად არა, მაგრამ მაინც სხვათა თავი-ნი ბეჭდური წინამორბედებსა. სათქმელის ამგვარად („გრძლად ვინც გვევონა იარა“) გაფორმება ზემომოსტყვეური ნიმუშისთვის, ცოტა არ იყოს, უჩვეულო და არაორგანოულია. მას ამკარად ატყვიან „მალაი სტლიოს“ ანუ მრეგნობრობის კვალი, სხვაგვარად, შეთხზულია პოეტური მეტყველების იდუმალ ხვეულებში დიდად დახელოვნებული პროფესიონალი პოეტის მიერ.

ინდივიდუალური შემოქმედის ხელიდან გამოსული სტროფი (თუ სტროფები) აწინიშმა მეტყვეს, როგორც ჩანს, სუბიექტური გემოვნების შესაბამისად შეცვალა, გარდაიქვანა, ილონდ იმგვარად, რომ აზრობრივი მხარე საგრძნობლად არ დაქვეითებულა, არ დაზარალებულა.

„გვევონა ვინც გვევონა იარა“ ბგერად ხალხურია, ვიდრე „გრძლად ვინც გვევონა იარა“.

პოეტური ფოლკლორის შემგრძნებთათვის და სწორად ნამოტიხლებლათის (რაც, სამუხარობ, ერთობ განიკითავდა ჩვენში!) არც ამაში დარწმუნება უნდა იყოს ძალილი...

\*\*\*

არ იქნება ურიგო, თუკი საკითხის განვრცობის ვანზახებით მცირე წილსწვლას ჩავატარებთ მოტივურ-სოფეტიური უთორეთოვალენების, ფოლკლორულ-ლიტერატურული პარალელისა და „კოლექტიური“ და ინდივიდუალური შემოქმედების იმანენტური წინამ-მახასიათებლების სფეროში.

ვაფა-ფშაველის ხალხური ვადის ლექსი „სიკვდილი გემოსა“, რომელიც წინამორბედად 1899 წელს დაიბეჭდა „მოამბეში“, იქცა უშუალო წყაროდ და სტიმულად სერგი მაკალათიას მიერ XX ს-ის 30-იან წლებში თუმთის სოფელ გირეში ჩაწერილი ლექსისა „გარა დარეცვის სიკვდილი“.

ავტორი თუ ავტორმთქმელი ამ ზემომოსტყვეური ნაწარმოებისა, ს. მაკალათიას და კ. ქრელაშვილის მონმო-



ბით, გახლავთ საბა ითურით, ცნობილი მელექსე და მთი-  
ელთა ისტორიული ნარსულის კარგი მცოდნე.

საბა ითურითმ წყაროს მიუთითებდა ისარგებლა ვა-  
ფას პატრიოტული ლექსით (რომელიც, თავის მხრივ, დავა-  
დუნულია და მოხდენილი სიმარჯვით ახდენს ხალხური პო-  
ეზის თემატურ-სახეობრივი და ფრაზოლოგიური თავი-  
სებურებების დამოუკიდებელ მხატვრულ კრებულად ჩა-  
მოქმედებას) და შექმნა საყოფიერო პოეტური ნაწარმოები,  
რომლის ცალკეულ მონაკვეთებში მცირეოდენი სხვაობით  
მეორდება ნინამავლის ლექსიკა და მხატვრული პასაჟები.  
ამ ორი ქმნილების სოცეტურ სიახლოვეს გადასტურებს  
თუნდაც მომაკვდავი გვირგვინი – მისრიათ ქალის შვილი  
ბერიძე და გარა დარცალი – ანდერძი, სადაც საუბარი მათი  
ცხენებისა და საომარი იარაღის სოფელ-ქვეყნისთვის საი-  
მედლო ღირსეული ვაჟკაცებისთვის გადაცემას ეხება.

ვაფა-ფშაველას პოეტურ მემკვიდრეობაში შემოქმედე-  
ბითი „ნრგურნების“ მეორე მეტყველო მაგალითია „კალამ-  
ქრება ლაბარის ჯვრის დროში“, ლექსი, რომელიც, ნიკო  
გოგოჭორის დაკვირვებით, ტექსტობრივად და მინაარსობ-  
რივად თამარ მეფეზე შექმნილი ხალხური ლექსების ციკლს  
ეთხვევა...

ხალხური პოეზიის მრავალტომეულში ვაფა-ფშაველას  
გახალხრებული ლექსების შეტანას ალ. ჭინჭარაულის  
მრავალ კრებულში ნერწლები მოჰყავს, რაც დააირაზროვ-  
ნად მოწმობდა იმას, რომ საკმაოდ აქტუალური იყო (და  
არის დღესაც) ორმხრივი ფოლკლორულ-ლიტერატურული  
გავლენების არსალი პრობლემა...

კომპილაციურობა, საერთოდ, ზეპირსიტყვიერების  
თანმშობლი ნიშანი და არამც და არამც მისი ნიშანის და-  
ბალი დონის მარეგნებელი. პირიქით: უფროს ნიშანტრულ  
ძიებებს და თვითმოხერხ ორიგინალიობას დედნილად  
სჯობს ჯანსაღი ტრადიციის უმრეტო ნიაღვანი „თორთი  
ყოლივით“ აღმოცენებული ხალხური ლექსი, რომლის  
თვითეულ სიტყვას, „სახამუშო“ ხაოსთან ერთად, თვითმი-  
ერობის მოუხელთებელი ხიბლიც ახლავს...

ხალხურ მელექსეს აუგად არ ეთელება ნინამავალ „მათ-  
ქვამთა“ პოეტური შემოქმედების გათავისება, გამოყენება  
და კლიშეებად თუ სტერეოტიპულ ფორმულებად ქვეული  
მთი ტროპული სახეების ანდა რიგი მხატვრული დეტალებ-  
ის თავისუფალი „ტრანსპლანტაცია“ საკუთარ ნაღვანში.

ვინც ხალხური პოეზიის VII ტომში ამოიკითხება: „გუ-  
ლი, გამაგრად, ვაკლდევიდ, კლდე, კლდედ გახდი სალა-  
და“, „შეწარმოია, უმაღ მოავრდებდა ვაფას ლექსი „გული,  
არ გასტყდე“, რომელიც სიმტიკიკუნ და უდროობის წი-  
ნააღმდეგ შედგარა ბრძოლისკენ მომზადებულ ბრწყინვა-  
ლ „სიმღერის“ ნარმოადებს.

თანხვედრათა ანალოგიური შემთხვევებით ერთობ  
მდიდარი ფოლკლორულ-ლიტერატურული თანაზიარობ-  
ის საკვლედი საგულისხმო და თავისებურად აზარტული,  
მომხიდევი სფერო.

ხალხურ ავტორ-მთქმელთათვის, საუკუნეზე მეტია,  
ბაძეისა და შთავონების ნაგნიტორ, „მაცდუნებელ“ ძალის  
ინარტუნის ვაფა-ფშაველას მართალი, მრავალფეროვანი  
პოეტური შემოქმედება და არაფერია უცნაური იმავით, თუ-  
კი უპრეტენზიო, სახელ-დიდების არმპებარი მელექსე მის-  
სებურად მომართავს ინსტრუმენტს ანდა მესხიერებაში სა-  
მუდამოდ „ჩამედარ“ ვაფასეულ სტროფსა თუ სტრიქონს

ყალბი მოზოდუმების გარეშე მიაბამს თავის პოეტურ ნათ-  
ქვამ-ნააზრებს...

ახლანდელ მთხვევა თიანეთის შირხა გელოვანის  
სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლის ლევან ბერიკოძე-  
ვილის მიერ ს. დედუპაზარებში (ქვ. არხალი) ჩანერგლი, მის  
დღეი პაპის აღქმანდრე ფულუზურის ლექსი, რომე-  
ლიც, მიუხედავად „გოგოჭორის და აფინას“ ერთ-ერთი  
მკვეთრად პატრიოტული პასაჟის „მონური“ მორჩილებსა,  
მანაც ინარჩუნებს ზემაჟორ არსებობის მოკრძალებულ  
უფლებას:

**არხლის ნაივი თუ არ მეცემს,  
გული ქალებურ ტრისა,  
მომმთარსება გუნება,  
მონცა ვხედავ ქირისა.  
არც პური მინდა, არც წყალი,  
არც ვაღება პირისა,  
რალა კაცის სიცოცხლე,  
თუ არ მექნება ლხინცა.**

მოწონებულ ლექსს ანდა ამ ლექსის რომელიმე ნაკეთსა  
თუ ემიზოდს გულისხმისმყოფელი მსმენელი ზეპირად  
იმახსოვრებს, იმინაგანებს, გულ-გონებაში „გადაბარმავს“,  
პირად განცდნათა გადმოცემის ადეკვატურ ყალბად მოი-  
აზრებს და ისე მოუსადგებს თავის ახალ, დამოუკიდებელ  
პოეტურ ნაწარმოებს, რომ უტერსულობის ოდენად გრძობ-  
ბაც არ შეანუხებს იმ საძრახს ლიტერატურული მოვლენის  
გამო, რასაც სწავლულნი ემიგონობას ანდა, უარეს შემ-  
თხვევაში, პლაგიატს ეძახიან.

ბინდისგონის სოფელი „ს ვანერცობილი, კომპილაცი-  
ური ეარიანტის სახით სწორედ მსგავსი შემოქმედებით  
პროცესის შედეგთან უნდა გვეკონფის საქმე...

ძნელია გადაჭრით თქმა, იქონია თუ არა მისი ზელამ-  
ივლებ პირდაპირი ზეგავლენა აკაცის „განთიადმა“: ... დე-  
და-შელოზამ, ბევრს არ გაბოვ-შენს მინას მიმპარეო“, ის  
კი ერთი შეხედვითაც ცხადად უცხადებისა, რომ ასეთივე  
მუდარისა და სურვილის ღონიერი ტალღა მღელვარებს  
უზინათ, ტყე-ველად გასული ქაბუკი პოეტის საუცხოო  
სიტყვებში: „უთვალავ ყვავილს დაიერი, ახადის არემარეო,  
შენსამც მოვეკვები გულხედა, შენ მინა მიმპარეო...“ ნე-  
ბით თუ უნდაღიეთ, აქვე ნამოვგანდებდა ტრაგიკულ დე-  
დის მქონე ნიჭიერი ზეესური პოეტის, „უხედურის“ თიკუ-  
ნით ცნობილი გიორგი ჭოლიკაურის ზემოქმედებთან რალა-  
ნით მსგავსი სტრიქონი: „მესენ მკვარდზემც ამოვბორცვდე-  
ბი...“

სხვათა ნათქვამის მითვისება-გათავისება, როგორც  
უკვე აღინიშნა, არ ითვლება დედად საჯავ, სასაყდროს  
მოვლენად ხალხურ პოეზიაში. მელექსე არ ფიქრობს, რომ  
მპარავია. არ! უბრალოდ, ამახსოვრდება ნათავად, ღორ-  
სსაცოდნელი ნათქვამი და როცა ლექსის „ყუჩო“ ანუ რითმა  
მოიტანს, უტერსულობად, უნებგართოდ და ურევერანსოდ  
მომარჯვებს და „მოინიშნა“ კონცეპში გადანახულ სხვის  
კუთვნილ არაორდინარულ პოეტურ ნატს...

დიდი დედუპაზარის მუდგენილი ხალხურ მელექსეთა სო-  
ლიდური კრებულისთვის, „კლდის ფხაზე თიერი ყვავილო“  
(2008 წ.) დართულ „ზოგიერთ შენიშვნაში“ ვახუშტი კოტე-  
ტიშვილი წერს: „კლდის ფხაზე თიერი ყვავილი“ – ივანეს



ეს ლექსი რომ მოეწონებ, ალღად მითხრა: „ამ ლექსში რამდენიმე სტრიქონი სხვისია, ვინ, აღარ მახსოვს, მომეწონება და ჩართე, არ დაიკარგოს მეთქი“. ეს „სხვა“ მისა ხელაშვლილი აღმოჩნდა. შესაძლოა, ეს იგნებდაც იცოდა, მაგრამ „ველი ინერციით“ მაინც მოერიდა მისი სახელის ხსენებას.

მისა ხელაშვილის 1924 წლით დათარიღებული, ასე ვთქვათ, „პოეტური წინასწარმეტყველების“ ჩემო მნათობო“ ადგილი ექსპრესიით აღმტყლილი სტრიქონი (ინებება ასე: „ან ტყვია შამბამაშუბს...“) ისე შეუმჩნეველად შევიღეთ იგნებ ნიკლაურის 1951 წელს დაწერილ, ასევე განსაცვიფრებელ ლექსს „კლდის ფხაზე თეთრი ყვავილო“, არაა გამორჩეული, საკითხის არსში ჩაუხედავმა მკითხველმა არავც დაიფურხა, რომ მისი პირველმთქმელი არა „რამ დამაბერა“-ს, არამედ „ლექსო, ამოგთქომ ოხერიო“-ს ავტორია...

2007 წელს გამოცემილი „პალიტრამ“ მკითხველს მიანდა იგ. ნიკლაურის ლექსების კრებული „რამ დამაბერა“. წიგნში, რასაკვირველია, კუთვნილი ადგილი ეთმობა პოეტის ზემოთ ნახსენებ ლექსს, რომელსაც იქვე ერთის შემდეგი მინარისი კომენტარი:

„ამ ლექსის მოტივებს (მოსაფრობა, უიმედობა, დაღუპვის წინათგონობა, სატროფოსადმი გამოსათხოვარი მიმართვა) პანაღლები აქვს ერთ ლექსთან, რომელიც გასულ საუკუნეში ხალხში ზეპირად ვრცელდებოდა. შემდეგ სხვადასხვა ვარიანტით დაიბეჭდა კიდევ და, ფაქტობრივად, ისიც დადასტურდა, რომ მისი ავტორი ყოფილა ფაშაველი ახალგაზრდა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის პატროლ მებრძოლთა რაზმის წევრი მისა ხელაშვილი (მოკლეს მილიციის ავანტიგმა 1925 წელს).

პოეზიის მოყვარულთა ერთ-ერთ შეკრებაზე, 1980 წელს, იგნებ ნიკლაურმა თქვა: ეგ ლექსი გაგონილი ვიქნა, ხეცსური ახალგაზრდები მღეროდნენ ჩონჭურზე. მისი იყო, არც მათ იცოდნენ. ლექსი მომეწონა, მისი აზრი ჩემს მაშინდელ მდგომარეობასა და განწყობას გამოხატავდა; დასაკარგავად არ მეშეშებოდა და ზოგიერთი სტრიქონი ჩემს ლექსში შევიტანეო...“

ხელისუფლების მხრიდან შერისხულ, დევნილ, ხალხის მტრებად გამოცხადებულ „ფაშაველი“ თაობების ავტორთა „საეტყო“ პოეტური ნაწარმოებების მსმენელამდე მისვლა მხოლოდ და მხოლოდ ზეპირი გზით იყო შესაძლებელი და, ამდენად, დასაშვებია, იგნებ ნიკლაურის მართლაც არ სცოდნოდა, ვის ეკუთვნოდა მის მიერ ყოველ „უბოროტო“, უწყინარი, კეთილმოზილური განზრახვითაც კი (არ დაიკარგოს!) მისაკუთრებელი ლექსის სტრიქონები...

მისა ხელაშვილის სახელის ხმაშაღლა ხსენება ზომ თავგანწირვის რისკთან იყო წინადაკარი. მისი შედეგრი „ლექსო, ამოგთქომ“ ბოლო ათწლეულებამდე ხალხურად ცხადდებოდა და, იბეჭდებოდა, როგორც ანონიმური. და თუკი რომელიმე ქართველი მწერალი გარკვეული მოსაზრებით ჩართავდა ამ ლექსს თავის ნაწარმოებში, აუცილებლად შეცვლიდა ნამდვილ, უტყუარ გზა-მისამართებს და მის შენიღბვას შეეცდებოდა... ასეც მოიქცა გრიგოლ აბაშიძე, რომანში „ლამარლა“ ხმელგორზე გამართული ლხინის დღის ღამა გიორგის თხოვნით ბრმა ზევსური ფანდურზე მღერის მ. ხელაშვილის ამ დიდებულ ლექსს და მეფეს უებნება, ეს ლექსი ჩემიაო...

იმის გამოცნობას, ინდივიდუალური შემოქმედის მონაღვანია თუ „კოლექტიური ქვეცნობიერის“ (ოუნგი) ნაყოფი მავანი მწერლის პროზაულ თხზულებებში შეტანილი ესა თუ ის ფოლკლორული ჯურის ლექსი, ზოგჯერ ისიც ართულებს, რომ მისი ავტორობა თუ იმპროვიზირება ამ თხზულებების რამდენიმე პერსონაჟს მიეწერება ხოლმე.

ლევან გითუბს რომანში „გმირთა ვარამი“ საბჭოელებით ჩარიგებული პატარ-პატარა მიზაბურო ლექსების ავტორმთქმელებად და გამზომოვანებლებად სხვადასხვა ასაკისა და სოციალური წრის კოლორიტული წარმომადგენლები გვევლინებიან. ესენია: გრემელი ზაზა კახიანიანი, ქობსალაშურა, ოქროპაპა, ფილი მნათი, ტაბა-ბერიკა, გენი, ხოთქაძა და ბაკუც-კაცი...

იქვე ვეცნობთ ლექის ქალ ზუჭარს, რომელიც მშობლიურ ენაზე დასტრის აბუბეკრს, გმირულად დაღუპულ თავის სანაჭებო ქმარს... რევას ინანიტის წიგნიდან „ჩიტების გამოშამართებელი“ ბეგრ ჩვენგანს ასხვოს ლირიკული ტონალობით გამთბარი მითხრობა „ფშაველები“. ამ მითხრობაში „ქარგის-ურად გაბრწყინებულ ოქტობრის დღეს“ თითქოსდა მოულოდნელად შექმნილ სპონტანურ სიტუაციასთან ოსტატურად და შესამებელი ერთობისთვის სრულებით უცხო ქალ-ვაიხის, უფრო ზუსტად, დამბედურისა და ჩარგლის მცირეწინაი სტუმრის, ნაუჭბათევი გაკაფავებება.

ქალაქური ვაგი ფევილით საცეს ტომრის ანეგაში და სავაჭრო ფარდულიდან ბებერ წნორამდე მიტანაში მიეშველება „მკვლავებარ, ახალგაზრდა ფშაველ ქალს!...“

– მადლოდელი, ძმისაჲ... ამ სიტყვებით მუხლმკვეთილი და „თვალისსამაწანშელილი“, სვედიანი და ალერსიანი ვაგი ეუბნება:

**ქმარი სადა გყავ, ბეჩავი,  
მარტოს რად გიშვებს შარასა.**

ქალი პასუხობს:

**ქვემოთ, ჭინჭრებში დამირჩა,  
არავი მაიპარავსა.**

ვას სითამამე ემატება:

**რათ გინდა ეგეთი კაცი,  
მე გამამყევი ხარასა.**

ქალი „უკანდაბულის გამბედაობით“ შეგებებს:

**შენ უთხარ ავგ სათქმელი,  
ჩემს არ იჯერებს არასა...**

მაინტერესებდა და ერთ-ერთი შეხვედრისას ბ-ნ რეზოს გულმურყვლოდ ვკითხე, „ფშაველებში“ რომ კაფია, სად ჩიხურეთ-მეთვ? ლშილით მითხრა, ჩემია, მე დავწერეო. მიუხედავად იმისა, რომ დაკარგვს ლიტერატურული ბის იერი, იმდენად ლალი და რაღაცნაირად მიაბიჭურია, ამასთან, სალი ხალხური მახვილგონიერებით წინამდებულ, დღემდე აღბათ ბეჭის ფოლკლორული წარმომადგენლისა, ფშაველს შორის შექმნილი ჰგონია ქართული სიტ-



ყვის დიდი მესაიდუმლოს ეს უჩვეულო და რამდენადმე „არატიპიური“ ნაკაშევი...

ამევე ასპექტით არაწაღლებ საინტერესო ექსკურსიებს ჩატარების საშუალებას იძლევა გიორგი ლეონიძის „ნატურის ხე“, სადაც ავტორის მიერ შეთხზულ პერსონაჟთა სამღერ და სალილიო ტექსტებს შუი ხალხური ლექსების კასკად მოსდევს და მათი გარჩევა და დაცადილაღეკეება არც ისე ადვილი საქმეა...

ღირს ხსენება იმ ერთგვარი უხერხულობისაც, რაც ხალხური ლექსის ავტორების დელიკატური საკითხის რკვევისას იქმნება ხოლმე.

დღემდე ღია თუ ფარული, „კულისებშიღმა“ კამათის, ხშირად უკომპრომისო ცილობისა და პოლემიკის საგნად რჩება „ეფუხვისა და მოყმის“ მეორე ნაწილის ანუ გავრძელების („იარაგოდა დედა...“) საგნების ვინაობა. ასახელებენ მინა ხელშეკვლი, გიორგი ვაუხოშენის... პროვინციულ ელფრის იქნის თეატალხარისა დაპირისპირება, როცა პაექრობის ტექსტსა თუ ქვეტექსტი ვინროკუთხური პატრიოტიზმის საცოდავი ბაცილები იჩენენ თავს. ეს უბადლო ბაღადა, უწინარეს ყოვლისა, ზოგადქართული მონაპოვარია, ერთგული სულიერი კულტურის უხერხული ძველია, პოეტური აზროვნების უიგნათესი ნიმუშია, ხალხური ცნობიერების, ნიჭისა და ნარმოუდგენილი დიდსულოვნების გამოვლინება და მეათეუბარისთვისავე მნიშვნელოვან უნდა ჰქონდეს, მისი გვიანდელი ნაწილის ამომთქმელი ტომით და გვართი ფშაველია, ზეესური თუ საქართველოს რომელიმე სხვა კუთხის შვილი...

არის შემთხვევები, როცა რომელიმე წინადადი პოეტური ნიმუშის ნამდვილი ავტორის მიგნებისა და დანამდვილების ფილოლოგიური ინტერესი შუა გზაზე გაჩერების ნების არ გაძლევა და, რაკი კვანძი შეიკრა, ცნობისმოყვარე მკითხველსაც ერთი სული აქვს, ჩანდევს ბურუსით მოცული შემოქმედებით აქტის საიდუმლოს.

მიუდევლობაში გვაქვს ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ აღმოჩენილი და ხალხური პოეზიის ერთ-ერთ საღამოზე გახმინებული ლექსი „თუ ასე ტურფა იყავი“, რომელზედაც, აღმოჩენიდან სულ მოკლე ხანში, შესანიშნავი სიმღერა შექმნა ანზორ ერქობაშვილმა (მღერადა ჰამლეტ გონაშვილი ანსამბლ „რუსთაიან“ ერთად).

საქმე ისაა, რომ თავიდან ამ ლექსის ავტორად გარეკახელი თინა ბუციტაშვილი მოგვეცია, ხოლო შემდეგ გავიჩვენა, რომ მისი ავტორი ყოფილა ან გარდაცვლილი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე ნათელა ონაშვილი, შვილი თინა ბუციტაშვილისა.

მეორე მხრივ, იოლად შესაძენეია მთელ საქართველოს მგრანობიარე სამღერად მოყენილი ამ მშენიერი ლირიკული ნიმუშის ლექსიკურ-ინტეკიური სახალოვე და ბგერნერული მსგავსება ვაგა-ფშაველას შედევრთან „იას უთხარი ტურფასა“...

\*\*\*

„ბინდისფერია სოფელი“ - სგვან შექმნილი, რაღაცით ესპატოლოგიურისმავარ დასასრულს, სადაც, გარდა უკუდგევი ყველა დედას მყოფილი ნაშობის ნარბავალობისა და განქარების უნდგის პერსპექტივისა, თითქმის არაფერი იკითხება, ხალხურსავე პოეზიაში მოძებნება არა იფეტური, არამედ ბგერი რამით მსგავსი, მონათესავე „ორეუ-

ლი“. ესაა ლექსი „ტიალი წუთისოფელი“, რომელიც, საბასპორტო მონაცემებით, ალ. წყარაშვილს ჩაუწერია სიმონ კობახიძისგან, 1935 წელს, ლ. ნაოსნაგორ.

**ტიალი წუთისოფელი**  
ხილვას არ გვაცლის შხისასა!  
უღროვოდ გადავოკვევს-კე  
მგზავრსა შვეთის გხისასა.  
ბგერს ჩააქნობს-კე კაი ყმას,  
ბგერს ქალს - ვარსკვლავსა ცისასა,  
როგორც მზე მოჭრილს უღროოდ  
წორჩსა აყრილსა ხისასა.  
კაცნი ვართ, მაინც ვიღბინოთ,  
გულს ნუ ვახარებთ მტრისასა,  
ჩვევს ისე დავიბოცებთ,  
როგორცა ვხედავთ სხვისასა.

საფუძველსმოკლებული არ უნდა იყოს თქმა იმისა, რომ „ბინდისფერია სოფელი“-ს განმარტობი იცნობდა ამ ფოკლორულ ტექსტს და, ნებით თუ უნებლით, მოუცქა კიდევ მისი კეთილისმყოფელი გავლენის არეაღმი. ამგვარი აზრის სისწრაფისა და მართებულობის არგუმენტად გვეყვლება ის გარემოება, რომ ამ ლექსთა ურთიერთსიახლოვის გამობახტვას განაპირობებს ოპოზიციური ნყვილების (ჩვენც/სხვისასა, ჩვენი/სხვისა) განლაგების თანაგვარი კომბინაცია:

...ჩვენც ისე დავიბოცებთ,  
როგორცა ვხედავთ სხვისასა...  
...ჩვენსა ნაწილები ამქვენი  
სხვას არა ნაწილარა...

„ტიალი წუთისოფელი“-ს უფრო ადრინდელი ჩანანერი თედო რაზიკაშვილს ეკუთვნის. ის ქართლობა შესრულებული და ბერად მოკლეა მომდევნისთან შედარებით...

იკეთება მკრთალი კვალი ხალხური ლექსის ძველი, ძირითადი ვარიანტის შესხვაფერებისა, ეტაპობრივი განვრტობისა და სიუეტური (თუკი შესაძლებელია სიუეტზე საუბარი) განვითარებისა. კუთხიდან კუთხით ზემოირად მოარული ზემოინიტიკური ქანიღება გონიერი გამპირის წყალობით იცვლის სახეს, განიცდის ტრანსფორმაციას, მატებლობს მოკულობაში, ახალი დეტალებით ივსება, მდიდრდება და გენეტიკური კოდის მომცდარობის მეოხებით ინარჩუნებს ფესველ კავშირს თავის წინაგავალ ვარიანტთან...

წუთისოფლის ციკლის ხალხურ პოეზიაში გულისხმამისაპრობოია ადამიანთა ყოფნა - სიცოცხლის შედარება თუ შეტოლება ჩიტთან, როგორც მუდმივად მოპირ, ადგილის მალე-მალ მცვლედი, დაუდეგარ არსებასთან.

უცნობი არტლები (იგონებელი) ავტორ-მთქმელის იოსებ გარაშვილის ერთ ლექსში, განსხვავებით გამოქვეყნებული ხალხური ლექსებისაგან, დაკონკრეტებულია ფროსონის სახეობა, რომელსაც მუძილება მგავდეს ჩვენი უხანო, უნდობარი ნასუთიო: „გაფერე, წუთისოფელი, გუგულის გაფერინასაო...“

სახეობრივი ნიუსების აქტენტირებამ შორს რომ არ გავვიტუოს, კვლავ ძირითად თემას დავუბრუნდეთ და კი-





დედ ერთხელ დაესვათ ნაცნობი კითხვა: ეისია სტროფი (სტროფები), რომელმაც ესოდენ ცხარე ინტერესი აღძრა ინტელექტუალთა შორის?

ჩვენი (კალსახა ვარაუდი (კატეგორიული დასკვნისგან თავს შევიკავებდით) სრულად ემთხვევა და ეთანხმება გივი აღბახიშვილის და თამაზ ნატროშვილის თვალსაზრისს, რომლის თანახმად, „საქოქმანო“ სტროფის ავტორია გრიგოლ აბაშიძე.

უფრო მეტიც: „ლაშარელას“ ავტორის უნდა ეკუთვნოდეს წინაგრე სტროფიც, რომელსაც თავის ეპისტოლეში რატომღაც ყურადღების მიღმა ტოვებს გრიგოლ სენეკური.

რომანში თურმან თორელი მომაკვდავ მეფეს უმღერის:

იმასაც მოკლედ უჯლია,  
გრძლად ვინც გვევლია იარა,  
შუქს ბნელი შესჭამს, ვარდს – ჭია,  
კაცის გულს – ჯავრის იარა...

სურათი ასეთია: ვახტანგ კოტეტიშვილის კრებულში მოთავსებული ტექსტისგან კახეთში მოპოვებული ვარიანტის უცნობმა ავტორმა მხოლოდ პირველი სტროფი დატოვა, ჩამოაცილა დანარჩენი სამი და მათ ადგილას უნაალებლად ჩასვა „ლაშარელაში“ ამოკითხული, ხალხურ ხმასა და ყვირდაზე განყობილი რვა უნაკლო, ღრმბაზროვანი სტროქონი.

გრიგოლ აბაშიძემ, ჩვენი აზრით, ისარგებლა ე. კოტეტიშვილისეული ვარიანტით, სანაყის სტროფი უცვლელად აიღო, ხოლო თავში და პოლოში ორ-ორი სტროქონი დაუმატა:

წარმავალი ნათელი,  
სულ მოსაჩვენებლად ბრწყინდება...

ჩვენს ნასახლარზედ დადმსე  
ბალახი აბიმიდება...

\*\*\*

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1982, 1992 წწ.) დაბეჭდილია გრიგოლ აბაშიძის წერილები ხალხური პოეზიის საკითხებზე. პირველში განხილულია დავით წერეთლის მიერ სვანურიდან უტლოო ისტატობით გადმოღებული ლექსების ნიგნი „აირიოლა“, ხოლო მეორეში – თუშური და ფშაური ნატივრების ორი კრებული: „გოსანნი გლოვისანი“ და „ხბით ნატროლები“...

ეს ფაქტიც ნათლად მოწმობს, რომ მწერლის ინტერესი და მუდმივი ლტოლვა სიბრძნის ულვევი საბალოებისადმი სულაც არ ატარებდა სპორადულ, ეპიზოდურ ხასიათს. მისი სმუნა და მზერა ნიადაგ იქითკენ იყო მიმართული, სადაც სისხლსავსე ეროვნული ძარღვი ფუთქავდა, მშობლიური ხმა და ბეგია გაბაოვნებდა და მამულის ხნოვანი სანახები იხილვებოდა... საფუძვლიანად იცნობდა ხალხურ სიტყვიერებას, ქარ-

თველ ტომთა ეთნოგრაფიულ ყოფას, მათ წეს-ადაბუხას და რწმენა-ჩვეულებებს... და ეს ყოველივე საცნაურია მის თხზულებებში, განსაკუთრებით – ისტორიული მოვლენების უკუმფენ რომანებში...

„მოვა სიკვდილი უჩინოო...“

პროზაული ტექსტის მწნალობის პროცესში სპონტანურად ჩნდებოდა ასოციაციები, რწმენისცენციები; ირდეეოდა სამანი ინდივიდუალური შემოქმედის მხატვრულ წარმოსახვასა და ზალხის გულში წლობით ნაბრუნ, ნადულ, ნამტკიც ხალას პოეზიას შორის... ირდეეოდა და ზეპირსიტყვიერების უფსკერო „სამალავებიდან“, შრეებიდან და სახიზარებიდან წამოღებული ხატოვანი ნათქვამი, ლექსემა თუ სტრიქონი „წრებრუნვის“ უცვლელი კანონის კარნახით კვლავ პეტეტურ ფოლკლორს უბრუნდებოდა...

კაცის გულს რომ ჯავრი იარვს და არც არასდროს ელევა (კაცის გულს-ჯავრის იარა...), რახანია ხობოს და „გვაფრთხილებს“ ხალხური პოეზია: „გულო, ჯავრისგან მოკლული...“, ნისლმა ხო ვერა დამაირო, – ჯავრმა გულს გადამღინამა...“ „გულს ჯავრი, ღორღი მამულსა არს არ დაეღვევაო...“

სიკვდილი რომ მუდამაჰმა მალეით მავალია („მოვა სიკვდილი უჩინოო...“) და ძეხორციელი ვერსად დამეღრება, ესეც კაი ხნის დანამდვილებული აქვს ჩვენს ზემირსიტყვიერებას: „თორ მალე მოვა სიკვდილი ტექსი, არ – მოციწინროს...“ „მოვა სიკვდილი ტალი, მახვილად დამეღრება...“ „სიკვდილი, ვერ დაგვმალე, კლდე გამოკვაფე სალია...“

არც უფრო უცხვი და უცხვილი უსახელო-სახელონი გლოვის მგოსანთათვის, რომ ამ ცოდვამაღლიანი მიწიდან ადამიანი „მუნ“ ბეგრს ვერას ნაიღებს („ჩვენ რას ნაიღებთ...“): „სამი ადლი ტლიოს მეტი სამარეში რა ჩაგვეყენა?..“

არსებობდა საიმისო ნიადაგი, თანაც მყარი და ნოყიერი, მწერლის ფიქრი გარკვეული დროით მელექსეთა ცნობიერების სადენსა თუ სადინარზე რომ გადართულიყო და შექმნილიყო „უბირ“ მათქვამთა ფილოსოფიურ ნიაღსელებზე არაფრით ნაკლები ნიმუში კლასიკურ-ხალხური პოეზიისა.

არანაირი უფლები და საფუძველი არ გავგანჩია, არ ვერწმუნული თითი მწერლისმერ ცნობას და „პინდისფერია სოფელი“-ს შიამებეჭდავი მასწარულის ავტორი ედებოთ იქ, სადაც ის არაა.

„ეს ლექსი არც ხალხური და არც სინამდვილეში არარსებული თურმან თორელია. გრიგოლ აბაშიძე გახლავთ მისი ავტორი“ (თ. ნატროშვილი).

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აღსარების სინარფელით აღსავსე ჩინებული ლექსის – „არყოფინსაკენ“ – ავტორზე უკეთ ვის უნდა „დაენახა“ და დეუხასიათებინა უსწრე და უსხეულო, ადამიანის ნება-წადილისგან დამოუკიდებელი ის ტრანსცენდენტული არსება, რომელსაც სიკვდილი პქეია და რომლის წამოქმედარი ისეთივე შეუცვლადია, როგორც დიდი დამაბეჭდა.



ეკა ბუჯიაშვილი

# „სანთლაკი“ იაპონური მისტერიიდან

## ირმა რატიანის თარგმანების კრებული ნარკვევები

„ბამბუკის ძირს ზის ჩია მოხუცი და ხის ზებერ კანს ეა-  
ღერსება:

— ეს ზოგი 2000 წლისაა. ეს კი მისი ნაოჭებია, — ამბობს ტკბილად, — ეს ერთ-ერთია იმ შთაბეჭდილებათაგან, რამდენიმე წლის წინათ ქალბატონმა ირმა რატიანმა თავის „იაპონურ დილორში“ რომ მოუყარა თავი და ამით ჩვენს ლიტერატურულ სივრცეს კიდევ ერთი საინტერესო ნივნი შესძინა. მაშინ იქნებ სწორედ ამ გამოცემითაც გაიცნო იგი ქართველმა მკითხველმა. თუმცა წლები გავიდა მას შემდეგ და ქალბატონი ირმა უკვე იაპონური პოეზიის თარგმანებით წარსდგა საზოგადოების წინაშე.

„ასი უძველესი იაპონური ლექსი“, — ასეთია სათაური გამოცემულ ორწივანი კრებულისა, რომლის პრეზენტაციაც უწერნა „ჩვენი მწერლობის“ საღონში გამართა. „ასი პოეტის თითო ლექსი“ უძველესი იაპონური პოეზიის საუნჯეა, რომელიც 1235 წელს ერთ წინადა შეკრა პოეტმა და ამავე დროს გაღწევიანაშა ფეოდალმა სადაიდა ფუჯივარამ. 97-ე ნომრად კრებულში მოკრძალებულად ჩაურთი საკუთარი საღელსო ვერსია, ხოლო ათეულის წერტილად მე-7 საუკუნის იმპერატორის ტენსის პოეტური შედევრი მიჩნია — ჩანს სი-ახლოვე იკრმო ხუთსტრიფიანი ტანკას ფეიჩიან ავტორთან“ — გვამცნობს კრებულის წინასიტყვაობა, შეგურად რომ მიგვიძღვრება კლასიკური იაპონური პოეზიის საოცრებათა სამყაროში შესასვლელად.

ქაშეფალოცი, იაპონური ლიტერატურის ავტორტეტი იასუპირი კუჯიმა ასე შეაფასებს მთარგმნელის ღვაწლს:

„ეს წიგნი შესანიშნავი მოსაწვევია ძველი დროის იაპონიაში, ვინაიდან მასში ჩინებულადაა გადმოცემული იაპონური საშაგრი. მთარგმნელმა ახალი სიციხებელ შესძინა უძველეს იაპონურ პოეზიას“.

თუ რა ძალისხმევას დაჰქარა მთარგმნელს ამ ყველაფრის მისაღწევად, როგორი სიროულეობის დაბლვა მოუწია მას თარგმნის პროცესში, ამის შესახებ ქალბატონი ირმა ცოტა მოგვიანებით თვითონ გვეტყვის, მანამდე კი...

### როსტომ ჩხეიძე:

„ამ კრებულის გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში. ქართული მთარგმნელობითი კულტურა იმ სიმაღლისაა, რომ თუ განსაკუთრებულ ლირებულტებსაბინ არ გვაქვს საქმე, ამ ფონზე იოლი არ არის წარმეტყველების მოპოვება.“

ირმა რატიანმა ეს შეძლო.

თავიდანვე, როცა მისი თარგმანები გამოჩნდა პრესის ფორცლებზე, აშკარა და გამოკვეთილი იყო, რომ მათ აღიარება მოჰყვებოდა, თუმცა ახლა, ცალკე წიგნად შეკრულ, სულ სხვა შთაბეჭდილებას გვექმნის იმ საშეგაროზე, რომელსაც იაპონური პოეზია შექცია და ჩვენ „თარგმანის თარგმანის“ მემშვენივით ვიცნობდით.

ცხადია, ამას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ასე არ უნდა გავრძელებულიყო და აი, ქალბატონმა ირმამ შემდეგ გადატანა იაპონია-საქართველოს შორის გადებული რუსული ხიდი და ამ პოეზიას უშუალოდ დაგვაცავებდა. აქ ეგულისხმობ არა მხოლოდ კრებულს — „ასი იაპონური ლექსი“, არამედ მის მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებასაც — „იაპონური დილორ“, რომელიც 10-12 წლის წინათ გამოაქვეყნა ავტორმა და ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად წარმოგიდგება ამ დანისა, ასეთი პოპულარული რომ არის საერთაშორისო ასპარეზზე და საქართველოც არის მონაწილე ამ პოპულარიზაცია. ქალბატონი ირმას საუბარება ჰქონდა ხუთი წელიწადი ეცხოვრა იაპონიაში, შეესწავლა ეს ენა, კულტურა, აპყროლოდა მათ რიტმს და შემდეგ ყოველივე ეს ბელეტრისტიკის კალმით მოუტანა ჩვენამდე-საქაშინიკოდ იქ უკვე იყო ჩართული იაპონური ტანკები. ამ პატარა კრებულის გამოცემას (რომელიც ბილინგუური და გრატიურტები არის გაფორმებული) კი 12 წელი მოანდომდა. წიგნს დართული აქვს გემოვნებით დანერგილი წინასიტყვაობა და საინტერესო კომენტარები. ასე რომ, შეტად დახვეწილ და სრულყოფილ გამოცემასთან გვენდეს შეხვედრა“.

### ირმა რატიანის:

„ამ ტანკების თარგმანი 1996-97 წლებში დავინეცი.“

იყო პერიოდები, როცა სირთულეების გამო მჭონდა სიტყვა იშვიათი, რომ საქმეს ბოლომდე ვერ მივიყვანდი. ეს სირთულეები მევეცადე წინასიტყვაობაში აშუქერა, ამიტომ კრებულისათვის დართული წერილი ერთგვარი მობოდიშებაც არის მკითხველის წინაშე, თუკი ის ითვებრის, რომ ყველაფერი ისე ვერ გაკეთდა, როგორც საჭირო იყო.

ჯერ კიდევ იაპონიაში ვცხოვრობდი, როცა ერთ დღეს დედამ დამირეკა და მითხრა, რომ თურმე დღისს გადაცემა „ალიონში“ როსტომ ჩხეიძე ჩემი თარგმანების ფრაგმენტებს მიმოიხილავდა. სწორედ ბატონი როსტომის ხელდასხმით მოხდა ის, რომ „იაპონური დილორები“ წიგნად შეიკრა და ამ პოეტური კრებულის მომზადებისა და გამოცემის პროლოგურებაც მისი დაწახარებაა.

საერთოდ, იაპონური პოეზიის თარგმანისა, მთარგმნელი დგას არჩევანის წინაშე — დაცეცას თუ არა რითმა. იაპონურ ლექსს, რომელიც ერთი შეხედვით, თითქოს არ შეიერძნობა ტრადიციული რითმა, აქვს ძალიან მკაცრი შინაგანი რიტმიკა და ამის გვიდატანა სხვა ენაზე დამოკიდებულება არა იმდენად ტექნიკურ მხარეზე, რამდენადაც ემოციურ განცდაზე.

როცა იაპონური ლექსის თარგმანს იწყებ, პირველი ურთულესი საკითხი არის ე.წ. „მთავარი სიტყვის“ მოძებნა. ყველა ამ ტანკას აქვს, ასე ვთქვათ, „ძირითადი მეტაფორა“, რომელიც შემდეგ დაშენებულია მთელი ლექსი და რომელსაც უნდა დაეფუძუნოს თარგმანიც.

ტანკას აქვს კიდევ ერთი თავისებურება: ერთსა და იმავე სიტყვას შესაძლოა რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ამიტომ ნაკითხვაც სხვადასხვაგვარია. ამის დასაძლევად მე შევეცადე თარგმანში ორივე ნაკითხვის ნიუანსები გადმოვტანაბა.



არის შემთხვევები, როცა ტანკებში იუმორისტული ელემენტებიც შემოდის. საერთოდ, იაპონელებს იუმორთან სპეციფიკური დამოკიდებულება აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ მათ არ გააჩნიათ იუმორი. ამის გამო ხშირად ვაფიქსირებამდე აღმოჩენილიყავით იქ ცხოვრებისას, თუნდა რამდენიმე თვის შემდეგ მისვლით, რომ ეს ჩვენ უნდა დაგვეძლია და არა მათ. ცხადია, იმას არ ვგულისხმობ, თითქოს იაპონურ ლიტერატურაში იუმორი არ არის. არის, მაგრამ ძალზე განსხვავებული, მე ვიტყვოდი, უფრო შეფარული, თითქოს ამ საკითხშიც ვლინდება იაპონური მოკრძალება.

ძალიან საინტერესო მგონია ე.წ. „ფერწერული პოეზიის“ ნიმუშები. ასეთი ლექსები მათ პოეზიის ცოცხალი, მაგრამ, ვფიქრობ, შეტად ღირებულია. აქ საინტერესოა ფერები, თითქოს საქმე გვაქვს არა მეგრებზე, არამედ ძალზე ხელმეწაფებ მხატვრულ ტილოსთან. ამ კრებულში ასეთი პოეზიის ნიმუშებიც არის...”

\*\*\*

„დემონები და მფარველი აბგელოზები (ასი უძველესი ლექსი გამო)“ — ასეთია მთავრი მკაცრად ჯობის წერილიცა, რომელსაც უკვე იცნობს ჟურნალ „ჩვენი წერილობის“ მკითხველი (26 (78)) და რომელიც ქართული საბჭოთაო ნიაღვრად და იაპონური გარემოს სიღრმეებიდან ამოწმული განწყობილების გადაკეთება, ორი კულტურის შეხვედრის გაზავად, უცნაური სიხარული მოაქვს ჩვენამდე მისტიკურით მიღებული, ათასწლეული ეგზოტრიკური გარემოს სინთეზი, თითქოს რიტუალური ჩაის სმის ომბივარია თუ აბლაღავებულები საკურსა სურნელით გაღვნილი, იკეპანას ფერებად აფერადებულნი... თითქოს დროისა და სივრცის სამანები დაარღვევულა და აქვე, ჩვენ თვალის იხსნება მთარგმნელის მიერ შორეული საუკუნეებიდან მოტანილი იდუმალად და მისტერია ამოძაბული მზის ქვეყნისა:

„მე, რა თქმა უნდა, იაპონური არ ვიცი, — წერს ქალბატონი მკაცრად — ისევე, როგორც თითქმის არაფერი მთელ საქართველოში, ამიტომ არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება შევფასებინო ვახსენო სიტყვა უხალ... და მაინც, ხშირად გამოგატყობთ, რომ მე ჩემი პირად დაკვირვებითა და შეგარებებით მივედი ამ უხადობის განცდაზე...”

„სიყვარული განდევნის განსჯას, როგორც უსარგებლო მსტოვარს. სამაგიეროდ აერთიანებს სამ სხივს — გონებას, გულსა და სულს და ერთ სანთლად აანთებს (ნმ. ნიკოლოზ სერბი)“.

ორმა რატინამ, როგორც ადამიანი და როგორც ხელოვანი, ამ სანთლით შემოძღვა უძველეს იაპონურ სამყაროში, ამ სანთლით აინთო პანაი ბაღები, ბაღები, ნალკოტები, ამ სანთლით განათდა ნისლიანი მთები, კომპეტისა და მონასტრებისკენ მიმავალი ვინჩო ბილიკები... მთლიანად დაირღვა დროისა და სივრცის პირობითობა და ხელოვნების სასწაულმოქმედი ძალით დღეს ამ წუთებში იაპონურ მღვიმეებში მიწაზე მწკრივნილი უფრო ხელმისაწვდომი გახდა ჩვენივე, ვიდრე ათონის მღვიმეებში დაუნჯებული ტბების ცრემლიანი კანკალი...

ორმა რატინის მთარგმნელობითი ოსტატობა არა მხოლოდ ეფფორიური ელერადობის, შთიდან ნამოსული ექვე-

ბის, კომპეტისა თუ მონასტრების აკუსტიკურ ვახშოვანებაში, მრავალმნიშვნელოვანი სემანტიკის მქონე ერთი იაპონური სიტყვისათვის უძველესი სიხუსტობა და ელემენტურობით შესატყვისი ქართული სიტყვის დაძებნა-შერჩევაში, არამედ შუქ-ჩრდილების მონაცვლეობასა და, საერთოდ, განათებაში, რომელსაც ნამდვილი ფერწერით გარწმობს მთარგმნელი.

ხსოვდა თოვს ამ ტანკებში... რაღაც უძველეს სევდა თოვს ამ უძველეს იაპონურ ლექსებში.

მე ამ სევდაში ჩავთბუნდი, რაღაცნაირად შევიტკეპე ეს უცნაური თოვლი.

ამ ნაღვანს „ასი უძველესი იაპონური ლექსის თარგმანს“ ორმა რატინამ 12 წელი შეიღო და დიდხანს ლიტერატურულ სივრცეში ამჯერად იაპონური პოეზიით ვიდრე უფრო გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა“.

\*\*\*

— ბამბუკის ძირას ზის ჩაი მოხუცი და ხის ბებერ კანს ვალეულებს:

— ეს ბიჭი 2000 წლისაა. ეს კი მისი ნაოჭებია, — ამბობს ტბილაძე. — ამ შთაბეჭდილებას შეერებაზე მიაა ვალე-აშვილი გაიხსენებს და „იაპონურ დღიურს“ რომ მოგიხსენებს თავისი „ძვირფასი თვლებივით ჩართული წარსულის გამოცემებითა და ლეგენდებით, რიტუალური ხელოვნებითა და პოეტური სტრუქტურებით“, ამ განწყობილებებით მიმოიხილავს, ორმა რატინის ახალ კრებულს და ისაუბრებს გარდასული დროის მითებითა და ლეგენდებით ნასაზრდოები პოეზიის არსზე, ქართულ მკითხველამდე წავლამაზე მოტიანივლ მთარგმნელის მიერ.

— „ახლა უკვე გასაოცარი ადარაა, რა ასაზრდოები იასუნარო კავებატას, კობო აბეს, ქენძაბურო ოეს, აკირა კურისასა და სხვა მსოფლიოში ილიარებულ ხელოვნათა მომავადოებელ ლირიზმს. ეს ტანკები ერთგვარი ფესვებია, რომლებზეც ამოზრდილია იაპონელთა მიერ სამყაროს უძველესი აქტება.“

ამ თარგმანებში შეიგრძნობა, ერთი მხრივ, ქართული პოეზიის, ფსალმუნთა უძველეს თარგმანთა, ქართული სიტყვის ურამეს ნიუანსთა ცოდნა, უფრო ზუსტად, გზნა. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა, ერთი მხრივ, სადა და გამჭვირაველი, მაგრამ სინამდვილეში ურთულეს პოეტურ მედიაციათა ასე ლაღად და ექსპრესიულად გადმოთარგმანა.

იგი ჩანდა იაპონური ტანკების ფილოსოფიურ-რელიგიური სიღრმეებით აღბეჭდილ ულაზაზეს სტრიქონებს, საუკუნეთა წინათ რომ შეთხზეს ძლევაპოსილმა იაპონელმა იმპერატორებმა, თავნება უფლისწულებმა და დამხვეწილმა აბულებმა, სახელოვანმა მინისტრებმა, ომგადაადილმა რაინდებმა თუ მარტოობაში გარინდებულმა განდევნილ ბურგებმა და ქართულ ენაზე შთაბეჭდილად აამეტყველანა...

ამ წიგნში ასი პოეტის მხერა სხვადასხვა საუკუნედაა...

ერთიანად, ძვირფასთვლებიანი მიფიქვითაა — სხვადასხვა ფერის თვლები ბრწყინავენ და ციმციმებენ...

ფსალმუნისებრ ქებაცა ამ ყოველივეს შემოქმედისა, თუმცა მისი სახელი არსად გაკეთება, ყველგან იგულისხმება ის უჩინარი პოეტი, რომელმაც უთვალავფერიანი სამყარო შექმნა.

ქალბატონი ირმას პოეტური ნიჭი გზას უყვალავს საუკუნეთა სიღრმეებიდან მომდინარე ხმების მითხველის გულებისაკენ, ის მათი თანამარხაველია. მისი სუნთქვა ჩაერთვის ამ სტრიქონებში, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა იმ განცდების ასე თვალნათლივ მოტანა.

ტანკა, სადაც ყოველი სიტყვა დამოუკიდებლად უნდა ასხივებდეს თავის ღრმა აზრსა და სიღამაზეს, დიდ ოსტატობას მოითხოვს, უპირველესად, სიტყვის არსი ნედომას, მისი აზრობრივ-ემოციური მუხტის მიხედვითებს...

ამ ტანკების კითხვისას საოცარი სითბო და სიმშვიდე იღვრება საულში. თითქოს დროთა კავშირი აღდგება და მკითხველს ეუფლება სამოთხისეული ნეტარების განცდა და ყოფითობაზე ამალელებული მარადიულს ქვრეტს, — იტყვის ქალბატონი მია.

**უმარ კვიტიავილი:**

„ვერ კიდევ მაშინ, როცა ქალბატონმა ირმამ გამოსცა „იპოზური დღური“, უკვე ვყვებო ნიშანი იყო იმისა, რომ გაველოდო დრო და ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურას ეს პოეტური კრებულიც შეემატებოდა.“

მა თავანისმცემელი ვარ იპოზური და ჩინური პოეზიისა და როცა ამ წიგნის წინასიტყვიანობა ნაეკითხე, ვაკოცედი, ისე კარგად აქვს დანახული ავტორს ეს სამყარო:

„ძიება და შერწყმა არის იპოზური ხელოვნებისა და ცხადია, ლიტერატურისა და პოეზიის უმნიშვნელოვანესი კანონი, აბსოლუტის ნებით წარმართული ბუნების მოვლენების აღქმა. მათთან შერწყმა და მედიტაცია ოდიოგანზე იქცა იპოზური პოეზიის ქვაკუთხედად. დასაბამიდან ვიღვრ დღემდე, იპოზური პოეზიის განვითარების ტენდენციები შეიძლება განისაზღვროს როგორც სამყაროს ნიაღვრადამიანის მუდმივისა და მისი პულსაციის შეგრძნების დაუყოლებელი სურვილი. ამ პრიციპის ვერაფერი დაკლოდრომ, მოუხედავად მძლავრი სამცენიერი-ტექნიკური პროგრესისა, ურბანიზაციისა, ენასისიაციისა, იპოზურელთა ესთეტიკური პრინციპები უცვლელი დარჩა.“

მართლაც მათ ძალზე მოკლე დროში ათივისეს ევროპა, მაგრამ შეინარჩუნეს თვითმყოფადობა. ეს უდიდესი ღირსება ამ ხალხისა და თვალნათლივ ადასტურებს მათ „უნარის ნოვაციების კონტექსტში შეინარჩუნონ ტრადიციული ესთეტიკური სულისკერძება, არ დაკანონონ სულიერი თავისუფლების ღირებულება.“

არც ჩვენ გავწყენდა ამ ყველაფრის გათავისებას ნიშნება. იპოზური პოეზია კი არის ძალზე იდუმალი და საინტერესო სამყარო და ამ თარგმანების უპირველეს ღირსებად

მიმაჩნია ასე მონატრებული ბუნებრიობა, ლალი, შეუბოჟავი დინება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალბატონ ირმას არასოდეს ლაღატობს ადლო ვერსიების გადმოტანისას. ზოგჯერ ის საზომის გამოცვლით რიტმს ცვლის და ამით განწყობილებათა დიდ გრადუაციას აღწევს, ამიტომაც ამ თარგმანებში ყოველთვის გამოკვეთილია განწყობილება, რასაც ასევეს დართული კომენტარები.

კარგადა ხანია თარგმნილი პოეზია ასე ძალიან არ მომწონებოდა.

ერთი რამეც მინდოდა მეთქვა:

საერთოდ იპოზური პოეზიაში რითმა მისუსტებულია, მაგრამ თარგმანში ზოგჯერ თავს იყრის უნებლო რითმები და კარგი იქნება, თუ საერთოდ მოიწილება ეს.

და ბოლოს, არის ერთი არაჩვეულებრივი ხედვის ჩინელი პოეტი (XI საუკუნის) სუფულ პო. მას ასეთი ფრაგმენტი აქვს: კოლოს მარცხენა თვალი უფრო რთულია, ვიდრე მთელი გალაქტიკა. როგორი აზროვნება უნდა გქონდეს, რომ ეს დანერო.

საერთოდ არ მიყვარს ხოლმე ლექსების კითხვა, მაგრამ ეს სტრიქონები ამ დასჯილი პოეტის გამოსარჩლებად და დღევანდელი საღმისო განწყობილებებით მინდა ნაკითხობო „სუფულ პო კოლისწამებულა მსხვერპლ“.

**დათო ნერდიაანი:**

„ვფიქრობ, მეტად საინტერესო წიგნია, რომელმაც ძალიან დაგვაახლოვა იმ სამყაროს.“

აქ აღინიშნა სიტყვათა ორმაგი და სამმაგი ნაკითხვების შესახებ. თეორიულად ეს ვიცოდი, ათახზის გამეცონა, მაგრამ პრაქტიკაში სწორედ ამ თარგმანებით მიგვხდის რას ნიშნავს ეს.


**საერთოდ კი...**

მართალია, ქალბატონი ირმა თვითონ უაჩყოფს — ლექსებს არ ვერო — ამაბობს, მაგრამ ეს ისეთი თარგმანებაა, გაუნადგავი ხელი რომ არ არის და მე მაინც მგონია, რომ მას რაღაც მუცხება პოეზიასთან აუცილებლად ჰქონდა. ვიმედოვნებ ამით არ დამთავრდება მისი კავშირი საინტერესო იპოზური სამყაროსთან“.

**ბელა ნიფურია:**

„ეფიქრობ, დღეს ჩვენ ვნახეთ პრაქტიკული მაგალითი იმისა, თუ რას ნიშნავს, როცა ადამიანი გახსნილია სხვა, უცხო კულტურის მიმართ, აქვს მისი აქცენტი, ათვისების, გათავისების პოტენციალი და შემდეგ ეს ყველაფერი მკითხველმაცემ მოაქვს. ასეთი ადამიანები არიან ხიფები ორ კულტურას შორის. ამგვარი ინტერკულტურული ურთიერთობები კი ძალზე მნიშვნელოვანი რამ მგონია.“

ეს შეხვედრები — ორ უცხო სამყაროს შორის — უწინაურესად პიროვნებაში ხდება, შემდეგ კი ფასეულობები, რო-



ირმა რატიანი



მელიც სხვა ქვეყნიდან მოაქვს მთარგმნელს, ბევრი რამით ნაადგება ხოლმე მის ქვეყანასაც.

ამის მაგალითია ქალბატონ ირმას ეს თარგმანიც, დიდი მანძილია შინა და ეუთოზა მის ამ ყველაფერისთვის”.

**თეიმურაზ დოიაშვილი:**

მე მუქნიერ წიგნს, — როგორც შინაარსით, ისე გამოცემის კუთხით, — ისეთი რანგის მთარგმნელთა წარდგინება ახლავს, რომ იმთავითვე გამორჩეულია დაექვევბა მის ლიტერატურულ ღირებულებაში. მიუხედავად ამისა, წიგნის ნაკითხვამდე მაინც ერთგვარი შიშის განცდა მქონდა. მე კარგად ვიცნობ ირმა რატანის, როგორც პროფესიონალ ლიტერატურათმცოდნეს, ასევე ავტორის სასიამოვნო რესესტრული წიგნაკისა „აპოხური დილორი, შიგ ჩართული პოეტური თარგმანებით, მაგრამ სრულიად სხვა განხილვებით, როდესაც უნეს წინაშეა „ახი უფელიანი იაპონური ლექსი“ — კლასიკური იაპონური პოეზიის შედარსულოვანი თარგმული, ერთი ყველაზე დიდი საოცრება მსოფლიო პოეზიის ისტორიისა.

მოკრძალება იაპონური ლირიკის წინაშე ჩემთვის ერთ ბოგარყოფულ ფაქტს უკავშირდება. სიტაბუკის ფაშს, 70-იან წლებში, ეშარ კვიტაშვილმა, წიგნის თარგმანაკულმა მტრფემ, ირმა ბორონიას მონოგრაფია — „კლასიკური იაპონური პოეზიის პოეტია“ მარქა. ტანკას ესთეტიკისა და პოეტის ანალიზი აქ უხვად იყო ილუსტრირებულ ავტორისეული თარგმანებითა და კომენტარებით. მე ახალ პოეტურ მატერიცე აღმოჩნდი, გაოცებული ემოციური შიშით ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ კარგად ვეშობს, რას შეუბად ირმა რატანისა და ამ ფონზე ჩემი შიშარევი მოლოდინიც ბუნებრივია.

პირველი იმედანი იმპულსი წინასიტყვაობის ნაკითხვის შედეგად მოვიდა. აქ — ტრამინოლოგიური კვლევაობის გარეშე! — ნათლად, გასაგებად და ლაკონურად არის განმარტებული საკამოდ რთული საკითხები, ზუსტადაა აქვეტრებული მკითხველის დასაკვლიანებად ყველაზე აუცილებელი მომენტები.

გამოცემის ერთი თავისებურება ისაა, რომ თითოეულ ტანკას იქვე ახლავს კომენტარები. თითქოს ჩნდება ერთგვარი საფრთხე იმისა, რომ განმარტებით შეაფრებოს პოეტურ ტექსტთან უშუალო კონტაქტს, გააფრქობალებს ესთეტიკურ ეფექტს... მაგრამ, მოგზავნებით, ნამდვილი პოეზია, შიშითვე, ტანკას ფორმა, ამ არის ერთგვარად საკითხავი. ტანკა მრავალჯერის მახსებლბა ითხოვს, რათა შეაღწიო ლექსის კონცეპტუალურ სიღრმეში, თავი უხვად არ იგრძნო მის სპეციფიკურ ემოციურ სიერცეში. ამ სამზერიდან, კომენტარები არამეტოუ ხელს უშლის, არამედ ქართული მკითხველისათვის აუცილებელი ექვამა პოეტურ ტექსტის ათვისების გზაზე.

შესავალი წერილი და კომენტარები, ასე ვთქვათ, საქმის ლიტმოცოდნობით მზარეა, მაგრამ მთავარი ხომ თავად ლექსებია ანუ ტანკა — ეს ურთულესი სემანტიკურ-ვერსიფიკაციული მთლიანობა!

მაინც რასთან უნებს მთარგმნელს შექიდება? აქ უკვე ახსენებს შინაარსის მრავალმანიალობა. დამუშავებთ ამის მთავარი კონცეპტის მიგნების აუცილებლობა, განსაკუთრებული ზელოვნება ნიუანსებისა და ასევე სრულიად განსაკუთრებული ორგანიზება ემოციისა... ვფიქრობ, ცოტა არაა...

მე ნამდვილად ვერ გამოვდგები იმის უტყუარ შემფასებლად, რამდენად მოახერხა მთარგმნელმა დედნის სორთულეების დაძლევა. თავადვე ხშირად გამოიზიდავს ირონია იმათ მიმართ, ვინც შეუვალი თვდაჯერებით მსჯელობს მთარგმნელ — ორიგინალის ენის უცოდინრად ამიტომ მე მხოლოდ ამდენინა უზავად მომეგეს შევებები.

უპირველესად — თარგმანის ვერსიფიკაციულ მზარეუქალბატონმა ირმა, ვფიქრობ, სწორად არჩია კომარომისის გზა ორივე — აპოხური და ქართული — პოეტური ტრადიციის გათვალისწინებით. მაგალითად, მან უარი თქვა ტანკასათვის საავადებულუ ში მარცვლის დაცვაზე, რაც ქართულ თარგმანში მხოლოდ ტენიკური ამოცანის ფორმალური დაძლევა იქნებოდა, რეალურად კი — არაფრის მომცემი მტრული თვალსაზრისით. სამაგიეროდ, შენარჩუნებულია ტანკას ხუთგაბიანობა, რასაც ქართულშიც აქვს შორული ანალოგი იამბიკის ფორმის. ეს, ცხადია, უნებელი დამთხვევაა, მაგრამ ქართული ტრადიცია მაინც ქმნის ნიადაგს უხვა ფორმის „მოსათენიერებლად“.

დადასტურა რიომის საკითხიც, ვეუფო, რომ ტანკაში რითმა აღნებობდეს — ბგერითი გადაძილები უფრო ეფონიური მომენტი მგინია... მიუხედავად ამისა, რითმების სპორადული გამოჩენა ზოგიერთი ტანკას თარგმანში შიხალდება: ერთი, რომ ქართულ პოეტურ ცნობიერებაში რითმა პოეზიის სიგნალია და „უცხოხ“, განსხვავებულს ტრადიციული რეცეფციისაკენ ეხიდება. ამასთან, არც მთარგმნელის განმარტება უშინიშნული, რომ რითმა მას დედნის ემოციური მუხტის გადმოტანით ეხმარება.

უფრო არსებითი მაინც, ჩემი აზრით, საზომის საკითხია. ორიგინალში მონაცვლეობს ხუთ და შეიღმარცვლიანი ტაქტები, რომლის კომრება თარგმანს პრაქტიკულად შეუძლებელს გახდება. ამიტომაც შეირჩა უფრო გრძელი, ტყედი საზომი, თუმცა, ამასთან ერთად, პოეტნიკურად შეიქცა ჭარბსიტყვაობის მომკერძებული საშობილება. საბედნიეროდ, ქალბატონი ირმა ერთადერთი, აუცილებელი სიტყვის პოეტისას ერთგულებს, რაც ასევე ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა: ტანკა და ჭარბსიტყვაობა ერთმანეთთან შეუთავსებელია!

მაგრამ რა ვუყოთ ყველაზე მთავარს — ტანკას პოლისემანტიკურობას?

მთარგმნელმა, რიც შემთხვევებში, მახვილგონიერულ გზას მიავლი, როდესაც ტექსტის კონცეპტუალური, ენ. საყრდენი სიტყვის ორი მნიშვნელობის ერთადროლი რეალიზება მოახერხა; მაგრამ სრულიად ცხადია, რომ ამის გაეთება უმეტესწილად შეუძლებელია. ამ სიტუაციაში მთარგმნელს ერთი გამოსავალია რჩება — იქცეს ინტერპრეტატორად. აქ უკვე გადაწყვეტია არჩევანი, გემოვნება და, მე მგონია, ამ მშრივაც ურიგოდ არ უნდა იყოს საქმე — მთარგმნელის „იძლეობით“ ინტერპრეტაციით, როგორც წესი, მკითხველს გულგრილს არ ტოვებს.

ქალბატონ ირმას თარგმანებში ჩემთვის ყველაზე ფასეული ერთი არაა. შესავალ წერილში ნახსენებია ძემუდინიზის ტერმინი — სიცარიელე, როგორც სინონიმი უნივერსულობა: ტანკა ქმნის სიცარიელემ, უნივერსუმში შესვლის ილუზიას... თარგმანის რამდენიმე ნიმუშის კითხვბას მუ შექონდა განცდა, რომ არამარტო ახალ სიტყვიერ გარსში იხადებოდა ლექსი, არამედ ქართულად ამეტყველებული ტანკაც ქმნიდა თავის საარსებო სივრცე-სიცა-





რიელეს, ე.ი. უნივერსუმს. როდესაც თარგმანის მკითხველს ასეთი განცდა ეუფლება, ეს უკვე ნიშნავს რალაცას, ეს უკვე მთარგმნელის შესაძლებლობებზე მიანიშნებს.

მინდა ქალბატონ ირმას და ქართველ მკითხველებსაც მიუვლიო მშვენიერი წიგნის გამოცემა, დიდ იაპონურ კულტურასთან ზიარების სიხარული“.

**რეიე კალანდია:**

„იყო დრო, ბალტიისპირეთში ძალიან დაინტერესებულები იყვნენ იაპონური პოეზიით. ჩემი მეგობრები თარგმნიდნენ იაპონურიდან. ეტყობა მათი გავლენით ერთხანს მეც ვაბატეებულე ვიყავი ამ ყველაფრით. თავისთავად მათ კულტურას ქართულად თამაზ ჩვენეკელის თარგმანებით გავცეანი. ეს არის საოცარი სამყარო — იმზედა სიგრევა იმ ტანეებში და ამივე დრის იმზედა სიმსუბუქეა...“

აქ ბატონმა თემურ დოიაშვილმა რიტმის თავისებურებების შესახებ ისაუბრა. ერთი ესტონელი მეგობარი მყავდა — პოლიგლოტი, ის სწავლობდა იაპონურს და ამბობდა, პირდაპირ მოითხოვდა გინდა თუ არა ტანეკასა და პოეზიის მარცვლები უნდა დიოცვათო. ჩემი აზრით, იგი კონსტრუქციულად უდევობდა ამ საკითხს. მე მგონია, რომ თარგმანში ამის აუცილებლობა არ არსებობს. თქვენ, ქალბატონო ირმა, იმედინად ზუსტად გაქეთ შერჩეული ინტობაცეები, რომ რითმა არც ფიგურირებს. ეს ყველაფერი უფრო ეფონიურად არის...“

**თემურ ნადარევიშვილი:**

„ქართული მკითხველი იაპონურ პოეზიას თარგმანის თარგმნით იცნობდაო, — ბატონმა როსტომმა აღნიშნა. ეფიქრობ, ამაში პოლიტიკური მომენტეც იყო — არ უნდოდათ, რომ გვეთარგმნა.“

ქალბატონმა ირმამ 12 წელი მოანდომა ამ კრებულის შეკრებას. რომ გადავიტოვებო, საშუალოდ წელისადმი მ ტანეკა გამოდის და აღბათ საოცარი ამაში არაფერია, რადგან მეტად საინტერესო სამყაროსთან გვაქვს საქმე.

ის მომენტეც, რომ ასეთ პატარა ლექსში — ტანეკაში, რომელზედა თითქოს ისედაც ყველაფერი მნიშვნელოვანია, კიდევ რაღაც საყარდენის, ძირითადი სიტყვის მოძებნაა საჭირო, არ ვამეცნიერებია. როგორც ფიზიკოსი გეტყვით, რომ საერთოდ ამ სახლს აქვს მუდმივი მისწრაფება იპოვნონ სამყაროს უმცირესი აგური და მერე ამაზე გაკონ ყველაფერი. ჩემი აზრით, ეს სასიათო თუ სწრაფევა მათ პოეზიაშიც აისახება და აი, თარგმნეტიც კარგად გამოჩნდა ქალბატონო ირმას ძალისხმევით და ნიჭით...“

**ლევან ქურციკაშვილი:**

„მე მხოლოდ რეპლიკის სახით მინდოდა შეთქვა: ბატონმა ეზზარმა გაიხსენა ჩინელი პოეტის ნათქვამი კოლის მარცხენა თვალისა და გალაქტიკის ურთიერთმიმართების შესახებ. ცხადია, ამ მეტაფორის შინაარსს ხვდები და ვაფასებ კიდევ; უბრალოდ მინდოდა შეთქვა, რომ დღესდღეობით მეცნიერების მიერ კოლოს ორგანიზში და მისი თვალის აგებულებაზე ზედმიწევნით არის შესწავლილი და უფრო პრაგმატიულად უფერებენ ამ ყველაფერს.“

**რუსუდან ნიშინიაძე:**

„მასხოვს ჩემს თობაში ძალიან პოპულარული იყო თაგისი ფორმითა და ესთეტიკით ისიკავა ტაქეუოკუს ასი ტანეკა“, ხელიდან ხელი რომ გადადიოდა. იქ ისიკავს 100 ლექსი, აქ 100 ავტორი — თითო ლექსით — აი, ეს ნიგნი მაქვს ხელთ და ეფიქრობ, რომ მთარგმნელი საკმაოდ რთულ საკითხს შეეჭიდა — შინარჩუნე მრავალფეროვნება და თითოეულ ავტორს დაუტოლე ინდივიდუალობა, იოლი არ არის.“

თუ არ ვცდები, მანდელშტაინის ფრაზაა: „შორეული თანამოსაუბრე“. ამ კრებულის შემთხვევაში „შორეული“ გულისხმობს მანძილსა და დროსაც. ეს მანძილი უნდა შეინარჩუნე — მთავარი ხიზლი თარგმანისა, ანუ ის, როცა ვკითხულობთ არა კარვად გაქართულებულ ლექსს, არამედ პოეზიას, რომელიც უნებოქვეყნის კულტურის წინა-

2009 წლიდან ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს

**აკაკი ინგოროვას სახელობის პრემიის**

მოსამოყვებლად

პრემია ვაიციემა შემდეგ ნომინაციებში:

1. სამეცნიერო მონოგრაფია;
2. სამეცნიერო სტატეია;
3. სამეცნიერო წიგნის თარგმანი (ქართულ ენაზე)

მასალა უნდა წარმოადგინოთ ინსტიტუტის დირექტორის თანამეწმესთან მირანდა ტყეშელაშვილთან (მერაბ კოსტავას ქ. 5, II სართული).

მასალის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 15 ივნისი

დანერეილებითი ინფორმაცია იხილეთ ლიტერატურის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: [www.litinstiuti.ge](http://www.litinstiuti.ge); ტელეფონი: (99532) 982 676.

ლია, მონდებულე ქართულ ენაზე. აქ არ გვლიწმობს ეგზოტრიკისა, მე ესაუბრობ თარგმანის ხიზლზე, არქიზაციის შენარჩუნებაზე ისე, რომ ის ხელოვნურად არ „დააბელო“.

და აი, ამ კრებულში მე ვკითხულობდი უძველესი იაპონური პოეზიის ნიმუშებს, რომლებიც ეს ყველაფერი შენარჩუნებულა.

ცნობილია, რომ ტანეკას სრული ვაგებებისათვის სასურველია მისი ყოფითი ფონის ცოდნა, ამიტომ ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიგნისთვის დართულ კომენტარებს. ის სავალდებულო ქვეტექსტი თუ ფონი, ყოველ ტანეკას რომ ახლავს, სულ სხვა თვალით დავგანახებს თარგმანს. ავტორი წარმოგვიდგენს თარგმანის ვერსიებს; როგორ იკითხება ეს თუ ის სტრიქონი სიტყვისიტყვით ორიგინალში. ამასთანავე, ძალზე კარგი მცონია ის, რომ კრებული ბოლინგურია: ყველაფერი ეს საშუალებას აძლევს მკითხველს თვალის მიადევნოს სამეშაო ვერსიებს და ნახოს, თუ რა არჩევანი ვაკეთა მთარგმნელმა.

ასე რომ, ხელთ ვვაქვს მეტად საინტერესო, დიდი სიფრთხილითა და ცოდნით მომზადებულე კრებულსაც და მე ისედადმარჩენია, მიუვლიოკო მის ავტორსაც და რედაქტორსაც“.



გივი ალბაზიშვილი

# მოავალი ნარსული

შსსპი, ანუ აზნაზ...

გურამ ასათიანს გვიან დავეუახლოვედი, იმდენად გვიან, რომ რა ვიცოდე, თურმე საურთიერთო დროც აღარ რჩებოდა. ის ყველასგან გამორჩეული კრიტიკოსი იყო და მისი ნივთებისა და ცალკეული ნუბნაკციების კითხვა აუცილებლად საქმედ მჭონდა დაელოდი. საბჭოთა პერიოდში კრიტიკოსს, ალბათ, მეტის ეკავთება არც შეეძლო, რაც მან მოასწარო და გააკეთა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მაშინდელ იდეოლოგიურად ჩაკეტილ რეალობაში დიდი-დიდი „უნაბიო რეალიზმზე“ გესაუბრა ხშირად და გენერა მოიარებით, ათასგვარი ემპაქობის გამოყენებით.

ჭუთაისში შემოქმედებითი შეხვედრები იმართებოდა, რომელშიც მონაწილეობდნენ ცხინვალელი ოსი მწერლები და სოხუმელი აფხაზურენოვანი მწერლებიც.

ამ შეხვედრებს კანტიკუნტად ვეხსენებოდი და ჩემს ძველ მძაქვებთან ვერთობოდი.

იხსენებდნენ სამოციანს წლებს, როდესაც მაშინდელ კიროვის ქუჩაზე სპეციალური ნარკოლოგიური კაბინეტი იყო გახსნილი, სადაც პიონერი მორფინისტიები დადიოდნენ და მორფინის იკეთებდნენ ვენაში. იმხანად ნარკომანია ლეგალური იყო და მოქალაქეები შიშით შეპყრებდნენ ფურდაკარგულ პაციენტებს, ხშირ-ხშირად რომ აკითხავდნენ არსებულ კაბინეტს. მერე ისევე აიკრძალა და თითქოს ნარკომანების რიცხვმა იმატა. ჩემი კლასელები — თამაზი და ვიტალი — მაგარი ნარკომანები იყვნენ და სადაც კი ადგილს იპოვნიდნენ, ვთქვით, კინოთეატრ „კომუნის“ საბირფარეოში, იქვე იჩიხრავდნენ. თამაზისთვის არაერთხელ დამიჭერია ეს. ფეგობად და მიყურებია, როგორ შეიკავდა წამალი. მგობრივად ცუდად ვხვდებოდი მისთვის კეთების სურებაზე და, სიხლის ნვეთს რომ დავიინახავდი, გული ცუდად მიხდებოდა. მერე და მერე ისე შევეჩვიე თამაზის „ფუტის“ დაჭერას, რომ აღარ ვხვდებოდი ცუდად, მაგრამ ცოცხლს მანიც მასხამდა შუბლზე და წელის მისხურება მინდობდა საზე-სკოლის მძაქვებს იშვიათად ვხვდებოდი, მხოლოდ მაშინ, ჭუთაისში რომ ჩავდიოდი და ისინიც გახარებულები მეპატივებოდნენ რესტორანში და გამუდმებით მწერლობასა და მწერლებზე მესაუბრებოდნენ. თამაზ ბებერაშვილმა გამაძენო სტუდენტობისას ბორია გაპროზოგი, „ვეფხისტყაოსანი“ რომ თარგმნა ივრითზე, თან იმდენად კარგად, რომ როგორც ამბობდნენ, სკოლებში ნაწვევტებს ასწავლიდნენ გამოწვეული თარგმანიდან. გაპროზოგი, ერთ-ერთი პირველი რეპატრირანტი, მძიმე ავადმყოფი საკაცით წაიყვანეს ისრაელში.

თამაზ ბებერაშვილმა გამასწენა ფლავი ბორია გაპროზოგი, კარგახანს ქირით რომ ცხოვრობდა, ავტოკარხის რუსულენოვანი გაზეთის კორექტორი თუ სტილისტი. ასე რომ, ძველ მეგობრებს ხშირად ვხვდებოდი ჭუთაისში ჩასვლისას.

ერთხელ გავი ფაფარიძემ მანიშნა, არაფერი მეთქვა და ოქნერის უცნობილესი ნოველა ისეთი მჭნებარებით მოყვა, რომ ყველას მისი ეგონა. ისინი ცოტას სვამდნენ, თითქმის არ სვამდნენ და, რადგან კაიფში იყვნენ, საუბარს ამჯობინებდნენ. რამდენიმე ჭიქის მერე დაგმორდებოდი და ჩემს გზას დაეადგებოდი ხოლმე. ახლაც, სუფრა რომ მივატოვე ჭუთაისის ცენტრალურ სასტუმროში ავედი, სადაც მწერალი იყვნენ დაბრინავებულები თბილისიდან, სოხუმშიდან და ცხინვალიდან.

დერფანში გურამ ასათიანს გადავეყარე. ხელი ჩამავლო და:

— მოდი ერთი, აფხაზები ენახოთ.

გაკვეცი. მორიდებულად ვიქცეოდი, გურამი კი თავის სტიქიაში იყო და ვერ მიხვდებოდი, როდის ხუმრობდა და როდის იყო სერიოზული. რომელიღაც ოთახში დავეპატივეს, შევედი და გახურდა სმა. სუფრასთან იყვნენ ქართულები, აფხაზები და ოსები, ცხადია, მწერლები. რამდენიმე ჭიქის მერე გურამ ასათიანმა ბორის გურგულია აიკვიტა.

— ბორია, შენ სადაური აფხაზი ხარ? აი, ვანი თარბა, ჯუმა ახუბა მესმის, მაგრამ შენ და ვალაოვა კვიწინია არ ხართ აფხაზები, ჩვეულებრივი მჭერალები ხართ და თავი გაქვთ მოაფხაზინებული, უფრო სწორად, მოაფსუებული.

ქართულად უბნებოდა ამ ყველაფერს. გურგულია ჯერ იღიმებოდა, მერე სუფრა მიატოვა და გაიქცა გურამი, გავვეცი მეც.

— ახლა შეე გინდა დამაჯერო, რომ ქართული არ იცი? მტყუნის დედა...! — უკვე გაცეცხლებულიყო გურამ ასათიანი და აღარ ერიდებოდა არაფერს.

ბორის გურგულია, გამბრაზება რომ შენიშნა გურამს, გამოგვიტყდა, რომ ბაბუამისი მართლაც ქართველი იყო და რომ ასე იყო საჭირო და აფხაზებად ჩაენერნენ, ხოლო თვითონ უკვე აფხაზია და ამას არაფერი ეშველება: — ი ტოიკა! — ნერტილი დაუსვა ბორიამ. რამდენიმე საათი დერფანში გზორიალობითი ნასვამები. ხან ვის შევეცხურით ნომერში, ხან ვის. გურამი ყოველ ჯერზე ბრუნდებოდა ბორის გურგულიას ოთახთან და ... ბორია, შე ჩათვალე!... ასე გაგრძელდა შუალამემდე, მერე თვითონაც დასაძინებლად დააპირა წავლება და ნამდაუნუმ შეუბნებოდა:

— რატომ ადრე არ გიცნობდი ასე ახლოს, რა მაგარი ბიჭი ყოფილხარ.

არ ვიცი, რატომ ვიყავი მაგარი ბიჭი, მაგრამ გამოვიტყდებოდი, იმ ღამეს სიტყვა გამაძირა გურამის არაორდინარულმა საქციელმა.

დიდი ხნის მერე ბიჭინთამიც განვიორდა მსგავსი შემთხვევა. როცა დილფონდის ეზოს მივადექით თამაზ ჩხენკელი, ჯარჯი ფხოველი და შე, თამაზი დარაჯს გამოელაპარაკა.

- ტი აბაზაცე?
- და.
- აკე ბუდეტ პო აბაზასკი კორენ?
- დამე!

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“, 9, 10



თამაზის ისტორიული სივლილე აუერად, მერე ჩვენც გადმოგვედო და სამ ხმაში გზარხარბდით.

ცოტა რომ დავწყნარდით და დარავს გავცდით. თამაზმა მიგაჩინა, რომ ეს „აფემე“ ქართული ფესვიდანაა, რაც ისედაც ნათელი იყო ჩვენთვის.

სამი კვირა, ერთმანეთს რომ ვხვდებოდით, და მერეც, თბილისში, გამარჯობის ნაცვლად შევხვებოდით ხოლმე: — აფემე!

გურამ ასათიანთან დაახლოება ერთ ღამეში მოხდა. ეს ერთი ღამე უფრო ვრცელი იყო, ვიდრე ზოგადად ღამე, რადგან ბოლომდე გავეხსენით ერთმანეთს, ისე, რომ მის გახმაურებულ წერილზეც ჩამოუვადე სიტყვა, თანამედროვე ქართულ პოეზიას რომ შეეხებოდა. თქვა, რომ წერილი ნაქართვად აღმურა და ზოგი რომ მეშველი უკეთ და უფრო ვრცლად დაეურა, ზოგი კი ეხმებებოდა. ჩქარობდა, მოცალეობაში ვანვლო დღეებს გაბმული მუშაობით ინაზღაურებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დრო აღარ რჩებოდა თურმე.

„მისკრის“ სარკმლიდან

მწერალთა უმეტესობა ისე ცხოვრობდა, რომ ვერ ამჩნევდა იმ სივლილეს და აუტანელ რეჟიმს, სახე რომ ეცვალა და ახლა ტრადიციების უარყოფის, დავგმობის გზას დადგომოდა. ამით ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიანდათ, არ გააჩნდათ პროტესტის განცდა, შინაგანი წინააღმდეგობა, მოვლენობა საზიზარო რეჟიმისა და დაფუძნებული არ შეუძლოთ და ერთხმად, გაბონაქილებს არ გულისხმობთ და არც ჩამოეთელი, ვინმე რომ არ გაბომბრეს, უმღეროდნენ დიად აღმშენებლობას, კომპარტიას, და თუ შირდაპირ არ უმღეროდნენ, კონინუქტურულ თემებს ირჩევდნენ ნებისმიერ ჟანრში.

ინტერნაციონალურში იყო მოვადმი, ხალხთა მეგობრობის იარაღი რომ შეგნოდა, რასაც მავნე ტრადიციების კრიტიკაც დაერთო და ამ დაფურში შეცურდა ქართული მწერლობის დიდი ნაწილი, სრულიად ბუნებრივად რომ თვლიდა არსებულ ვითარებას და ცეკას მოთხოვნებს. როცა ამ თემას ვხვები, არ შემიძლია არ გავიხსენო როსტომ ჩხეიძის შესანიშნავი წიგნი, დოკუმენტურ მასალაზე აკეპული „ადიები ემაფოტზე“, ენა გლიოტიკანზე“. დევი სტურუამ ხომ დაუთოვდა დღეები ქართული ენის არსებობას, ახლა ტრადიციების ჯერი დამდგარიყო და დიდი ავტორი ქართული რენესანსისა, სათავეში უდგა ამ ბრძოლას, ხალხი რომ ირონიულად უყურებდა, მაგრამ მწერლებში მაინც აქტიურობდნენ. მწერლობის უდიდეს ნაწილს ერთობა კონფლიქტი არ შექონდა, პირიქით, შემსატკილევლები იყვნენ და ბედნიერები პონორარით და მინიჭებული პრივილეგიებით, რასაც უკეთავდნენ, იმას წერდნენ, ბოლო წლებში არავინ არავის არაფერს უკეთავდა, მაგრამ მაინც წერდნენ საკუთარი ინიციატივით. ფსევდოსანებლიქ მაშინ მავნე გადამწაბობებს და ანტიპოდებს ებრძოდა და თავი რეჟიმთან მებრძოლად მოჰქონდა, არადა, რეჟიმის დავალებას ასრულებდა.

ჩემთვის დღემდე აუსუნელია, ამ გარემოში ისეთი აღგავსებული იყოს განმორცილებლა, რასაც ერქვა მხატ-

ვრული თარგმანის კოლეგიის შექმნა და დაფუძნება, რაც მთლიანად ბატონ ოთარ ნოდისა გენიალური მოხერხებულობისა და გამჭრიახობის შედეგია, რაც შესანიშნავად დაუფასა მწერალთა კავშირმა და კოლეგიის ორიენტი უმაღურმა თანამშრომელმა (იხილეთ როსტომ ჩხეიძის „ოტარიდი“), როცა დიაბეტით დაავადებულ კაცს, მართლაც დამახინჯებულ და დიდებულ მოვლანეს, სასკედრო-სასიციოცხლი ბრძოლა გაუჩაღეს მამინდელი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ იმ ორ უმაღურ თანამშრომელთან ერთად, საყრდენად რომ ეგულუნობათ კოლეგიაში. მაგრამ ეს მერე იყო, გვიან, მანამდე კი დრო უნდა გავიდეს, შემოქმედებითი აღმადურენით აღსავსე, უნიტიერის მთარგმნელების და მწერლების დაულაღავი და უნიშვნელოვანები, უაქტიურესი მონაბილებით. საგანძური, რაც მაშინ კოლეგიაში შეიქმნა, არა მარტო პნკაურების უნიკალური ბიბლიოთეკა იყო, არამედ ცოცხალი კონტაქტი დანარჩენი მსოფლიოს მწერლებთან, მათი წიგნების ქართულად თარგმნა და გამოცემა და ქართული წიგნების, ზოგადად ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ, მრავალ ქვეყანაში გატანა. ასეთი პრეცედენტი მთელ კავშირში არ იყო და სხვა ქვეყნების მწერლები, მეტადრე სამჭოვლები, გაოცებულნი იყვნენ.

ჩემთვის დღესაც გაუგებარია და საიდუმლოს ნარჩოადგენს, როგორ ფინანსდებოდა ასე გულუხვად კოლეგია ლიტერატურული ურთიერთობისა და მხატვრული თარგმანის პოპულარიზაციისთვის და რისთვის. მაშინ „ცისკარი“ ვმუშაობდი, კრიტიკის განყოფილებაში ლიტერატურა დადამიყვანეს. მანამდე, როგორც გიაშვიტი, ხელშეკრულებით ამიყვანეს ოტია პაჭკორიას ინიციატივით და ჯანსულ ჩარკვიანის ბრძანებით. ამ სიკეთის დავინებებს არ ვაპირებ. მაშინ „ცისკარი“ მუშაობდნენ: ჯანსულ ჩარკვიანი, ოტია პაჭკორია, ტარიელ ჭანტურია, გივი გვიგუტკორი, გივი ძიბაძე, ემზარ კვიციანიშვილი, რეზო ქვიციანი, კარლო კობლერი, თამაზ წიწვიანი, ლევან მალაზონია, ეთერ თვარაძე, ციალა არდაშელი, ნანა ჯავარიძე, მაცვლა თვარაძე, ავთანდილ ჩხიკვიანი. ბოლდინ ვინდო, თუკი ვინმე გამომჩნა. ეთერ თვარაძეს ხშირად სტუმრობდნენ ძმისშვილები: ცოტნე, ზაზა, რუსუდანი. ზაზა თვარაძეს იქიანად ვიცნობ. მაშინდასთან რომ სტუმრად დადებოდა, მაშინ ვხვდებოდი.

მერე და მერე თანამშრომელთა შემადგენლობა, მთავარი რედაქტორიდან მოყოლებული, ვიდრე ე. „მერანში“ გადამიყვანდნენ მთავარ რედაქტორად, მრავალჯერ შეიცვალა. ამ ცვლელადობის აღბეჭდვა შორს ნამიყვანს და ჯერჯერობით იმ სურათის აღდგენით დავმავაყოფებოდა, რაც მაშინ ამხუდა, როცა პირველად ვიგრძენი თავი „ცისკარს“ თანამშრომლად, მოვგანიებით კი „ცისკრელად“.

შემოვიღია გივი ძნელაქ დერუჟანში, შემოსენებოდა ფანჯრები ავტონოსპექტორის ხმა, გაურკვეველი სიტყვები, მძღოლებს რომ აფრთხილებდა, გზა დაეთმოთ რომელიღაც სამთავრობო ესკორტისთვის და:

- გასვით, რას ამბობენ?
- რას?
- გადადგით სახლები!

მერედა ვხვდებოდი, რომ ხუმრობდა, მაგრამ ერთი რამ კი უცნაური იყო, როგორც კი მსგავს გაურკვეველ სიტ-



ყველა გაიგონებდნენ ავტონისპექტორისგან მეგაფონში დაბარილებულს, სხვები ეგრევე შესასებდნენ: გადადგოთ სახელი!

როგორც ახლა ვხედავთ, ეს უკვე „ცისფერი მთების“ ირონიულ-პაროდული ტრიალია იყო, მაშინდელ „ციხისკარამ“ რომ დომინირებდა, ტარიელ ქანტურაია და რეზო ჭყვიშვილის შეშწიებით სხვებსაც რომ გადასადებოდა, თუმცა არც სხვებს აკლდათ იუმორი, კაცმა რომ თქვას. ძნელაღე „ცისფერი მთები“ სამუშაო სცენარში, როგორც რეზო ჭყვიშვილი ამბობდა, ტრუდუნოვად იყო მოსხენიებული. რეზომ გვარი უთარგმნა, იქნებ სხვამ, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, როცა ფილმში იმ უხილავ გვიდ დარჩა, რომელიც ეკრანზე ვერ იხილეს. „ცისფერი მთები“ „ციხისკარა“ და „კოლეგის“ შენაშაშია გადაღებული და ენ. „მასოვკაში“ კოლეგის ზოგიერთი თანამშრომლის სახეც კი შემოირჩა.

გარკვეული რიდი ძველი ცისკრების მიმართ დიდხანს გამეცა, რაც სრულებით არ არის გასაკვირი. ჩემზე უფროები, ცნობილი და გამოცდილი მწერლები იყვნენ და მათგან ბევრი რამ ვინახავდი. დამამახსოვრდა პირველი დღე, როცა კრიტიკის განყოფილებაში ლიტბრუშკად დამინიშნეს. განყოფილების გამგე ტარიელ ჭანტურია გახლდათ და, მასთან რომ მიმიყვანეს, სასწრაფოდ გამარკვია ვითარებაში.

— აი, ეს დედნები, რომლებიც რამდენიმე ნაწილად იყოფა, იმის მიხედვით, თუ რას ვუძიებთ მომავალში:

1. მონონებული
2. მონუნებული
3. დანუნებული
5. დასანუნებელი
4. ციტო

ახლა ვერ ვისხვებ, კიდევ იყო სხვა გრადაციები, სახელი რომ არ ერქვა, და გამოშეტყველებით უფლებები ერთმანეთს. ტარიელს არ დაუმალავს და პირდაპირ მითხრა, რომ აჯობებდა მზადება დამწყობ განყოფილების გამგეობისთვის, და როცა მე უხერხულობისგან შევიცხადე, დამამშვიდა: საშობალოდ გუგუნები. დადგება დრო, როცა ჩვენ ნავალი რედაქციიდან და შენ მოვიტყვის ყველაფრის კეთება. ამიტომ სჯობს, აქედანვე შეიტვიჩო და დამოუკიდებლად ავითო ყველაფერი. რაც აუცილებელი იქნება, მე შემიბანახე.

ასე დაიწყო ჩემი ლიტბრუშკობა, რასაც რალაც დროს შემდეგ მოჰყვა ჩემი ლექსი „ლიტბრუშკის ჩივილი“.

ერთხელ ახალი ლექსი ვაჩვენე ტარიელს. შინაგანად ეგზალტირებული ვიყავი და მეგონა, მოეწონებოდა და შემაქებდა. ლექსი ქაბეთხე იყო, ეკრძოდ კი იმაზე, რომ „ოფელდაც ვართ არსაკომ აქ დაბანაკა“. „რა სიჩუღე, ეს სიჩუღე ვაბოა ზეიდრია, ისმის სრულის ხმა, ალბათ შეტყვის ღრუბლებს ესკრიან“. ამჟამად ჩანს, არც თუ ისე შეინიშნებოდა ნუბილი იმაზე, რომ მხოლოდ სეტყვის ღრუბლებს ვესყრიათ და ისე კი სიჩუღეში ვართ ჩაფულვები და ვხვანდებით. ჩვეულებრივი ანტისამბოთა ლექსი იყო და მომავალი რომელიღაც წერებულში დაიბეჭდა კიდევ, ლიტბრუშკის ცენზორების ნაყოფიში. ტარიელმა ნაიკითხა და მომამახა: შენ ეს რითმა გგონია? არ ვარგას.. და სწრაფი ნაბიჯით, როგორც სჩუგოდა, გავიდა მეორე ოთახში. ძალიან ვინყინე და ჩავფიქრდი, რა არ მოეწონა.

შინარსისთვის ყურადღება არც მიუქცევია, ცუდი რითმაო, კი მოიხრა. დიდი დაკვირვება არ დამეხვედნა იმის აღმოსარჩნად, რომელი იყო სუსტი რითმა. „ხევედრა“ – „ესერან“ მართლაც ცუდი რითმაა. კარგახანს ნაწყენი ვიყავი ტარიელზე და ვთვლიდი, რომ სხვაგვარად შეეძლო ეთქვა ნაკლებ და ასე არ მოეხდა, მაგრამ მაღლ გამიზარტეხნამ, გავკეთილი კი სამუდამოდ დამამახსოვრდა. თუმცა პირადად მე დღესაც მიმაჩნია, რომ თუ გასაწირია რითმა, სხვა უფრო მნიშვნელოვანი ნიუანსისთვის, უნდა გაიწიროს, მაგრამ თუ შესაძლებელია უკეთესის გამოძებნა, ისე რომ პოეზია არ დაზარალდება, ასეთ რითმას რა უნდააკარგოდ შევცვალოდ უკეთესი რითმით, მაგრამ ამ ლექსს ახლა მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ კიდევ ერთხელ გავამილო, როგორ მზლუდავდა დისიდენტური მენტალიტეტი და ისიც, რომ მორალურად გამარტულებული ანტირეჟიმული განწყობილება პოეზია არ იყო.

ერთხელ დერეფანში ზეიდა გამსახურდია შეენიშნე, იდეა თავისთვის, უხერხულად და ოთახში შემოსვლა ვერ გადაეწყვიტა. პატიმრობიდან ახალი დაბრუნებული ჩანდა, ტელევიზორებიდანაც დიდი დრო არ გასულიყო. ბევრი უყურებდა ამრეზით. „ციხისკრელთა“ ერთი ნაწილაც აუვლიდა, ჩაუვლიდა და თითქოს ვერც ამჩნევდა. გავედი ოთახიდან და დაეთქვა:

— ზეიდა, მოზრძანდი.

ოთახში შევიპოვდი. შემოვიდა თუ არა, ნანა ჯაფარიძე შეეგება და მის მაგივრად ჩამოყვდა, იქ გაავრძელა საუბარი. ნანასთან დიდხანს ისაუბრა. მე ჩემს საცემს მივხედი, გავედი კიდევ ოთახიდან, ხელი რომ არ შეეშალა საუბარში.

„ციხისკრს“ რედაქტორები ერთმანეთისგან შეკეთრად განსხვავდებოდნენ. თუ შორის ფოცნიშვილი თავის სახელში გვიხარებდა ნომრის შესადგენად და გვიმასპინძლდებოდა კიდევ (მაშინ ბასა და თამარიკო პატარები იყვნენ), გურამ ფანჯიკიძის დისკიპლინა უყვარდა და სამასხურერებრივ საქმეში მეგობრობას გამოიჩინებდა. ნინა დღეს ერთად ნაქიფრებს სამასხურში რომ დაგვევიანა, საყვედური არ ავცდებოდა. არც ამცდა ერთხელ, თან მიკვირდა: ნუხელ, შუალანმედე ერთად ექვიფობდით და საყვედურს მე მიცხადებდს? ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო მისთვის და მეც მალე ავუღელ ალლო.

ერთხელ გავამკაცრეს რეჟიმი. მწერალთა კავშირიდან აგზავნიდნენ სარევიზო კომისიის წევრებს იმის შესამოწმებლად, ვინ როდის მოდიოდა სამასხურში, ვინ ავკიანებდა, ვინ არა. სატელეურად ადრე, დროულად მივიდოდი სამასხურში, სადაც ნანა კანდლაკი მხედებოდა, ვთომ სხვათაშორის, სინამდვილეში კი დავკიანებულთა გვარებს ინერდა, თან ცდილობდა, რაღაც ზემოქმედება მოეხდინა ფურნალის ხელმძღვანელებზე, სანაცვლოდ რამე დაეხედებინა მისთვის „ციხისკარში“, რადგან არასასურველი ავტორი იყო და ყველა ერთდგობდა მისი მოთხოვნების, მეტადრე რომანების დაბეჭდავას.

დადგა დრო, როცა ფურნალის მთავარ რედაქტორად ჩემი თათბის მწერალი და მეგობარი ჯანსუღ ლენიჯილია



დანიშნა. მოადგილედ თედოს უხმო „ლიტერატურული საქართველოდან“, მანამდე კი მე მიმანიშნა, რატომ არ შეიძლება ჩემი დანიშვნა მთავარი რედაქტორის მოადგილედ. ეს ჩემთვის გასაგები იყო, რადგან პარტიის წევრი არ ვიყავი, არც მქონდა არავითარი პრეტენზია, პირიქით, სინარულიან განცხადებას ვუბოდი, ჯანსუღთან ერთად თედოც რომ იმყოფებოდა „ცისკარში“. მაგრამ საქმე გაჭირდა, თედომ შემოუთვალა ჯანსუღ ლენჯილიას, გივი მანდ მუშაობს და მოადგილეობაც მას ეკუთვნისო.

დავფაცურდი, თედოსთან გავცარიდი, ვებვებენ, მერე აუფხხენი, მე უპარტიოს არავინ დანიშნავს და მოადგილედ სხვას დანიშნავენ, თუ შენ იტყვი უარს-მეთქი. დავიწყობდი და თედო მოადგილედ დაინიშნა „ცისკარში“.

არც დიდი დრო იყო გასული მას მერე, რაც მე მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან, ნოდარ დუმბაძესთან ვიყავი, საბინაო პირობების გაუმჯობესების საკითხზე. ნოდარმა მომცა ფურცელი, ავტოკალამი და მიიხრა:

— დანერე განცხადება, ძამა, პარტიაში შემოდი და ბინაზე მერე ვილაპარაკოთ. მე ახლა გავალ მედიკო კახიძესთან ერთად და მალე დაებრუნდები, განცხადება დანერედი და მახვედრე.

მედიკო მაშინ მწერალთა კავშირის პარტიოში იყო და მანაც შემეგულანა, აუცილებლად დანერეო. ნოდარი და მედიკო გავიდნენ და

კარი გარედან ჩამიკეტეს, მდივანს ჩააკეტინეს. მათი გასვლის შემდეგ ვგრძევე ნავერე მთვრე კარისკენ, ავიანზე რომ გავდიოდა. იქიდან ვესტებიოლი გავიარე, კიბეზე დავეშვი და ავითესე. როგორც მიიხრეს, ნოდარი სერიოზულად განაწყენებულა ჩემზე, რაც შეხედდრისას პირდაპირ მიითხრა კიდევ, როცა იმავე საკითხზე მივადექი და ვფიქრობდი, რომ აღარ ემასსოვრებოდა განცხადების ამბავი.

სიტყვა რომ დავსავლე, აღარც გამაგრძელებინა: — მე, ძამა, შევარდნაძემ მიითხრა, ბიჭი იმ მწერლებს მიეცი, ვინც ჩვენთან არიან და არა იმათ, ვისაც პარტიაში შემოსვლა არ უნდაო. ვერ მოგცემ ბინას.

უკან უნდა დამეხია, პარტიაში შესვლაზე დამწერლა განცხადება, მედიკო კახიძისთვის მიმეტანა, მერე მიმოდებდნენ პარტიაში და ნოდარსაც გული მოუღებოდა. იყო ასეთი გზა, უიოლესი, მაგრამ ჩემთვის სრულიად მიუღებელი. არა! — ფიქვი გულში და ეს თემა ამით დამთავრდა.

ლენჯილიამ გამიჩიოლა, რომ მას შემდეგ, რაც ტარიელი კოლეგიაში გადავიდა სამუშაოდ, მე განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი მერქვა და მან მოვა-


ლეობის შემსრულებლობიდან გადამიყვანა გამგედ, რედაქციის გამგე დანარქვა.

„ცისკარში“ მოდიოდნენ ნაცრისფერი ტიპები. სახეზე ენერია, საიდან იყვნენ და პირდაპირ რედაქტორისკენ (რომელიც იყო) მიემართებოდნენ. იქ ჩაკეტებოდნენ, ზოგჯერ ხანგრძლივად და, ვინ იცის, ქვეყნის რა საქმეებზე საუბრობდნენ.

1983 წელს, ანდროპოვის გენსეკობისას, ნოდარ დუმბაძე შეეცადა შევარდნაძის თხოვნა შეესრულებინა და უპარტიო მწერლები როგორმე პარტიაში შეეტყუებინა. მაშინ გავრცელებული იყო ჭორად, რომ ანდროპოვის არ მოსწონდა მევარდნაძე და ეს უკანასკნელი შეეცადა თავი გამოეჩინა და რაც შეიძლება მეტი მწერალი, მესმინერი, კომპოზიტორი გაეწვევრებინათ პარტიაში. ნებისმიერი,

ვინც პარტიაში შევიდოდა, შევარდნაძისთვის და უნიანარეს თავისთვის დიდ საქმეს აკეთებდა. ვინც უარს ამბობდა მწარედ უსსოშებდნენ. სწორედ მაშინ განვერიანდა კომპარტიაში ყოფილი პოლიტპატიმარი, მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი და მასზე მსტოვანი აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე. ამ პერიოდში შესთავაზა ნოდარ დუმბაძემ ტარიელ ჭანტურას და ოთარ ჭილაძეს პარტიაში შესვლა, თან უთხოვია ოლენუდ არ დამალალატოთ, შევარდნაძეს ჭირდება, ძამა! ტარიელ ჭანტურას უხუმრია, პარტია რომ კარგი იყოს თამაშ ქილაძე ადრევე შეუკავშირდა ოთარსო. მოგვიანებით ეს ამბავი თვითონ ოთარ ჭილაძემ გაიხსენა ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში.

არც ოთარი და არც ტარიელი კომპარტიაში არ განევირიანებულან.



გასტონ დილ მირო

ვიკრეს ცხენი

**მეხუთე პარტიაზე დასასწავლი**

დილოს რვა საათზე კარზე დამიკაკუნეს. მაშინ გლდანის პირველ მიკროში მეცხრე სართულზე ვეცხოვრობდი. მქონდა, თან ნაბახუსევი ვიყავი. კარი მუღუღებ გააღო და ვიღაცას შემოუძღვა. მე უკვე მუღუღებული ვიყავი და, რომ მაინინა, შენთან არიანო, სწრაფად ჩაკიცივი და გავედი სასტუმრო ოთახში.

მალბაზ კაკაბაძე აღმოჩნდა, კომკავშირის ცეცას ინსტრუქტორი, თამაშ ნივნიცაქისთან და სხვა ცისკრულბთანაც მეგობრობდა და მეც კარგად ვიცნობდი. ეს ის მალ-





ხაზ კაქაბაძე, შევარდნიანის მმართველობის პერიოდში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რომ იყო, მეჩუკი კი კონფლიქტების მინისტრი.

მითხრა, რომ თული მარტავა მიბარებდა სასწრაფოდ და ათ საათამდე მასთან უნდა მივსულიყავი. გამოვიკრიდა: — რისთვის მიბარებს?

— ვერაფერს გეტყვი, არ ვიცი... ეს სად გიცხოვრია, რა გინდა გლდანში? ცენტრში, უკეთეს უბანში გადმოდი.

— ვაჟები მთავაზობენ ბინას, მაგრამ უარზე ვარ, აქ მიჩვევნი.

— კაცო, გადმოდი, გადმოდი, აქ რა გინდა?!

— ჩავანჯობ ბარგს და ზეადლე გადმოვალ.

მალხაზი წავიდა. დავპირდი, რომ დროზე მივიდოდი, მაგრამ აფორიაქებული ვიყავი, ვერ გამეძვი, რისთვის მიბარებდა კოცავიშვილი ცუკას მაშინდელი პირველი მდივანი, ჩემი ბავშვების ამნახავი მოსწავლეთა რესპუბლიკური კონფერენციებიდან.

სტუდენტობისას და შემდეგაც კანტიუტუნდავ ხვდებოდი ერთმანეთს და ისიც სრულიად შემთხვევით, რადგან სადაც ის იყო, იქ მე რა მინდოდა ან ვინ მიმიშვებდა, ხოლო სადაც მე ვიყავი, სალუდებდა და დუნქებში ზიქებთან ერთად, ის რა დადიოდა. ხვდებოდი მხოლოდ ტელევიზიით ან ოფიციალურ შეხვედრებზე, როცა „ცისკარიც“ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რადგან ჩვენი ქურნალი კომპაგირის ცეკვას ორგანო (ბექვლითი) იყო.

გზა დიდი მქონდა ვასადელი და ფიჭვის დროც საკმაოდ რისი, მაგრამ ვერაფერს ვხვდებოდი, არ ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს. წინა დღის ამბავი გამახსენდა სრულიად ბუნებრივად. დაზღუდული წერილი მივღე ლენინგრადიდან. აი, რა ეწერა ბარათში, ახლაც რომ ინახება ჩემს არქივში:

**ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა**

**პატივცემული გვიი ივანეს ძე!**  
მადლიერებით გადასტურებთ, რომ თქვენგან მივიღეთ ნიგნი „უცხო ფრინველი“.

ნიგნი მოითხოვა აშშ კოლუმბიის უნივერსიტეტმა. გისურვებთ შემდგომ შემოქმედებით წარმატებას.

**ბიბლიოთეკარი: მაქარაჰა**  
13. 4. 1977 წ.

ამ ამბავს წინ უძღოდა ლენინგრადის ბიბლიოთეკის წინა წერილი, რომლითაც მასუწყებდნენ, რომ ჩემი ნიგნი „უცხო ფრინველი“, მოითხოვა ერთ-ერთმა უცხოურმა დაწესებულებამ და, თუ არ შეეწუხებები, იქნებ მივანდოებ ეგზემილარები უცხოეთში გადასახაზავნი. დავირბიულდი, რომელი ქვეყნის, რომელმა დანებებულმა მოითხოვა ჩემი ლექსების კრებული. ბოლო წერილში განმარტავს, რომ აშშ კოლუმბიის უნივერსიტეტი დაინტერესებულია ხსენებული გამოცემით. ვერ გამოვხატავ რაჯერ ეფორიაში ჩავვარდი, რა მძლავრი სიხარული დამუთხლავდა. ეს იყო შეგრძნება იმისა, რომ ვიღაცას მივანდოდი ხმა ოკეანის გაღმა, რომ არსებობას და მწერლობას ჯერ კიდევ აქვს აზრი. დროთა განმავლობაში აღდრთოვანებამ გამოირა და მიხვდი, რომ ნიგნების გაცვლა და დაინტერესებუ-

ლი მკითხველის მოთხოვნის შესრულება თანამშრომლობის მიღებული ფორმა მსოფლიოში და არავიერთი საოცრება არ მომხდარა. მაგრამ მაშინ, საქართვეო რუსეთში განსხვავებულად მოხაროვენი ახალგაზრდა ავტორისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. წინა დღე ამ ფაქტის აღნიშვნას შევადოდა და რას ვიფიქრებდი თუ მეორე დღეს, ნახაბუსეზე უკოლონთან მომიხვდა შეხვედრა.

